

კირბისი
KIRBISI

CAVA GUTTA LAPIDEM

კირიბიუი ასურგასდღეული
ოქროს საწვიისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
პრავისა და ლიტერატურულ-მხატვრული
გამოცემა, N2, (6) 2008 წელი

მთავარი რედაქტორი

გულადი შეტელავა

ნომრის
საკონსულტაციო საბჭო:

**რაინ აბოთია, ბონელი არახაშია,
როლანდ ლუდუკის კე ახალაია,
ალექსანდრე ახვლედიანი,
ბოდბერი გუგია, დემურ ბაღელია, ვეუფე ბერასიძე,
ლაშა გგასალია, ზურაბ ბოგოშია, ზაზა ბორიჯია, გურამ გუნაგა,
ფრიდონ თოდუა,
ფრიდონ ინჯია, ნინო კანკია,
ლევან ვეგონია, ვახტანგ მიუხეილა, როლანდ მაქაცარია,
გურამ მისაბიუვილი, თამაზ პაჭკორია,
გიორგი შარულავა, ოთარ ფაცაცია,
დავით შიშია, ზვიად სიჭინავა,
ელინო ცხადია, დარეჯან ცხვიტარია,
იური ფოფერია, ოთარ ჭითანავა, თეიმურ ფურფუბია,
ჯონი ჭანია, ბია ხასია, პალონა ჯაბუა,
ნინო ხარჩილავა, კობა ჯიქია,**

ზამთრის წარმოღობა:

**ზუზდილეზს ჰყავთ
ღირსეული ვაჟობითარი
და ვიცე-სპიკერი —
აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა**

**არის ზუზდილში ვერცხული
ღონის წმინდა ლუკას სახელობის
სამედიცინო ცენტრი**

„ბაია“ და დამილეზი

„ფანტონის დისკო“ გახსნილია

სპეციალური
კორექსონდენტი
ბალტიისპირეთში

ანა ციხაძე

ფოტოსერვისი

ლევან ბაბაჩავა

წიგნისმკონავი

თენგიზ თოვაძე

კომპიუტერული

მომსახურება

კოკა ფატულავა

ლევან ჯანაშვილი

კორექტურა

ნანა სუფია

ნომრის გამოცემა

უზრუნველყოფს:

„ინდივიდუალური მეწარმე

გულადი ფეტელავა —

ჟურნალი

ერთი ბელეტრისტი ტრიბუნა“;

რეგისტრირებულია

მთაწმინდის რაიონის

საგადასადო ინსპექციაში:

10. 05. 2001 წ. სერია:

მ /გ 2327; 104425613.

თბილისი,

კოსტავას ქ. №14;

ტელ.: 895 719164

ანონსი:

XX საუკუნის

მიწურულს

ბელეტრისტულ

მატიანეში „სუფევა“

გადაწყვეტილ პრობლემას —

„ათი ზედირსეული ქართველი“

XXI საუკუნის დაბდვს

მიუბრუნდნენ

ჩვენი ესთეტები ფორმულირებით:

„საქართველოს დიდი ათეული“.

ეს მისასალმებელია!

მაგრამ „კირბისი“ ლოცმანია დროსა და

სივრცეში: ჩვენ მომდევნო ნომერში

განგვიზრახავს თანამედროვე

**შურნალი სარგებლობს
სიტყვის თავისუფლების
სამართაურობის ნორმებით.**

**შურნალისათვის
სიტყვის თავისუფლება —
უგებეპულია
უცილებლობა!**

სელმოწერილია
დასაბუჭად — 30. XI. 08;

წარმოებს

გადეცა — 09. XII. 08.

პოლიგრაფიული

უზრუნველყოფა —

შ.პ.ს. „საქართველოს

მატნე“

ფასი 20 ლარი.

სამეგრელოს დიდი ათეულის

წარმოჩენა მთელი სისავსით.

ერთი

ბელეტრისტის

ტრიბუნა

პ ი რ ბ ი ს ი

სამეგრელოს

ასერბასდღეული

შურნალი

შინაარსი

მაჟორიტარული საქართველოს აბოლოგია

(აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა)

004

მეორე სუნთქვა (კალმის ერთი მოსმით საზოგადოება „ზუგდიდელსა“ და მის თავმჯდომარე ბატონ **ოთარ ფაცაციაზე**)

011

ზუგდიდში დაფუძნდა თიბისი ბანკის ფილიალი

012

არის ზუგდიდში ევროპული დონის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრი (ბელეტრისტული ინტერვიუ წმ. ლუკას სახელობის ზუგდიდის სამედიცინო ცენტრის დირექტორთან, ბატონ როლანდ ახალაიასთან. ფასიანი რეკლამა)

013

დაჩი საგარეოს დაუფლა.**დაჩი „ბაიაში“ ითამაშებს!**

024

საქართველოში ბრილიანტი ბაეშეები იზრდებიან (დომენტი სიჭინავა)

025

„ბაია“ და ბაიელები (ფასიანი რეკლამა)

026

სამშობლოსათვის ამბოხებული მეცნიერი

(აბესალომ ტულუშის მოსაგონარი)

045

ოდოია (ეპოსი. გაგრძელება. გური ოტობაია)

046

კოლხური ეთნიკური რერიტეტები (ლაშა ჯიქია)

112

ანა ციმინტია

(ჩვენი სავიზიტო ბარათი. ბაბუაწვერები)

115

ნომრის სპონსორია ბანკი „რესპუბლიკა“ (ფასიანი რეკლამა)

118

ქება და დიდება ქართულისაი ენისა (იოანე-ზოსიმე. X ს.)

122

„ფესტისის დისკო“ გახსნილია (გია კვაშილავა)

123

ქესქია

(რესპუბლიკის 2008 წლის საუკეთესო ფერმერი ფრიდონ კოდუა)

129

ძნები საბურავების სახურავით (ანონსი. რესპუბლიკის 2008 წლის საუკეთესო ფერმერი **გოდერძი წურწუშია**)

136

დოვლათის მექარაგნე (ანუ **მოგული სოსელიას** ფენომენისათვის)

137

AVE CAESAR!

(შავი ქაპარი აგანსად. 9 წლის მსოფლიო ჩემპიონი

139

სამშენებლო კომპანია „სანი“ (ფასიანი რეკლამა)

141

გზა მარიაშ დვთისმშობლის კვართისკენ(ყოველადწმიდა დვთისმშობლის სამოსლის ისტორიიდან. **მანანა ბუკია.**

142

წარმატებული პროექტი „აკვაპარკი“(დირექტორი **მანანა მიქაჯა.** ფასიანი რეკლამა)

146

თქვენთან ბოდიში, მაგრაშ... (ანუ ისიდა ჯანჯღახე რანაირად შემოუძახებს ძირით ზუგდიდელ, აწ მოსკოვის მკვიდრ ბიზნესმენს, ბატონ **ვანტანგ მიშველიას**)

149

ბოეტი რაულ ჩილაჩავა 60 წლისაა (ჟურნალ „კირბისის“ მილოცვა)

152



მაშორიტარული
საქართველოს აკოლოგია
რომანის თვითნაბადი გმირი

მაშორიტარი ფრანგული სიტყვაა და ჩვენებურად უმრავლესობას ნიშნავს. არჩევნების ეს სისტემა ყველაზე მეტად მორგებულია ფუძის ანგელოზის, ნერჩის, მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან. ამდენად მაშორიტარულ არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება კაცს, რომელიც მიუხედავად სხვა რეგიონში პოპულარობისა, ახალ მთავარეხავით გამოანათებს ხოლმე მის ქუჩებში, არ უჭირისუფლია მისი ჭირ-ვარამისათვის, მით უფრო, ისეთ კოლორიტულ ქალაქში, როგორც სადადიანოს ცენტრი ზუგდიდია. ჩვენი ბუნების გათვალისწინებით, საქართველო გაცილებით პრობლემური იქნება საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, რადგანაც ქართული ხასიათი ნაკლებად ეთანაწყობა გუნდურ მმართველობას. საპრეზიდენტო ქვეყანა რამდენადმე უახლოვდება ჩვენთვის ტრადიციულ მონარქიულ წყობას, მაგრამ, რადგანაც სააკაშვილის გუნდს მყარად გადაუწყვეტია „ნატოში“ გაწევრიანება, ამას კი ჩრდილოეთი ციებიანივით

შეკანკალებს, ხომ უნდა გამოიძებნოს ბერკეტები მის შესაფერხებლად? ოპოზიცია არც მალავს თავის ზრახვებს, უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში იგი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადებს, პრეზიდენტის პოსტს გააუქმებს და უმართავ სიტუაციას შეუქმნის ქვეყანას — სამოქალაქო ომს. აი, რა დილემის წინაშე დგას დღევანდელი საქართველო, სამეგრელო, ზუგდიდი, რომელმაც მსურვალედ დაუჭირა მხარი არჩევნებში დღევანდელი პრეზიდენტის კანდიდატურას. ფრიდონ თოდუა, მიუხედავად მრავალი მიმზიდველ წინადადებისა, აქტიური პოლიტიკისაგან ყოველთვის შორს იჭერდა თავს, მაგრამ როცა დადგა კრიტიკული მომენტი, მან ფასდაუდებელია როლი ითამაშა ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში შტაბის ხელმძღვანელის სტატუსით, სადაც დამაჯერებლად მოუგო კიდევ ოპოზიციას ურთულეს პირობებში. ამჯერად საქართველოს პრეზიდენტის უშუალო თხოვნით ფრიდონ თოდუა კვლავაც აგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი დასახელებულია ზუგდიდის მაშორიტარი დეპუტატობის კანდიდატად და დარწმუნებულია ბოლომდე მიიყვანს ერთხელ დაწყებულ საქმეს — უმრავლესობაში სამართლიანად მოვლენ



ევროპული ფასეულობებისათვის თავდადებული ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისათვის. ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობ ბატონ ფრიდონ თოდუას. ჭაბუკური იერის ჩამოვიდა იგი სამშობლოში 21 მეცნიერთან ერთად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თხოვნით. ოცმა ვერ გაუცლო უმძიმეს პირობებს, ხელად გაეცალნენ სირთულეებს. მხოლოდ ერთადერთი ბატონი ფრიდონი დარჩა გავერანებულ მამულში და სრულიად შავთმიანი ჭარმაგი, რალაც ათიოდე წელიწადში თვალსა და ხელს შუა შემოგვათეთრდა. ვინც მის კაბინეტში ერთხელ მაინც ყოფილა, იმდენი ჯილდო-სიგელის, იმდენი ფოტოსა თუ სავიზიტო ბარათის მნახველი უმალ გაოგნდება. ბატონი ფრიდონი მართლაც რომ მსოფლიოს რანგის მეცნიერია ჩვენი კუთხიდან. იგი რადიოლოგიის ფუძემდებელია, როგორც სამშობლოში, ისე — მის ფარგლებს გარეთაც. ათობით გამოგონების, ხუთასამდე ნაშრომის ავტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ყველგან პატივს მიაგებენ და მაინც უმთავრესი აღიარება ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიების ინსტიტუტიდანაა — იგი დასახელებულია 2003 წლის პლანეტის საუკეთესო ადამიანად **საზოგადოების წინაშე დიდი პროფესიული მოღვაწეობისა და კეთილშობილური დამოკიდებულებისათვის**. ამ გადასახედიდან სულ ერთი ნაბიჯია უმაღლეს მწვერვალამდე — ნობელის პრემიის ლაურეატობამდე. ბევრჯერ შევთავაზე ბატონ ფრიდონს წიგნი შემექმნა მ ასზე. ჯერ ადრეაო, ყოველთვის დელიკატურად ამარიდა თავი. მაგრამ ბოლო ორი წელიწადი ოჯახური პირობების გამო ისე დაგუაზლოვდი, იქამდე ჩავუღრმავდი ამ მართლაცდა იშვიათი ერუდიციის ადამიანის ცხოვრების წესს, კალმისკენ შეუთანხმებლად გამეცქა ხელი, და აჰა, რა ხანია რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ შემაჯამებელი მესამე წიგნის „ლაზარეს“ გმირად იძერწება. ბატონი ფრიდონი ჩვენი ჟურნალის — „კირბისის“ (ოქროს საწმისი) საკონსულტაციო საბჭოს წევრია მისი დაარსების დღიდან. მე მათებს ამ ადამიანის გემოვნება, პოლიტიკური სიტუაციის შეფასების უნარი, თუმცა ხშირად უყვარს თქმა: პოლიტიკაში ნაკლებად ვერკვევიო. ეს ყველაფერი რიგითების პროვოცირებისთვის მოგონილი ხერხია. აწ გვარიანად ასაკმოყრილს, გამოცდილსაც



ამავდროულად, მასზე უკეთ ვერავინ მასწავლა შეუთავსებელი საგნებისა და მოვლენების ჰარმონიაში მოყვანა.

ამასთან ბატონ ფრიდონ თოდუას განზრახული აქვს უამრავი საინტერესო პროექტის განხორციელება ზუგდიდის რაიონსა თუ სრულიად სამეგრელოში: უწინარესად იგი ნოვაციებს წაახალისებს განათლების სისტემაში — ყველაფერს გააკეთებს ჩვენი კუთხის ზენიტიერი გენოფონდის გამოსავლენად და მათი მეურვეობისათვის ადრეული ასაკიდანვე; განზრახული აქვს მემორანდუმის გაფორმება თურქეთის ერთ-ერთ რეგიონთან — შემოქმედებითი კავშირების დამყარება ჩვენს სისხლხორც ლაზებთან; საქართველოს დიასპრის მესვეურების შეკრება სადადიანოში — სამეგრელოს ლობის არჩევა; სამეგრელოს აღორძინების ფონდის დაარსება; დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა და ვინ მოსთვლის.

სხვანაირი ფრიდონ თოდუა მე ვერ წარმომიდგენია. ომერ ფაშას ასკერების წინააღმდეგ ამხედრებული სამეგრელოს სახალხო ლაშქარის მესვეური მართალია თოდუას შთამომავლის კვალობაზე, დღემდე ღირსეულად უტარებია ნამუსიანი კაცის სახელი; და რადგანაც ჯანსაღი ფესვებიდან აღმოცენებულა, თავად არის ბრწყინვალე მეცნიერი და მოქალაქე, თავად არის ჩინებული მეუღლე და მამა, თავად არის ორი ფენომენი შვილიშვილის შეუდარებელი ბაბუა და ეგეც რომ არა, რუსთაველის თქმულისამებრ, ყოველ მოსახვეჭელს სახელის მოხვეჭა ურჩევნია სიყრმითგან. ფრიდონ თოდუას არა თუ ზუგდიდის რაიონში, სრულიად სამეგრელოში ალტერნატივა არ მოეძებნება, როგორც მეცნიერს, როგორც მოაზროვნეს, როგორც ადამიანს, გნებავთ — როგორც მაჟორიტარობის კნდიდატს. და კიდევ ერთიც: წინა მოწვევის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის ზოგიერთმა კანდიდატმა ჩემი ლექსი „გვიმარა“ თავის საარჩევნო პროგრამაში ჩართო ჩემს უკითხავად და უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. ამჯერად ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ვინც ამ ლექსის შინაარსს ყველაზე მეტად უპატრონებს, ბატონ ფრიდონ თოდუაა, მის საარჩევნო კამპანიას ეძღვნება იგი მთელი არსებით, ხოლო გონებადაუნჯებულ ზუგდიდელებს ჩემგან არ ესწავლებათ ვინ უკეთესად უწამლებს მათ სატკივრებს, რომელია დღეს სადადიანოს სინამდვილეში ისეთი პიროვნება, ვინც წინაც წაიძლოლიება და უკანაც მიედევნები წარბის შეუხრელად.



**შუკა-შუკა, შარა-შარა...
ნარაზენი,...დიდინეძი...სურჩია**

ლამის თვენახევარს გასტანს ბატონ ფრიდონ თოდუას საარჩევნო კამპანია. 32 სოფელს და ქალაქის ქუჩა-ბანებს ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლით. სად სამას ადამიანთან გიწვევს საუბარი, სად — ორათეულთან. ყველა აუდიტორიას სათანადო გულისყურს მიაპყრობს სადადიანოს ნდობის მანდატის მაძიებელი. არადა, ეს ნდობის მანდატი უამრავ დეპუტატს ჩააბარა ელექტორატმა. თუმცა გაინადღეს პორტფელები და მერე ვის ახსოვს შენი დარდი და ჭირ-ვარამი?! ფრიდონი სხვა ჯილაგისაა. საპარლამენტო არჩევნებში ფორსირებული გამარჯვების შემდეგ ოთხიოდე თვეც არ მიწურულა და ლამის ოთხმოცჯერ იტრიალა ზუგდიდელების ქელესსა თუ ქორწილში, ვლაქენობასა თუ ბომბათცვენაში. ყველა დარბაზი დაუვიწყარია. ყველა მოედანი სამახსოვროა. ნდობით აღჭურვილი პირების გამოსვლები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ყოველთვის განსხვავებული ფრიდონ თოდუას ორატორიაა.



ამომრჩევლების სათხოვარი მოზომილია, ისინი სულ მცირედს ითხოვენ — ნორმალურ სამანქანო გზას, ავადმყოფობის სამკურნალო სახსრებს და პატმრების შეწყალებას. ახალსოფლელებს მთავრობამ ზედ სოფლის ცენტრამდე დაუგო ასფალტი და იქ დანა ხარის კუდზე გადატეხა. შეიდასი-რვაასი მეტრი დარჩენილა სასოფლო ხიდიდან.



აიღებს თავის თავზე ბატონი ფრიდონი ამ მონაკვეთის გასრულებას. სამეგრელოს გზების უმეტესობა ალამდარი ბატონი დემურ გადელია არჩევნებამდე ორი კვირით ადრე შეასრულებს ამ სამუშაოებს. დიდი ნეშში შლაგბაუმის მოსპობას რაღაც საათები დასჭირდება — არც მწვადი შეიწვება და ალარც — შამფური, გაკეთდება პესმაგვარი დანადგარი, სადაც მხოლოდ სამარშრუტო ტაქსები ეტევიან, დიდი მანქანები იქ ვერ გააღწევენ. ეს ყველაფერი ხელმრუდი ხალხის ბლოკირებისათვის გახლავთ მოფიქრებული. იტყვის კიდევ ერთი თანასოფელი: რა წყალში ჩავვარდენ, ბატონო ფრიდონ, წვრილშვილის მარჩენალი ერთადერთი ძროხა მომპარეს ამას წინათ და ჩემს დღეშია ახლო-მახლო სოფლებში სამასზე მეტი პიროვნებააო.



შეეხმინანებია პოლიციის უფროსს, თუკი უმაღლესად არ გამოსწორდება მდგომარეობა, სპეცნაზის ჩამოყვანას დაჰპირდება და მართლაც ორმოცდარვა საათში რვა თუ ცხრა ხარიპარია მეგრელს გაკოჭავენ თოკით, ისე რომ, ჭუჭყით გაზინთული ძოკოს მდგომარეობა შესაშურია. უჩივიან ბიზნესის მოუქნელობას, უჩივიან მიწების ფართომასშტაბიან პრივატიზაციას ხალხის გვერდის ავლით. ბატონი ფრიდონი ფრთხილი პოლიტიკოსია, მიუხედავად იმისა, უყვარს თავის მოქაჩლება და პოლიტიკისგან



შორს მდგომელ კაცად მოგეჩ ვენება . იძებნება პასუხები. ზოგს განგებ არიდებს თავს. ნარკოტიკით მოვაჭრე და მომხმარებლებია უმეტესწილად, აგრეთვე — ყაჩაღები.

— ესენი წამლავენ ჩვენს გენოფონდსო, ცოფებს ყრის მათი მოქომაგეების მისამართით. მხარის ჯანდაცის სისტემისგან მეტ სუბსიდიებს მოითხოვს ამ კუთხით, „კოლდაკითა“ ახალგაზრდობა დაწამლული, ნარკოლოგიური ჩარევების მაგივრად „მომაგე“ მშობლები ხონის ფიქიატრიულ საავადმყოფოში აგზავნიან ხელიდან წასულ შვილებს ამინაზინ-თერაპიით მოსასპობად. ავეიას თავლას დამსგავსებია ოდესღაც ბაღნარი კუთხე და იოლი არ არის პერაკლობა, ათწლეულების დარღუბალათა მკერდით გატანა. განსაკუთრებით სამახსოვრო ჩემთვის ენგურსგალმელი ხურჩის მოსახლეობაა. იქ ნათესავი უამრავი მყავს, ბერაიები, ჯაიანები... ხუთი საათით მომლოდინე მრეველში ხუტა ხუფენიას გოგოს ამოვიცნობ. ჩაივლის საარჩევნო აღთქმულობები, ნდობით აღჭურვილი პირების „ოჩენ ხარაშოსავით“ დაზვიერებული ფრიდონის ავტობიოგრაფია რამდენადმე გახალისდება თავად მაქორიტარობის კანდიდატის უშუალო აღთქმულობებით, მაგრამ ხალხი ფეხს არ იცლის, რაღაც მეტს მოელის, ამ გაურკვეველი მდგომარეობიდან გამომყვანს, და გული ველარ მომითმენს, პირველად დავძრავ ხმას ამ თვენახვერის მანძილზე საარჩევნო კამპანიას მუმიასავით ადევნებული. მეგრულად წავიკითხავ აწ თარგმანით დაბეჭდილი ლექსის სტრიქონებს:

**პა, შშვილდი და პა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
პაპის იყო, დღეს ჩემია,
როგორც შვილი მამის არი.
პა, შშვილდი და პა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ჩვენ ვინ მოგვცა გასაწირი,
საქართველო საფიცარი?!
პა, შშვილდი და პა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ორგულია?! მპაც რომ იყოს,
ქორწილის დღეს მიუწარი!
პა, შშვილდი და პა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი.**

დასცხებენ, მაგრამ რანაირ ტაშს?! ქონგურებს შეყუყუული მტრედები ფრთების ტკაცუნით აფარფატდებიან ცაში. მე დაბეჯითებით ვიცი რანაირი მუხტის მოლოდინშია ენგურსგალმელი თუ გამოდმელი მოსახლეობა. ფრიდონის მხარზე ამბორიც ამისი დასტურია — მისი უშურველი სიხარული ჩემი აშკარა ქომაგობის გამო.. მოგვაცილებენ მოკუმული ტუჩებით. ვხედავ მომუჭულ მუშტებს, თვალებში ჩახისტულ სისხლს და კიდევ — ენით აღუწერელ იმედს, რომელიც ბატონი ფრიდონის საარჩევნო კამპანიას პირველსავე დღიდან დაეხედება. ხალხის ნდობაზე უკეთესი ჯილდო არ მოუგონია გამჩენელს, განსაკუთრებით, როცა ეს ნდობა განადღებულა ერის რჩეულის უანგარო თავდადებით.



რა არის სულ იპოვითლოვითის რომ იპახინან,
ნინას არაფერი ბაშკომბობა უმითვის?!

მზე მთის კალთებს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება
და ჩრდილები სეთა.
ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იმზირება,
მოწყენილი დედა.

ქალბატონ ნინა ცხადია-თოდუას ფოტოს აღსა-
ბეჭდად წვეულს, რატომღაც აღუქსანდრე საჯაიას
ეს აკარა სტრიქონები მომაგონდება უცაბედად: ზის
აივანზე ნაჯაფარი დედა და სევდიანად გაჭყურებს
სივრცეს, რომელიც მისი სახელოვანი შვილის ბატა-
რათის სურათებითაა გაჯერებული: პირველად ამოჭ-
რილი კბილი, პირველი გაუბედავი ნაბიჯები, ბაბა-
ბაბი, სკოლა... ნეტარებით მაშინ ყოფილა საესე, თდექ
მშობლის თვალსაწიერზე ტრიალებდა რჩეული პირ-
მში. მერე და მერე მრავალი ლანდი ჩადგება მათ შორ-
ის: კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალები, შორე-
ული რუსეთის უდასასრულო ტრამალები.

ბატონი ფრიდონი თავის საარჩევნო გამოსვლებ-
ში ხშირად მოიგონებდა ერთ ეპიზოდს:

საბჭოეთის სივრცეში რადიოლოგიის დამნერგავი
მეცნიერი სახელმწიფო ბრემიანზეა წარდგენილი. მალე
დაჯილდოების ცერემონიალი შედგება კრემლის სე-
ტებიან დარბაზში. ქალბატონი ნინა ზუგდიდშია და
მოსკოვიდან ელსმენით ესმინება მშობელს:

— სანერგიული არაფერია, მაგრამ ერთი თხოვნა
უნდა შემიხრულო, უნდა გამოეწყო საზეიმოდ, შენე-
ბური დასვეწილი გამოვებით და სასწრაფოდ ჩემ-
თან ჩამოსვიდე. აქ შესვედრა მაქვს ამხანაგებთან,
მინდა შენც მასლდე. — ქალბატონი ნინა მესიაკონია,
რას გამოაპარებ თუ რანაირ შემთხვევაში ეპახინან
მშობლებს კრემლში, მაგრამ მოგლენებს არ ასწრებს,
თავს იკატუნებს.

აგერ, ხალხით გადაჭედულ დარბაზშია კოლხი
ქალბატონი, ყირმიზის სახის, ფრესკიდან ჩამოსულ
ანგელოზის ალი-კგალია. სამოსელიც გემოვნებით
შეურჩევია ძმისშვილს, ქალბატონ ელისო ცხადიას.
უამრავი სიგელისა და ჯილდოს ბატონია ჩვენი ნინა.
„ზუგდიდ-ვაჭრობაში“ ტრიალებს რაც თავი ახსოვს
და ამ სფეროში ჩინ-მედლის მოპოვება განსაკუთ-
რებული პატიოსანი ცხოვრების გარეშე ყოვლად
გამორიცხული იყო.

ავანსცენაზე პერესტროიკა-გლასტნოსტის რაინდი
მიხეილ გორბაჩოვია და იქიდან ებატიჟება პარტე-
რიდან მეცნიერების სსგადასსგა დარგში სახელმოს-
გეჭილ ადამიანებს. აჰა, კვარცხლბეკისკენ უნმობენ
მის ვაჟიშვილსაც გამოკვეთილი „იპოვითლოვითი“,
გადასცემენ დიბლომს, მედალს, ჩაასურათებენ.

ამაყი ნაბიჯებით უახლოვდება მეშკვიდრე და
თავისი ცხოვრების შემაჯამებულ აღიარებას უშურ-
ველად უსახსოვრებს რელიკვიასავით: „ყველაფერი
შენ გეკუთვნის, დედა, ყველაფერი სულ შენი დამ-
სახურებაა!“

ქალბატონი ნინა ბედნიერების მწვერვალზეა. თვა-
ლებიდან დაბალუბით ჩამოსდის ცრემლი. მკერდში
მაღალ შუბლს ახუტებს საქვეყნოდ აღიარებულ პირ-
მშოს, თანაც ქვითინგარეული ხმით ეუბნება:

— მუ რე, ნინა, ირო იპოვითლოვითის იპახუნან, ნინას
მუთუნ ვაგკეთებუნო სქანდა?

გუკადრებათ, ქალბატონო, ნინა! ღირსეულ შვილებს
ღირსეული დედები ძერწავენ მხოლოდ! ამაზე 3800
წლის წინანდელი „ფესტოსის დისკოც“ მეტყველებს
ცხადლივ, რომელზეც ღვთაება ნენანას საგალობელია
ამოტყფრული, იგივე ნერჩის, დედაბოძის, გნებაგთ —
ფუძის ანგელოზის ფენომენი, პროტოქართული ჯიშ-
ჯილაგის უტყუარი წარმატების საწინდარი, კოლხ-
იბერთა უკვდევების სიმბოლო!



ორ ძიას შუა

დავით გურამიშვილზე უკეთ არაფერს უწყის კახელების აღმა სწული და ქართულელების დაღმა ფარცხული საქართველოსი, მაგრამ არც სადღეისო ზუგდიდშია განსხვავებული ვითარება. ორ ძიას შუა ყოფნამ მოინულა წლების მანძილზე სრული სადადიანო. ბირჯაზე გამოსულს ჩაგლილ მეგობარისადმი გულშემატკივრობა ვერ გამოვინატრავს სმაძალდა, ვინაიდან შესაძლებელია, შენთან მოსაუბრე მაგანის მოწინააღმდეგე გამოდგეს და ხათაბალაში გაეხვიო. ორ ძიას შუა ვიყავით სწორედ. მარჯვენას ყური ვერ მოეფხანა მარცხენის უკითხავად და – პირიქით. აი, რანაირი სადადიანო ხვდა სამაჟორიტაროდ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სმირკერს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას. მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა მისი ადლოიანობის. თვეობით ვიტრიალე მის საარჩევნო ბატალიებში და ბოლომდე დაგრწმუნდი, რომ რკინისებური მოთმინების წყალობით მთავარ, სახელმწიფოებრივ გზაზე დააყენებდა სხვადასხვა სივრცეებისკენ მსწრაფველ პირვებებს, რომელთა ამბციებმა ძვირადღირებული უამრავი დრო შეიწირა საზოგადოების საზიანოდ. ბატონი ფრიდონის ამ უნარიანობის შემდგომ გაშლაზე ჰკიდა ახლა, აჯერ – ზედა ფოტოებზე ხალხის ტალღაში მომწვედელი წითელბალტიანი დარჩეული გოგონასი თუ თეთრყაბალანიანი მისი შეილიშვილის სვალინდელი ყისმათი. სხვანაირად ვერასდროს გაბლწევენ ისინი პრივიციული ეგოიზმის შმორიდან. სხვანაირად ვერადროს მიუგა თავთავის ნავსაყუდელს ჩვენი ეკლესია-მონასტრების მიტაცებული სიწმინდეები. სხვანაირად ყოველთვის სანახევრო ღიმილს დაგსჯერდებით – სანახევროდ ჩამორთმეულ ხელს და სანახევროდ გატეხილ პურს. სხვანაირად ცალკებად მოგვიწვევს გაბუდმებით ყანაში გასვლა და რაგბის მოედანზე ლელოს გატანა. სხვანაირად სანახევროდ მოგვიწვევს გაბუდმებით „ოდოიას“ დაქუხება თუ „ხორუმის“ მუხლჩაუხრელობა. სხვანაირად სანახევროდ მოგვიწვევს საბუდაში განსასვენებლისათვის ძვირფასი ნათესავების მიბარება და თვით უკვდავებაც სანახევროდ მოგვაშავდება საგალალოდ. ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ ტრიალებს ბატონი ფრიდონი ქელესსა თუ ქორწილში, ლაქერნობასა თუ საზოგადო შეკრებებზე. ამიტომაც მოითხოვს იგი თითოეული ზუგდიდელისაგან ერთიანი მომავლის სადარაჯოზე დგომას, ჩვენი დათითოკაცებული ავადსახსენებელი ხენის აღმოფხვრას. დიდა მისი ძალისხმევა ამ გზაზე და შედეგანი. დღევანდელი საქართველო, სამეგრელო საოპერაციო მაგიდაზე გაყვანილ პაციენტსა ჰგავს, სადაც ოპერაციის ნებისმიერი წვერი: ასისტენტი, ანესთეზოლოგი თუ სხვა, აუცილებელი კომპონენტია. ცხადია, ამ საქმეში მთავარი პერსონა თავად ქორუგია, მაგრამ დამხმარე ძალა მასაც სჭირდება. თქვენ ფრიდონი გქვიათ ჩვენო მაჟორიტარო, უღალატო მეგობრობის განსახსიერება. ჩვენი იავარქმნილი სამშობლო უწინარესად „ურგუნოდ ვით იმღერეთოს“ კომპლექსმა გათანგა. მრავალათასიანი ამომრჩეველი უწინარესად ამ ხენის განკურნებას მოითხოვს. თქვენ უკვე ბევრი მოახერხეთ გუნდური თანამშრომლობის სასარგებლოდ. საერთო ინტერესები თანდათან იმარჯვებს ვიწრო-პიროვნულზე. თქვენც ხომ ეს გნებავთ, რაცა თხისი წლის შემდეგ მხრებგაშლილად უნდა გაიართო სათაყვანებელ ჭადრების ხეივებში და ხალხმაც სიყვარულით მოგდგნოს ზურგს უკან: „ჩვენი იკოლოტოვიჩი, ჩვენი ნინა ცხალას ბიჭი, ჩვენი ფრიდონ თოდუა.“



საზოგადოება „ზუგდიდელი“, რომელიც ამას წინათ შექმნა, და რომლის ხელმძღვანელობის არჩევას დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, თანდათან ძალას იკრებს. ჩვენ „ენგურპესელების“ ფეშენებელურ ოფისში ვესწრებოდით „ზუგდიდელის“ შეხვედრას ადგილობრივ ბიზნესმენებთან და გულით ვირწმუნეთ, რომ მისი თავმჯდომარე, ბატონი **ოთარ ფაცაცია**, ცხოვრების ახალ ფაზაში შედის. სახელმწიფომ ერთი პერიოდი ახალგაზრდა ხალხი დააწინაურა ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ როცა ხუჭუჭა თავებმა ვერ შეასრულეს ბურლაკების საშვილიშვილო მისია მეჩჩეზე გახირული წუთისოფლის ხომალდის გასათრევად, კვლავ გაუმართლებლად იგნორირებულ ჭალარა ადამიანებს მიაპყრო მზერა. თუკი დარღვეულია კავშირი თაობათა შორის, თუკი ბაბუა-მამა-შვილიშვილი აღმშენებლობის ერთ ფერხულში ვერ ჩაბმულან, იქ ნებისმიერი ინიციატივა განწირულია. ბატონმა ოთარმა შეკრებაზე მოწვეული ტელეკომპანია „ოდიშის“ კორესპონდენტები დელიკატურად უკან მიაბრუნა, და ერთგვარ უხერხულებაშიც კი ჩამაყენა ამისი ინიციატორი.



— ჩვენ ჯერ არაფერი გავგვიკეთებია საიმისოდ, რომ საზოგადოების წინაშე ბუჭი დავაყენოთ, — ბრძანა წამოჭარხლებულმა ჩემს გასაგონად, — იყო ინფორმაცია დაფუნდების თაობაზე და ჯერხანობით ეს ვიკმაროთ! მოწვეულ ბიზნესმენებს გაუჭირდათ თამამი ნაბიჯების გადადგმა ორგანიზაციის წელში გასამართად. შემოწირულობების გაღება აუქციონს დაემსგავსა: 50 ლარი ყოველთვიურად! 100! 150! 200! 500! — საინვესტიციო თამასამ განსაკუთრებით ბატონ **თემურ სურგულაძის** ძალისხმევით აიწია და მაღლობა მას სამაგალითო თავგამოდებისათვის. ცხადია, მსგავსი წუწულობით გაჭირდება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოფილი პრემიერის მეობაში მეორე სუნთქვა ჩაირთო და დიდი ვეზირის კვალობაზე, გვჯერა, მრავალ სასახელო საქმეს დაძრავს ადგილიდან მთელი კუთხის სასახელოდ.



მეორე სუნთქვა

**ოთარ ფაცაცია —
სამეზრელოს დიდი ათეულის კვიდრი
(„კირბისი“)**



T B C BANK

გაუმჯობესებელი უმჯობესი
დაუმჯობესებელი უმჯობესი
თავისთვის უმჯობესი
უმჯობესი უმჯობესი



დასტაქარი

ბელეტრისტული ინტერვიუ
წმინდა ლუკას სახელობის ზუგდიდის
სამედიცინო ცენტრის დირექტორთან,
ბატონ როლანდ ახალაიასთან



— ბატონო როლანდ, დასაძალი არაფერია და საბედნიეროდ დიდი აღმშენებლობაა დღეს ჩვენს სამეგრელოში, ჩვენს ზუგდიდ-ქალაქში. მე წლების მანძილზე მიტრიალია აქ, სხვადასხვა ხელისუფლების, სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის დროს და მეტნაკლებად გარკვეული ვარ სიტუაციაში. ბოლო პერიოდი ბატონა წყვეტა მქონდა სადადიანოსთან თჯახური პირობების გამო, მაგრამ ვაჯობეთ მწუხარებებს და აგერ ვიმყოფები, ვაკეთებ სამეგრელოს ჟურნალს. მე წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი წმინდა ლუკას სახელობის ზუგდიდის სამედიცინო ცენტრის პრეზენტაციას და იქ იყვნენ ძვირფასი ადამიანები, ჯანდაცვის მინისტრი, ბატონი ალექსანდრე კვიციანი, ზუგდიდის მაჟორიტარი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ბატონი ფრიდონ თოდუა. იყვნენ დეპუტატები, საზოგადოების საპატიო წარმომადგენლები და გადაუჭარბებლად ვიტყვი: პირდაპირ გაოცებული ვარ ასეთ უმოკლეს პერიოდში როგორ, რანაირად მოხერხდა ამნაირი მაღალი რანგის დაწესებულების აშენება-დაკომპლექტება, ტექნიკური აჭდურვა ყველა





იმ საჭირო ინვენტარით, რაც დღევანდელი მედიცინისათვის არის აუცილებელი. თუმცა ჯერ უწინარესად მკითხველს თავი წარმოუდგინეთ.

— ჩემო გური, რა ვიცი, ახლა, ბაბუაჩემის ბაბუა აქ ცხოვრობდა, სადაც ამჟამად ჩვენი საცხოვრისია. ისე კი მგონი ესენი ჩხოროწყულან არიან. იქით, ნაკიანი, ჭოლა, და იქ არიან ძირითადად. ახლაიები მარტივშიც ცხოვრობენ, კიწიაში. ჩემი წინაპარი კი დაახლოებით ორასი წელია, რაც ზუგდიდში მკვიდრობენ. აქ დავიბადე. აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა.

— რომელი სკოლა ბატონო, როლანდ?

— მეხუთე საშუალო სკოლა „ენგურქალაღ-კომბინატში“ რომ იყო. მამაჩემი პედაგოგი გახლდათ. იქ მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად. შემდეგ დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, ახლა უნივერსიტეტი რომ არის. ორი წელი აფხაზეთში ვიმუშავე.

— სად, სად, ბატონო როლანდ?

— სოხუმსა და ტყვარჩელში. შემდეგ წავედი რუსეთში. მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის, ახლა აკადემია რომ არის, იმისი კლინიკური ორდინატურა დავამთავრე და 1983 წლიდან ვმუშაობ აქ. ჯერ ქირურგიული განყოფილების გამგე ვიყავი. 2005 წლიდან ვარ ამავე საავადმყოფოს დირექტორი, მთავარი ექიმი.

— ოჯახი ბატონო როლანდ?

— მეუღლე ექიმაა, პედიატრი, ნეანოტოლოგი. მყავს ორი ვაჟიშვილი.

— ქალბატონი რა გვარის ბრძანდება?

— სიჭინავა მედეა. სენაკელი გახლავთ. როგორც ვთქვი, ორი ვაჟიშვილი მყავს. უფროსი მეხუთე კურსელია სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო უმცროსი მეორე კურსელი ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე.

— ბატონო როლანდ, ნუ გაგიკვირდებათ, ცოტა შორიდან თუ დავიწყებ საუბარს:

გულდასაწყვეტია შედეას ქვეყანაში, რომლის სახელიდანაც წარმოსდგება ამ დარგის არსი, ჰეკატეს ბაღის მხარეში, მედიცინა პრიორიტეტული არ გახლდეს. თითქოს თავის დროზე ყურადღება ექცეოდა ზოგიერთ დისციპლინას, უფრო სარფიანი რომ გახლდათ. ონკოლოგიური პრობლემა კი პრობლემად დარჩა. გვყავდა ჩვენ ჩინებული ავტორიტეტები, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სადღეისოდ ჩვენს კუთხეს საამაყოდ ბატონ ფრიდონ თოდუას სახელიც ეყოფა, მაგრამ დიპლომატიამ კატასტროფული მასშტაბი შეიძინა და მივიღეთ კიდევ დანლისა და მომხმარებლის დამოკიდებულება.

სახელმწიფო აფინანსებდა პრიორიტეტულ დარგებს მამონას ან ჩხიკვ-მამიდაშვილობის პრინციპით და მოსწრებიხართ თავადაც ავგიას თავლას დაემსგავსა ეს უკეთილშობილესი დარგი. თუმცა თანამედროვე ცხოვრებამ



გადღობის ახლებური მიდგომები მოითხოვს, ახლებური აზროვნება ყველგან და ყველაფერში. სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შეცვლამ კარდინალურად განსხვავებული კუთხით წარმოაჩინა ტრადიციული თუ მიმდინარე ჭრილობების მოშუშების აუცილებლობა. მაინც რომელ ღვთისნიერმა მოიაზრა, რომ ეს ცენტრი ამ მიმართულებით აღმსდგარიყო მკვდრებით, როგორც ფენიქსი და განსაკუთრებით ბატონ მამუკა ჯანაშვილის ფენომენზე მინდა დაწვრილებით ვისაუბროთ. ჩაფიქრებული გვაქვს მასთან დიალოგი, მიუხედავად მისი დროის დეფიციტისა.

— მე იდეის დონეზე არ ვიცი ეს ვის მოუვიდა აზრად, თვითონ ეს სახელმწიფოს და ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების იდეა იყო, რომ წამოაყენეს „ასი ახალი საავადმყოფო“. აი, აქედან მოდის ეს იდეა და ერთ-ერთი ჰოსპიტალური ქსელი გახლავთ ჩვენი ქსელი, რომელსაც ამჟამად ჰყავს თავისი მეპატრონე და სასიხარულოდ ვხედავთ როგორი მდგომარეობაა ირგვლივ — როგორც ტექნიკურად, ისე ყოველნაირად ძალიან გამართულია. ძალიან კარგად მუშაობს ეს დაწესებულება და ამაში მე მგონი, აი, თქვენს მიერ ხსენებულმა „იდეამ“ განუსაზღვრელი როლი ითამაშა, პოზიტიური როლი. ჩვენი მეპატრონე ბატონი მამუკა ჯანაშვილი, მერე მამამისი ბატონი ვახტანგი, ფრიად ცნობილი პიროვნებები გახლავან. ბატონი ვახტანგ ჯანაშვილი „მედპროექტის“



ამადარი მუშაკი იყო, დიდი ხანი იტრიალა იქ.

— პროფესიით ექიმი ბრძანდება?

— არა, ინჟინერი კაცი გახლავთ, არქიტექტორი. „მედპროექტის“ უფროსი იყო და საერთოდ ორივე, მამაცა და შვილიც, ძირითადად სამედიცინო დაწესებულებების პროექტირებაზე მუშაობდნენ და ამ საკითხებით იყვნენ დაკავებულნი. საქართველოში მე მგონი ამათზე უფრო პროფესიონალები, ამათზე დიდი სპეციალისტები ამ კუთხით არ არსებობენ და არც არიან. ესენი პიონერები გახლავან და ამანაც ჩვენ საკმაოდ შეგვიწყო ხელი. თვითონაც ხედავთ, რომ პროექტი როგორი არი, რანაირადაა ყველაფერი გათვლილი. თავდაპირველი შენობა იყო ძველი, კომუნისტური, მოუქნელი, მაგრამ დღეს აქ თითქმის კარკასის მეტი არაფერი დარჩენილა. ყველაფერი გადაკეთდა და აბსოლუტურად თანამედროვე, დასავლური მოდელის ტიპის სამედიცინო დაწესებულებაა ჩვენი საავადმყოფო, დიახაც, მაგათი პროექტირების წყალობით.

— ბატონო როლანდ, შე ახლა თანავე უხერხულ შეკითხვას დაგისვამთ და ამის გამო ნუ მიწყენთ: შე ვესწრებოდი საპარლამენტო არჩევნების ბატალიებს, ბატონ ფრიდონ თოდუა რომ იბრძოდა მაჟორიტარობისათვის. მაშინ ფაიფურის ქარხანაში მოგვისდა ერთ-ერთი დონისძიების ჩატარება, და იქ ერთ ერუდირებულ ბიზნესმენს საყვედური წამოცდა თქვენი ობიექტის პრივატიზაციის თაობაზე, თითქოს ათას დოლარად გაყიდულა. არ ვიცი რამდენად შეესაბამება ეს ბრალდება სინამდვილეს, მაგრამ მივესალმები ამისთანა გარიგებას — კარკასის გაყიდვას ათას დოლარად, რომელსაც შეიძლება მსგავსი სასწაული სრა-სახლი მოჰყვეს. ჩვენ ამისთანა კარკასებს ინვესტორს მილიონებად თუ დაგუფასებთ, იმთავითვე დაგკარგავთ შემდგომი აღმშენებლობის გუნება-განწყობილებას. ასე რომ, წინდებული მაგალითის გათვალისწინებით, ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს მსგავსი გარიგებების ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

— ეს არის საქმეში ჩაუხედავი, უცოდინარი ხალხის რიტორიკა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც საქმის არსი ელემენტარულად არ იციან, ისე ზერეღედ ჭრიან და კერავენ, პარიჰარად საუბრობენ და ასე გამოაქვთ დასკვნები. აქ ჩვენმა მებატრონემ, ბატონმა მამუკა ჯანაშვილმა ჩადო ძალიან დიდი თანხა: ჯერ ერთ, ამისი რემონტი თავიდან ბოლომდე, მაგათი წყალობითა და მაგათი თანხით გაკეთდა. პლუს — 50 საწოლი. ამის ყველაფრის ტექნიკური აღჭურვილობა დაწყებული ვენტილაციიდან — კონდიცია, გათბობა... ხომ ხედავთ რა დონეზეა გაკეთებული და დავამატოთ ყოველივეს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგია და ტექნიკა, რაც არის კომპიუტერული ტომოგრაფია, ეხოგრაფები, ენდოსკოპია, ლაბორატორიული



ტექნიკა, საოპერაციო მაგიდები. ალბათ, თქვენ ნახეთ ჩვენი საოპერაციოები და ინტენსიური თერაპიის, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი, სადაც ყველფერი დგას მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე, დასავლური, ამერიკული და იაპონური, გერმანული და არამც და არამც რუსული. ჩვენთან არ არის ძველი საბჭოური, დრომოჭმული ჯარები. ამაში ჩაიღო ვეებერთელა კაპიტალი და ეს კაპიტალი ჩადო ამ ღვთისნიერმა კაცმა, ბატონმა მამუკა ჯანაშვილმა. ასე რომ, 1000 დოლარი კი არა, ეს უზის მაგას რამოდენიმე მილიონი დოლარი და ეს მოარული ხმები არის უცოდინართა, ან რაღაცნაირად განაწყენებულთა ხმები. მარტო ქვემოთ რომ დგას კომპიუტერული ტომოგრაფია, მარტო ის ღირს რამდენიმე მილიონი და ბოლო გამოშვების „სიმენსის“ ფირმის სინოგრაფები დგას იმაში, რა ქვია მაგას, პირველ სართულზე დიაგნოსტიკურ დეპარტამენტში? ჩვენ უნდა ჩვენი თვალთ ვნახოთ საოპერაციოები, იქ რომ არის დამონტაჟებული მონიტორები, ინფუზომეტრი რომ არი, საწოლი რომ დგას... ელემენტარულად ერთი საწოლი ღირს 3-4 ათასი დოლარი. ასე რომ, აქ ძალიან დიდი თანხა ჩაიღო ღვთისნიერი ჯანაშვილების მიერ და ეს მაგათთვის არავის უჩუქნია ათასად ან ასიათასად, თუნდაც მილიონად.

– **ბატონო როლანდ...**

– ნახეთ, ბატონო გური, რომ აქ მთელი სისტემაა, ვენტილაცია, აქტიური ვენტილაცია, კონდიცია, საოპერაციოებში, მიმღებში, კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში, იქ დგას სპეციალური მოწყობილობა, „ჩილეს“ ემხიან, რომელიც მთლიანად ცვლის შიდა კლიმატს და მთელს საავადმყოფოში, აი, ასეთი პირობებია — თბილი წყალი, გათბობა, იქ მარტო საქვებაში ყველა დანადგარი იტალიურია — ცხელი წყლის და გათბობის სისტემა, რომელიც გაზზეც მუშაობს, ელექტრონზეც და დიზელის საწვავზეც. ასე რომ, ეს ყველაფერი გაკეთებულია ძალიან მაღალ დონეზე. აქ ჩამოსული იყო ჩვენი თანამოქალაქე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჩვენი ექიმის, კოლეგის შვილი, დადა გარდაიცვალა, ჩვენი სათაყვანებელი დოდო ბერულავა და მისი გასვენებაზე. თავად შენგელაია. ის იქ საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარეა, ნიუ-იორკში. ჰოდა, რომ ნახა ეს საავადმყოფო, გაგიჟდა კაცი. თავიდან იგი ჯორჯიის შტატში ცხოვრობდა, ატლანტაში და ანარის უნივერსიტეტში მორღვაწეობდა. კაცი აღფრფოვანებული დარჩა. ნიუ-იორკში ყველა საავადმყოფო მოვლილი მაქვს და იქ არ მეგულება ამისთანა თანამედროვე სამედიცინო ცენტრიო. ახლახან გერმანელი ქალბატონი იყო ჩამოსული, აი, ევროკავშირის ეგიდით, ექიმი და აღტაცება ვერ დამალა, აგერ, დარეკა, სურათები დარჩენია, რაც გადიდო და იქნებ როგორმე გამოგვიგზავნოთ ინტერნეტიო. ვინც კი ჩამოვიდა უცხოელი, ყველა გაოცებას ვერ მალავს, არავინ არ ელოდა ზუგდიდში ასეთ უმოკლეს ხანში, ასეთ მოკლე პერიოდში რომ



გაკეთდებოდა ამისთანა თანამედროვე დასავლური ტიპის სტაციონალური სამედიცინო დაწესებულება.

— ბატონო, როლანდ, სხვათა შორის იმ პრეზენტაციის დღეს რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ ჩაიწერეს სხვადასხვა ტელეარხებმა. მაშინ ბატონმა ფრიდონ თოდუამ, კაცს რომელსაც შემოვლილი აქვს მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით ევროპის კლინიკები, დაუფარავად აღიარა: ეს სოცრებააო. აღფრთოვანებული ვარ რომ ევროპის ტიპის დაწესებულებას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ბატონ მამუკა ჯანაშვილის ძალისხმევით და მადლობის ნიშნად მსარზე ეამბოროა. აი, თვითონ ჯანდაცვის მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე კვიციანიშვილმა დაახლოებით იგივე გაიძეორა, ისიც საკმარისზე მატად გათვითცნობიერებულია ამ საფეროში. ყველაფერს თავი რომ დაგანებოთ, ამერიკულ მედიცინაში მაინც ხომ არის ჩახედული რიგანად. აქვე მინდა ბარემ ერთი საკითხიც გადავება ამ ეიფორიას. ამას წინათ მე განლდით რაიონულ საავადმყოფოში. იქ არის გინეკოლოგიური განყოფილება ქალბატონ ჩერქეზიშვილის შემწეობით. როგორც მან ბრძანა, ეს საავადმყოფოც ბატონ მამუკა ჯანაშვილს შეუძენია, ალბათ, ათას დოლარად... არ ვიცი რა მიმართულება მიეცემა იქაურ სივრცეს, სამედიცინო თუ სხვა რამ დანიშნულების, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგივე შედეგს მივიღებთ, რაც თქვენ გადმოგბერტყვიათ თავზე.

— აი, ზუსტად იმ საავადმყოფოს სანაცვლოდ მან გააკეთა 50 საწოლი დაუმატა აქ. ახლა იქ რაიონულის თანამშრომლები რომ არ დარჩენენ უმუშევრად, ამისთვის ბატონმა მამუკამ მოაწყო მედღებისთვის ათდღიანი ტრენინგები. შემდეგ ჩატარდა ტესტირება და აი, იმ საავადმყოფოდან ჩვენთან გადმოდის დაახლოებით ორმოცამდე მედპერსონალი. ასე რომ, ყველაფერი კეთდება ისე და იმგვარად, როგორც ეს ზუგდიდს ეკადრება, როგორც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს. ახლა მე არ მინდა ვინმე დავაკნინო, ან იმ საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შევეხო, მაგრამ თქვენ თვითონ ბრძანეთ და თქვენი თვალთ გიხილავთ იქაურობა როგორ მდგომარეობაშია. აქ, ჩვენთან მეორე ეტაპზე ჩატარდება ექიმთა ტესტირება, კონკურსი და ვინც ღირსეულია, ვინც ჭეშმარიტი პროფესიონალია, უმტკივნეულოდ გადმოვლენ ჩვენთან. იმათი ორმოცამდე მედლა ხომ ჩვენი ჭერის ბინადარია უკვე. ამას პროფესიონალი ექიმებიც დაემატებიან და ოდესღაც საქალაქო და რაიონულ კლინიკებად წოდებული დაწესებულებანი შეირწყმება. სანაცვლოდ ჩვენი თანამშრომლები, რომლებიც 25-30 წელიწადი მუშაობდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, ამდენი ხნის მანძილზე



ტრიალებდნენ მშობლიურ კოლექტივში, ტესტირების შედეგად, სამწუხაროა, მაგრამ დაემშვიდობება მორჩმულ მდგომარეობას. ეს არ არის ახირება, ეს თანამედროვე მოთხოვნაა. ავადმყოფი არ შეიძლება ჩვენ ჩავაბაროთ ისეთ ხალხს, რომელთაც დაბალი კვალიფიკაცია აქვთ. ამისი უფლება არავის აქვს. სიცოცხლეს ღმერთი ერთხელ აჩუქებს ადამიანს და მერე მისი პარიპარად განკარგვის უფლება არავის გააჩნია. ჩვენ გვჭირდება ზუსტად მაღალკვალიფიციური, როგორც საშუალო, ისე მაღალი რანგის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. ჩვენ ყველაფერზე ვაცხადებთ კონკურსს, უმცროსი მედლა რომ არი, აი, უმცროსი სამედიცინო პერსონალი, იმასაც უჭირს ამ ბარიერის გადმოლახვა. იმათ, რომელთაც აქვთ ადამიანებთან კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმთან ერთად უიოლდებთ გამარჯვების მიღწევა. ზოგი არის უხეში, არ იცის ავადმყოფთან საუბარი. შეიძლება იყო კარგი პროფესიონალი, მაგრამ ავადმყოფთან ურთიერთობა არ იცის ძალიან ბერმა ექიმმა და საშუალო თუ უმცროსმა სამედიცინო პერსონალმა. არ გააჩნიათ ელემენტარული ატრიბუტები, რომელიც ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს. ყველა ავადმყოფი ითხოვს გულისხმიერებას. მე შევსწრებივარ ამისთანა დიალოგს კომაში ჩაგდებულ პაციენტთან: **მე დაგსჯი შენ!** ეს ხომ ჯალათობაზე მძიმე დანაშაულია! შეიძლება ავადმყოფი საკუთარი მდგომარეობიდან გამომდინარე უხეშობდეს, ჭირვეულობდეს, მაგრამ ექიმს არა აქვს უფლება პაციენტს ადეკვატურად უპასუხოს, იმიტომ რომ ექიმი ჰქვია სახელად! სიცოცხლის მომნიჭებელი! ლამის უფალი! შენ ხარ სამედიცინო პერსონალი, რომელიც ვალდებული ხარ ავადმყოფს ყველაფერი გაუკეთო. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთს, აი, ეს ელემენტარული ვალდებულება ავიწყდება. პირიქით ზემოდან დაჰყურებენ დასნებოვანებულს და აქა-იქ მაზოხისტურადაც, ანგარიშსწორებითაც აფასებენ მათ მდგომარეობას. ჩემი ნება იყოს ამისთანებს დამნაშავეთა სკამებზე მივებრძანებდი! ზოგიერთი თავისი პროფესიული დონით მოიკოჭლებს, ზოგიერთს ოჯახური პირობები აქვს არეული, არ სცალია სამუშაოსთვის, იგვიანებს ერთი საათით, ორი საათით, როცა ხშირ შემთხვევაში წუთები წყვეტს საქმეს. ყველა პროცედურას აქვს თავისი დრო, ყველაფერი თავის დროზე უნდა გაკეთდეს, მედიცინა ცოტა რთული დარგია, ვიდრე ეს გარედან ჩანს. კაცმა შეიძლება ყველაფერი გადადო, შეიძლება სახლს აშენებ და თადარიგი ხვალისთვის მოიტოვო, ხვალ ჩავასხამ ბატონო ბეტონს თუ გამოიღარა, ხვალ გავმართავ აივანს და ასე შემდეგ, მაგრამ მედიცინაში სახვალყო და საზეგისო არაფერი გრჩება. რაც დანიშნულია, თავის დროზე უნდა გაკეთდეს აფთიაქარის სასწორის სიზუსტით და რა თქმა უნდა მაღალპროფესიულად. გულით უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი. უგულოდ არაფერი გამოვა. უნდა გიყვარდეს ავადმყოფი.



— ბატონო როლანდ გეხსომებათ, იქ, ეზოში შეგვხვდით რამდენიმე კვირის წინათ. მაშინ ვიკითხე ქალბატონი ჩერქეზიშვილი. თქვენ ბრძანეთ რაიონულ საავადმყოფოშიათ. იქ ერთი ჩემი ნათესავი მანდილოსანი მივიყვანე. ქუთაისიდან გინოკოლოგი უნდა ჩამოსულიყო, ბტონი მამუკა მიქაძე. მას იქ, ქუთაისში, სამედიცინო ცენტრი დაუფუძნებია შეიდი წლის წინათ. იქ ჩაუტარა ოპერაცია ჩემს სამეურვეოს. გულზე მომხვდა, თურმე მოპატიჟებული გყოლიათ პრეზენტაციაზე, მაგრამ ვერ მოვედიო. მერე სასწავთაშორისოდ დააყოლა: კადრების პრობლემა აქვთო. ამ დროს, მე დამსმენის როლში გამოვდივარ, მაგრამ მისმა ჩატარებულმა ოპერაციამ მაინცდამაინც დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ჯერ ერთი, პაციენტს მოუშადავებლად ჩაუტარა ოპერაცია, საშვილისნო ამოაცალა ქალს, მესამე დღეს გამოწერა და ასურგასი დღე იწურება სეფსისურ მოვლენებს ერკინება. ანტიბიოტიკების სარჯმა სამჯერ მეტი თანხა შეიწირა ვიდრე თავად ოპერაციამ. ესო, რაღაც ბაქტერიები აქვსო შეჭრილი ზემოდან თუ ქვემოდან. გაუფასურდა ჩემს თვალში მისი დიპლომები და სიგელები, თავისი ჭკუით გამაცურა ვითომ, ითითლიბაზა ქუთათურად. შიდა რესურსები ერთია, გარშემო არსებული დასვეწა, ამადლება, დაწდეგება, მაგრამ მე შეგესწარი იმ მომენტსაც, რომ თურმე თქვენთან სისტემატური ხასიათი ჰქონია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევის პრაქტიკას. გეხსომებათ, იმ დღეს, ბატონი სუტა პაჭკორია და მისი კოლეგები იყვნენ ჩამობრძანებულები თბილისიდან. უფასოდ მოემსახურნენ ასობით პაციენტს. მათ შორის ჩემს შუათანა ძმას, პროფესიით პროფიზორს, თენგიზ ფეტელაგას, რომელსაც რაღაც ავადმყოფობა ჰქონდა აკვიატებული და სულ სხვა დიაგნოზი დაუსვეს, მკურნალობას დაქვემდებარებული, როგორც პროფესიონალები იტყვიოთ: იატროგენის. წელში გაიმართა ადამიანი.

— მედიცინა, ბატონო გური, როგორც მოგეხსენებათ, ერთ ადგილზე არ დგას და ყოველ ხუთ წელიწადში ყველაფერი შეიძლება ყირამალა შეტრიალდეს. დღეს დოკმად მიღებული, შეიძლება ხვალ-ზევ კარდინალურად შეიცვალოს. ამიტომაც სჭირდება ექიმს განსაკუთრებული მუშაობა თავის თავზე. პრეზენტაციის დღეს თქვენ შემჩნევლით მეორე სართულზე, აი, ჩვენი ადმინისტრაციის გაყოლებაზე, სადაც საკონფერენციო დარბაზია, სასტუმრო მოვაწყვეთ, თავისი ყველაფრით. ეს ფეშენებელური სათავსები სტუმარი კოლეგებისთვისაა გათვალისწინებული, თბილისიდან იქნებიან ისინი თუ უცხოეთიდან. გვაქვს ამის გეგმა, მიმოწერაც და ალბათ, მალე ხელშეკრულებებიც გაფორმდება. ჩამოვიყვანთ უცხოელ სპეციალისტებს, რომლებიც ჩაატარებენ

ტრენინგებს, ჩაატარებენ საჩვენებელ გამოკვლევებს, საჩვენებელ ოპერაციებს, რათა ჩვენი კადრები გაიზარდონ, გახდნენ ზუსტად თანამედროვე დასავლური ტიპის სპეციალისტები. ყველაფერი შეიძლება გქონდეს შენი: ტექნოლოგია, სამეცნიერო ტექნიკა, მდგომარეობა, სიტუაცია დასავლური მოდელის და ტიპის, მაგრამ აუცილებლად საჭიროა კიდევ კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი. ამისთვის ჩვენი ნოვატორი მეპატრონე ბატონი მამუკა ჯანაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ზუგდიდში იყოს დასავლური სტანდარტების ადეკვატური სამედიცინო სამსახური. ჩვენი საავადმყოფო არასდროს განიცდიდა პროფესიონალი ექიმების დეფიციტს, მაგრამ ზოგიერთ ვიწრო სპეციალობაში გვიჭირს, კონკურსიც კი გამოვაცხადეთ, გამოვაქვეყნეთ გაზეთებში, გაავადრეთ ტელევიზიით, მაგალითად ანგიოქირურგია. გვჭირდება თორაკალური ქირურგი, ალერგოლოგი, ბავშვთა ნევროპათოლოგები. აი, რაიონული საავადმყოფოდან დაწერეს განცხადებები და ვინც მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, ყველა დაკმაყოფილდა. ესაა ბუნებრივი შერჩევის კანონი, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ჩვენ ახალ ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ. დასავლეთში ზუსტად ასეთი წესით ხდება შერჩევა. ჩვენ რაიონის საავადმყოფოდან გადმოვიყვანეთ ბავშვთა და მოზრდილთა ალერგოლოგი, რევმატოლოგი, რეამინატოლოგი და პლუს ამას კიდევ ორმოცამდე საშუალო სამედიცინო პერსონალი, მედღები და უკვე ჩინებულად ართმევენ თავს თავიანთ საქმეს.

— ბატონო როლანდ, აღბათ, სსჯანაშირად არ ჩამომართმევთ, მედიცინაში რამდენადმე ჩახედული შეუქმის. რომან-ტრიადა „სიცოცხლეშისჯილებს“ პირველი წიგნის მთავარი გმირი ფინი ანთარია ბიოლოგია პროფესიით. მისი პროტოტიპი ზოოგეტერინალური ინსტიტუტის პროფესორი აგლაძეა, აკადემიკოს ვაგილოვთან რომ შეგობობდა და გენეტიკის პრობლემებს შეეწირა აგბედით 37 წელს. ცოტა ჩახედული ვარ-შეუქი, მოკრძალებით ვაცნადებ, ვინაიდან, ბუნებრივია, მე პროფესიონალ საზოგადოებას ორლობის ენით ვერ დაგველაპარაკები. გამომდინარე აქედან, მე რამდენადმე დაგაკვირდი სამეგრელოს ეკონისტემას. ვატყობ რომ ჩვენ ყოფიერება ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დგას. ესენია — გინეკოლოგიური-ანდროლოგიური და კიდევ საუკუნის აგბედითი სენი — ნარკოლოგიური. მე რამდენიმე უნუგეშო პაციენტი მოვიყვანე თქვენთან. სონში ყოფილა ფსიქიატრიული დაწესებულება, საავადმყოფო და იქ გაუგრძელეს მკურნალობა, როცა მას სრულიად განსხვავებული მიდგომები სჭირდებოდა — ნარკოლოგის ჩარევა. ამინაზინ-თერაპიას უტარებდნენ და სელ-ფენი წაერთვა. ასლა ერთი პიროვნება ლოგინსაა





მიჯაჭვული, მეორე ძლივს დადოდავს. ხოლო რაც შეეხება, აი, ამ გინეკოლოგიურ-ანდროლოგიურ პრობლემებს, სომ არ გეჩვენებათ რადიაციის ფონის მომატების წყალობით?

— მე ამაზე ვერ გეტყვით. არცა მაქვს ამისი კომპეტენცია. ეს რადიოლოგებმა და სათანადო სპეცსამსახურებმა უნდა დაადგინონ. ისე სამეგრელოში გინეკოლოგია არ ვიცი, მაგრამ საერთოდ სიმსივნური დაავადებების რაოდენობით სხვა რეგიონებთან შედარებით, ალბათ, პირველ ადგილზე ვართ. ყოველ შემთხვევაში ვეხედავ, რომ ონკოლოგიური პრობლემები საკმაოდ ბევრია, და რაც შეეხება რადიაციას, ნამდვილად ვერ გეტყვით.

— და მიუხედავად ყველაფრისა, გინეკოლოგიური კუთხით თქვენთან ყველა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია?

— დიახ! დიახ! საკმაოდ მაღალკვალიფიციური მეანები და გინეკოლოგები გყავნან. ყველა სახის ოპერაცია კეთდება ჩვენთან. ახლა უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნევთ მინი ინვაზიურ ქირურგიაზე გადასვლას. ეს არის ლაპარასკოპული ქირურგია. უნდა შევიძინოთ თანამედროვე გერმანული წარმოების ლაპარასკოპი, რის შემდეგაც დაიწყება ოპერაციების გაკეთება. რაც შეეხება ტრადიციულ ოპერაციებს, ეს ოპერაციები ჩვენთან ყოველთვის კეთდებოდა მაღალკვალიფიციური მეანებისა და გინეკოლოგების მეშვეობით. დღეს საუბარია უფრო მაღალი დონის ინვაზიურ ქირურგიაზე და მაღალ ტექნოლოგიურ ოპერაციებზე. რა თქმა უნდა ყოველივე

დაკავშირებულია ფინანსურ პრობლემებთან, ისე ჩვენი მეპატრონის მოხერხებაზე. ამას სჭირდება ძვირადღირებული, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები და გვეიმედება, ბატონ მამუკა ჯანაშვილის წყალობით ეს პრობლემაც მალე მოგვარდება.

— ბატონო, როლანდ, ჩვენი საუბარი თანდათან შემაჯამებელ ფაზაში გადადის. ერთხელაც გაფიქსირებ: აღფრთოვანებული ვარ ამისთანა სიცოცხლისუნარიანი ცენტრის შექმნით ზუგდიდში. პრეზენტაციაზე ყოფნისას ჩვენ თვალი შევაგლუთ გაკრიალებულ სამშობიარო განყოფილებას. ბუნებრივია, ეს თემა ყველაზე სათუთია, ყველაზე ამაღლებული ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც შემოქმედისთვის. ჯანსაღად მოვლენილი შთამომავლობა ჩვენი ოდაბადეს ქვაკუსხედად წარმოქმნასება. აღმოჩნდა, რომ თქვენთან უკვე რამდენიმე მიმართულების სამშობიარო მეთოდი დაგინერგავთ.

— მართალს ბრძანებთ. მშობიარეს, ორსულ ქალს ჩვენთან შეუძლია ნებისმიერ, მისთვის სასურველ, ნაკლებად მტკივნეულ პოზაში იმშობიაროს. ეს უკვე მთელს მსოფლიოში მიღებულია. შეუძლია ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში მოილოგინოს, შეუძლია ბურთზე მჯდომარემ, შეუძლია შხაპის ქვეშ. ასეთი რამ მთელს დუნიანზეა აპრობირებული, ჩვენი მოგონილი არ გახლათ. ამგვარი მიდგომებით ორსულობის დროს გართულებები გაცილებით ნაკლებია. თავიდან ვიცილებთ ჩახვევებს, როცა მაგალითისათვის, ნებისმიერ ორსულს რახმანის

საწოლზე ამშობიარებდნენ ჩვეულებრივ პოზაში. არის სპეციალური სკამიც, რომელზეც მშობიარეს შეუძლია ჯდომა და უმტკივნეულოდ მიუალერსოს თავის ახლადმოვლენილ პირმშოს. მოკლედ, ჩვენთან ყველა ორსული დედა ინდივიდუალურ სამშობიარო დარბაზში მოილოცინებს. იქ სპეციალური საწოლი არის, რომელიც პოზას იცვლის, ნებისმიერ მდგომარეობაში მოიყვან. იქ არის სპეციალური ბურთი, რომელზეც ჯდება ორსული ქალი და ჩემო ბატონო, არის ხალიჩაც, შეუძლია იატაკზეც დაგორდეს. ასე რომ, ყველაფერი ხდება ბუნებრივ პირობებში, პაციენტის სურვილისამებრ, მისი ორგანიზმის ვითარების შესაბამისად. ამგვარი მიდგომებით გართულებები ერთიასად მცირდება, ვიდრე სტანდარტულ პირობებში, როცა ქალი აუცილებლად მშობიარობდა სპეციალურ სამშობიარო მაგიდაზე.

— ბატონო, როლანდ, ჩვენ თითქმის მიგუანლოვდით საუბრის კულმინაციურ წერტილს. აი, უშუალოდ თქვენს კოლექტივზე გვინდა ვილაპარაკოთ. როგორია თქვენთან ანაზღაურება, იფიქვთ გასამრჯელო, აქაც თუთაშისასებურადაა საქმე, ხელფასს უნდა ეყოს კაცი თუ პირიქით?

— ნუ, ანაზღაურება იცით... ყველაფრით კმაყოფილი ადამიანი იშვიათია, მაგრამ სტატისტიკას ვერსად გაექცევი. ჩვენთან ექიმის საშუალო ხელფასი რვაას ლარამდეა. მეტი ხელფასი შედარებით ნაკლებია — 200-220 ლარი. მალე ხელოვნური დიალიზის განყოფილება რომ გაიხსნება, შემდეგ ავადმყოფთა რაოდენობა, რა თქმა უნდა გაიზრდება, მუშაობაც სწრაფად წავა წინ. ძალიან მაგრად მუშაობენ კერძო სადაზღვევო კომპანიები და ძალიან ბევრი ავადმყოფი შემოდის, ყველა, ყველა, ჯი-პი-აი, „ალდაგი“, სხვანი და სხვანი და ყველა კომპანია წარმატებით თანამშრომლობს ჩვენთან და აი, ამ სადაზღვევო კომპანიების ასეთმა ინტენსიურმა მუშაობამ ავადმყოფთა რაოდენობა ერთიორად გაზარდა. რაც უფრო მეტი ავადმყოფია, ოპერაციაც მეტი კეთდება და რაც უფრო მეტ საწოლზე გაატარებს ექიმი და მედდა, მით უფრო მეტია მათი ხელფასი. ეს არ არის ზღვარი, თითქოს ამის ზემოთ არ გაიზრდება ჯამაგირი. მე მყვანან ექიმები, რომლებიც 350-300 ლარს იღებენ. ეს ყველაფერი მოდის შენგან. რამდენ მეტ ავადმყოფსაც ჩაუტარებ კონსულტაციას, რამდენ მეტ საწოლ დღეს გაატარებ, რამდენ მეტ ოპერაციას ჩაატარებ, რაც უფრო წარმატებული ექიმი ხარ, მით უფრო მეტია შენი ხელფასი. აქ არის არჩევითობის პრინციპი. ავადმყოფი რომ შემოდის, ის თვითონ ირჩევს მკურნალ ექიმს და მედდას. ასეა მიღებული ალმათისა და ამსტერდამის დეკლარაციებით. ასეა მთელს მსოფლიოში აპრობირებული. ავადმყოფს აქვს უფლება აირჩიოს თავისი მკურნალი ექიმი და სამედიცინო დაწესებულება. ამიტომაც ყველაფერი დამოკიდებულია თვითონ პიროვნებაზე, ექიმზე, მის ერუდიციაზე, რათა იყოლიოს მეტი პაციენტი და აქედან გამომდინარე ხელფასიც სოლიდური გამოიმუშაოს. თუ 2-3 წლის წინათ ხელფასი 60-70

ლარი იყო და 150 ლარზე ზევით წარმოუდგენელი იყო, დღეს ამისთანა თანამშრომელი ჩვენთან გამორიცხულია. როგორც გითხარით ექიმის საშუალო ხელფასი არის 800 ლარი და ამავდროულად გყავს 3000-4000 ლარიანი გასამრჯელოს პრეტენდენტებიც.

— ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ როგორია ბატონ როლანდ ახალაიას თავისუფალი დროის პრობლემა? თქვენი გატაცებები ლიტერატურის, ხელოვნების სხვა დარგებით?

— გატაცებისთვის ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ლიტერატურა ძალიან მიყვარს. ქართველი მწერლებიდან ჩემი სათაყვანებელი იყო და რჩება კონსტანტინე გამსახურდია. ვალმერთებ გალაკტიონს.

— სხვათა შემოქმედებისათვის თუ მიგიწვდებათ ხელი?

— როგორ არა. ყველა რომანი მაქვს წაკითხული ჩვენი კუთხიდან თუ შეთხზულა. ამასთან ძალიან მომწონს სამხრეთ-ამერიკული ლიტერატურა, კერძოდ, მარკესი და ბორხესი.

— „მარტოობის ასი წელიწადი,“ „სამხრეთის შარავზა“...

— „პატრიარქის შემოდგომა“ რას უწუნებ?! რა ვიცი, შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობ დროს არ ჩამოვრჩე. ამასთან მე მიწევს ყოველდღიურად სპეციალური ლიტერატურის კითხვა. დრო ერთი დღით ჩამორჩენას არ გააპატიებს. მიყვარს ფეხბურთი და ბავშვები. ჩემი ბიჭებიც ფეხბურთის გიჟები არიან. ბატონ ზვიად სიჭინავას „ბაიამ“ ზუგდიდური ფეხბურთი ლეთარგიული ძილიდან გამოაფხიზლა, აი, რეანიმაციაში მყოფს, უკე მოკეთებულს პალატაში რომ გადაიყვანენ, მერე გაივლ-გამოივლის, ახალშობილივით თავიდან აიღვამს ფეხს. რაც შეეხება ნარკოტიკებს, აი, მათგან ახალგაზრდობის გადარჩენის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი. სპორტი, აქტიური სპორტი, აი, ჩვენი მომავალი თაობის სრულყოფის გარანტია.



დაჩი საგარკელს დაეუფლა

ჩვენი შეხვედრა ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრთან დაჩი ბართიას წყალობაა. ქალბატონ ქეთევან კვარაცხელიას ბევრი გესაუბრეთ პერკისით დაავადებული ექვსი წლის ბიჭუნას პერსპექტივებზე, მაგრამ უნუგეშოდ. ჩვენ ყველაფრის პარალელურად დიალოგი არ შეგვიწყვეტია ორთოპედ ქალბატონ მზია შენგელიასთან. ვაგროვეთ დიაგნოზები გერმანიაში წარსაგზავნად არასამთავრობო სექტორის სელმდგანელის, ქალბატონ ნანა აბრამიას ქომაგობის იმედით, მაგრამ ვერც ამან გამოიღო რეალური შედეგი. ზუსტად ექვსი თვის წინათ ეს კაბინეტი გათხრებული იყო. ამ ხნის მანძილზე ბატონმა მამუკა ჯანაშვილმა ფეხზე წამოაყენა გაძვალტყავებული შენობა. ამასობაში გერმანიიდანაც ჩამოვიდა ორაზროვანი პასუხი: კიდევ მკურნალობას ექვემდებარება თურმე ჩვენი დაჩი, და ოპერაციაც შესაძლებელია. მე სასწაულების ნამდვილად მჯერა. დარწმუნებული ვარ, რამდენიმე თვეში, წმინდა ლუკასა კლინიკა ჯადოქრობებს მოახდენს და დაჩი ბართიაც ეღირსება თავის სანუკვარ ოცნებას – ფეხბურთის თამაშს. მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ვერცხლისწყალივით მოძრავი ამისთანა ანგელოზის მნახველი ნამდვილად არ ვარ. ყველაფერი უფლის განგებითაა. გამორიცხული არ არის, დიასაც, აქ, ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრში ახლო მომავალში საფუძველი ჩაეყაროს ორთოპედულ მიმართულებებს და უცხოეთში სექციალი სულაც არ დასჭირდეს დაჩისთან ერთათ ასობით კოლხ მოზარდს. ყველაფერი ბატონ მამუკა ჯანაშვილის ნება-სურვილზე ჰკიდია. რატომღაც მჯერა, სასოწარკვეთილებამდე მჯერა, აუცილებლად გაიხსნება აქ ნარკოლოგიური განყოფილება, ორთოპედული სამსახური, რათა ჩვენმა მოზარდმა თაობამ თამამად გაირბინოს ქუჩაში, ხალისით იკუნტრუშოს მოედანზე, ხელ-ფეხის დაყვლეფამდე ასხმარტალის ლახი, სასწაულებს მიაღწიოს „კარატე დო“-ში, და რაც მთავარია, თავგადაკლულმა სდიოს მოუსვენარ ბურთს შუკა-ორდობედან იგავშიუწვდომელ „ბაიაშვილ“. დარწმუნებული ვარ ყველაფერი ასე გასრულდება!



დაჩი „ბაიაში“ ითამაშებს!



**ზვიად ნიჭინაია —
სამიზნაკლოს დიდი ათეულის მკვლელი
(„კირბისი“)**

საქართველოში ბრილიანტი ბავშვები იზრდებიან

— მოგესალმებით! მე, ყოველთვის ძალიან მიყვარდა ფეხბურთი და დიდი სურვილი მქონდა ფეხბურთელობის. მაგრამ სამწუხაროდ საამისო მონაცემები არ მქონდა... ამიტომაც საფეხბურთო სკოლის დაფუძნება, ჩემი ბავშვობის ოცნებაა. პინდოდა იმ ბავშვებისთვის მიშეცა შესაძლებლობა დიდი ფეხბურთი ეთამაშათ, რომლებსაც შესაბამისი ტალანტი და მოწოდება ექნებოდათ. „ბაია“ ერთ დღეში არ შექმნილა, სანამ სკოლას დაფუძნებდი, რამდენიმე ქვეყანაში ვიმოგზაურე, მოვინახულე ადგილობრივი სკოლები, რათა გამეგო მათი მუშაობის სპეციფიკა. „ბაია-ზუგდიდში“ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა რამდენიმე უცხო ენა ისწავლონ, მიეჩვიონ დისციპლინას, რადგანაც დისციპლინა ყველაზე მნიშვნელოვანია. ძალიან ახლო მომავალში დიეტოლოგი უნდა ჩამოვიყვანოთ, რომელიც ფეხბურთელების ჯანსაღ კვებაზე იზრუნებს... „ბაია-ზუგდიდის“ უფროსი მწვრთნელია სპეციალისტი ჰერბერტ ცანკერი, ასევე მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ესპანელ ტრენერთან. ვაპირებ ჩვენი მწვრთნელებიც გაგზავნო საზღვარგარეთ, რათა შესაბამისი ტრენინგები გაიარონ. ჩვენ ნამდვილად არ გვყავს უხეშად რომ ვთქვათ, ცუდი მწვრთნელები, ოღონდ ეგაა, მათ ჯერ არ იცნობენ. ყოველთვის სიამაყით გავინსუნებ თბილისის „დინამოს“ გამარჯვებას „ლივერპულთან“, ეს დაუვიწყარი მატჩი იყო. დღეს კი საქართველო მეოთხე კატეგორიის ფეხბურთის თამაშობს. ჩვენ ისევ უნდა ვანახოთ მთელს მსოფლიოს, რომ ფეხბურთი ჩვენც კარგად გამოვგდის. საქართველოში ბრილიანტი ბავშვები იზრდებიან, მათ კი აღმოჩენა, მხარდაჭერა და შესაბამისი გაწვრთნა სჭირდებათ. სწორედ ამაში უნდა დაეხმაროს მათ „ბაია“.

[http // fcbaia. com/](http://fcbaia.com/)



„ბაია“ და ბაიელები

ბაია საკრალური სიტყვაა. იგი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვის, ჩვილის, პატარას ეკვივალენტურია, მაგრამ ამავედროულად ბაიას აქვს რამდენიმე დატვირთვა და ამასზე ღირს საუბრის გაშლა. მეგრულში ბაიას იტყვიან თვალის გუგაზე, საჭვრეტელ წერტილზე. მას ჭურჭულიც ჰქვია ჩვენებურად. აქ არ გვინდა წერილი გადავტვირთოთ თფთომოლოგიური ტერმინოლოგიით. ბაია თვალის ჩინია ღრმა შინაარსით. თვალის ჩინს კი როგორი მოფრთხილება სჭირდება ცეცხლზე შექოდეგულ რქესავით, ძნელი მისახვედრი არ არის. დიასაც, იგი გახლავთ გონიერი ცივილიზაციის ზრუნვის უმთავრესი საგანი. ბაია ყვავილიცაა ამავედროულად. გვახსოვს ჩვენ მეგრული ფოლკლორიდან:

აია რე, ბაია რე,
 ბაიაშ წორი თანაფა რე,
 ქირსე რენ დო კალანდა რე,
 წაკურთხია დიდი დლა რე.

ბაია ბერძნული წარმოშობისაა, ყურეს ნიშნავსო, ამტკიცებს ბევრი. გეგადრებათ, ბაია, ესე იგივე ოქროს საწმისს – კირბების ნახსაყუდელს გულისხმობსო, იძახიან სხვები. ცნობისთვის „ბაიოს“ პატარას ნიშნავს ბერძნულში, პატარა გერძს, იგივე კრავს, კირაბსო, დასძენენ. არც ერთი და აღარც მეორე, ბაია, პირველადს, უმთავრესს, ყოველივეს საწყისს, წინარე

საბადისს ეტოლებათ, არ ილევა ვარაუდები. ერთი სიტყვით, როგორც უნდა იყოს წყაროები ბაიას წარმოშობის თაობაზე, ერთი რამ ცხადია, ყოველ მათგანში რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ამაღლებული, რაღაც უკვდავი აზრია ჩაქსოვილი. სინამდვილეს კი სულ სხვა განზომილებანი ასაზრდოებენ, სულ სხვა კანონზომიერებანი წარმართავენ და ჩვენც, დიასაც, იმ მასშტაბებზე, იმ გაქანებაზე ვისაუბრებთ გზადაგზა, რომელიც თვალშისაცემად მოგროვებია საფეხბურთო კლუბ „ბაიას.“ ორი ათეული წელიწადია ზუგდიდს, სამეგრელოს მშვიდი ძილით არ უძინია. გასაქანი წაერთვა მის ცინცხალ უნარებს. ყველგან ჩინია, ყველგან თვალისთვის უხილავი შლაგბაუმები აღმართულა ეკონომიკური ბარიერების სახით. უცხოელი ინვესტორები დაუფარავად არიდებენ თავს აქ ფულის დაბანდებას – მიზეზი ერთადერთია – რისკის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მრავალგზის წამოგწიეთ კუთხის აღორძინების რამდენიმე საინტერესო პროექტი, ამას რაიმე გამომსაურება არ მოჰყოლია, როგორც ხელისუფლების, ისე – საქმეში ჩახედული ხალხის მხრიდან. ინიციატივა ინიციატივად დარჩა. „ბიზნეს-კურიერის“ წამყვანი გოგირაიშვილი მენტორული ტონით მიაწოდებს საზოგადოებას ზუგდიდში განსორციელებულ სახელმწიფო გრძელვადიან სესხებზე, მისამართებსაც მიუთითებს მეტი დამაჯრებლობისათვის, მაგრამ ამისთანა წყალობა არც პოლანდიელების გაშენებულ



მეცხოველეობის ფერმას მიუღია სენაკში – „ტყეირს“, არც რესპუბლიკის საუკეთესო ფერმერს გოდერძი წურწუმიას და აღარც ზუგდიდში არსებულ დაფნის გადამაშუმავებულ უნიკალურ ქარხანა „ეთერზეთებს.“ სახელმწიფო პროგრამა გრძელვადიანი სესხების ეგიდით ლიხს აქეთა საქართველოს ნაკლებად სწყალობს. კომერციული ბანკების საქმიანობაზე მოგვისწენებია. ბოლო დროს სამეგრელოში მიყოლებით აღმოცენდა ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში მათი ფეშენებლური ოფისები, მაგრამ მოსახლეობისათვის შეთავაზებული მოსახურება, რბილად რომ ვთქვათ, მტაცებლურია. ისინი საქმიანი წინადადებით მისულ კლიენტებს უწინარესად მყარ გარანტიებს სთხოვენ ოქრო-ვერცხლის სახით, თანაც ეს მომსახურება გაუკონარ პროცენტულ კაბალას შეიცავს – 36,6! 38! 40! პროცენტი წელიწადში. ცხადია, ამნაირი სესხით ნორმალური ბიზნესის წარმოება გამოირიცხვლია. თანაც არანაირი შეღავათი დროის, გადაგადაცილების თვალსაზრისით. გაივლის ერთი თვე და დღე რომ არ დაგაგვიანდეს მეანბრემ ოთხი ხელი და ფეხი უნდა გამოიბა პროცენტების დასაფარად. ფულის საკეთებლად ჩამოსულან ვალების ქვეყნიდან „სოსიეტე ვენერალი“ თუ ადგილობრივი კომერციული ბანკები, რომლებმაც ორიათასი წლის დამდეგიდან შეღავათიანი უცხოური კაპიტალით დააფუძნეს თავიანთი კომერციული დაწესებულებანი – წლიური საურაგი 2 პროცენტი და ამისთანა იაფ ინვესტიციებს ისინი ოცჯერ ძვირად აჩეჩებენ ხელში სამეგრელოს გაჭირვებულ მოსახლეობას. ასე თუ გაგრძელდა სვალ და ზეგ ჩვენი ხალხი კომერციული ბანკების ყბაში აღმოჩნდება, საიდანაც რაიმე საშეკელი არა ჩანს. თავის დროზე რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საჯაროდ დაასახელა ჩრდილოეთში თავმოყრილი ქართველების ოდენობა – 700 000 კაცი. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა ქართული დუხჭირი ცხოვრების ხელგამმართველი, დიასხაც, ჩვენი რუსული დიასპორაა. ჩვენ ბირადი კონტაქტები გვაქვს უამრავ წარმატებულ ბიზნესმენტთან, რომლებიც ეტაპობრივად ჩამოდიან სამშობლოში და მრავალ წინადადებას წამოაყენებენ სოლმე, მაგრამ აქაურ სინამდვილეს უმეტესი თავქუდმოგლეჯილი გარუბის – უმთავრესს მიზეზად დასახელებულია ჩინოვნიკების კლანი, ნომენკლატურა, რომლებიც დაურიდლად ხელს ყოფენ სხვის ჯიბეში და წილში ჩაჯდომას მოითხოვენ – **მირი მი რა?!** აი, ამ კატეგორიის ხალხის მორალი. მათ რბილი სავარძლები დაუთრევიათ განგების თუ სიტუაციის წყალობით და ახლა ერთოს მოსახდელად არაფერს დაგიდევენ. იცოდა ეს ყველაფერი სადადიანოს მკვიდრმა, ენერგიულმა პირთენებამ, ბატონმა ზვიად სიჭინავამ და მიუხედავად სკეპტიკური ხალხის პესიმიზმისა, ზუგდიდური სპორტის განვითარებას მიჰყო ხელი. ზუგდიდის „დინამო“, რომელიც „მგლებად“ მოუვლენია ვილაც უხვირო ნათლიმამას, და არაფრით ჩამოჰგავს როლმულუსის დამპურებელ ტყეირს – სულ ცხვარივით დაბუნჩულებს მოედანზე, აღარც ოდესმე გაცხნარებას აპირებს სერიული წაგებების შემდეგ, გათხრებული დახვდა წინამორბედი ხელმძღვანელების გაუმაძღრობით: გავერანებული ბაზა, დაქსაქსული კადრები, მომსპარი ტექნიკა, შელახული რეპერტაცია – ეს ყოველივე ერთობ უხუგეშო პერსპექტივას ქმნიდა კუთხის სპორტული ცხოვრების ასალორძინებლად გულანთებული კაცისათვის, მაგრამ ნათქვამია, სამშობლოს ხსნა მისი შვილების ხელთაა და ბატონი ზვიადიც ფუტკრის რუდუნით შეუდგა გულში ერთხელ ჩაჩნეული მიზნის განსორციელებას...



მალერი გულორდავა
საფეხბურთო
კლუბ „ბაიას“ მწვრთნელი:

**„ჩვენ შეუძლებელს შეგძლბთ ქართული
ფეხბურთის სასახელოდ
ბატონ ზვიად სიჭინავას თათსნობით“
(წუთიერი საუბრიდან პარჯიშის დაწყების წინ)**

– ბატონო გალერი, ჩვენი თაობის ხალხი, თქვენ „ბლოსინს“, „ლოსას“ გეძახდათ. ჩვენ ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა სასტუმრო „ოდიშიდან“ მოყოლებული. სასაცილოა – სახელითა და გვარით არასდროს მომიმართავს. გამისარდა თქვენი ყოფნა აქ. საფეხბურთო კლუბ „ბაიაზე“ თანდათან ბევრი მასალა მომიგროვდა. მართლაც სასწაულია ამ უნუგეშობის ჩიხში მომწყვდეულ სამეგრელოში თაზისივით აღმოცენებული თქვენი სიფრცე. ლამის დაუჯერებელია ბატონ ზვიად სიჭინავას ფენომენი, მისი ინვესტიციები, მისი ქველმოქმედება. მინდა წარმოუდგეთ მკითხველს და ისაუბროთ იმ ფუნქციებზე, რა ფუნქციაც ამ წუთას გაკისრიათ.

– დღესდღეობით მე მეორე ლიგის გუნდს ვხელმძღვანელობ „ბაიაში“, სადაც დასავლეთის ჯგუფის თამაშები ტარდება. საფეხბურთო კლუბი „ბაიას“ დაარსების დღიდან ვიყავი მისი მთავარი მწვრთნელი წლების განმავლობაში. მართლაც ყველასთვის მოულოდნელი წარმატებები მოვიპოვეთ. 1992 წელს დაბადებულთა მთავარი მწვრთნელი ვიყავი. მის მერე ვთამაშობთ ჩვენ მეორე ლიგაში, სადაც მოვიპოვეთ პირველი ადგილი და გადავედით მეორე ლიგაში პროფესიონალთა შორის. ამჟერად მთავარ მწვრთნელად ჩამოყვანილია გერმანიიდან ფეხბურთის ჩინებული სპეციალისტი ბატონი ჰერბერტ ცანკერი რომელიც მთლიანობაში ხელმძღვანელობს „ბაიას“ სამწვრთნელო შტაბს. ჩვენ მხარში ვუდგევართ. ვაკეთებთ მაქსიმუმს გუნდებთან ერთად. კლუბი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. დღითი დღე მძლავრდება, ფესვებს იღვამს, როგორც დიდი გუნდი, ისე მოზარდები, ჭაბუკები და ბავშვთა ფეხბურთი მთლიანობაში. რაც შეეხება

წარმატებებს, პირველივე დღიდან „ბაიას“ მიღწევები მთელმა საქართველომ გაიგო. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევით წინ. ჩვენთვის ტიტულები არ არსებობს, ჩვენთვის ერთადერთი განზომილებაა — მოედანი და ბურთი. მომავალ წელს ჩვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ეს განცხადება ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ, გულის დასამშვიდებელი ბაქი-ბუქი. ამას ჩატარებული თითოეული მატჩის ანალიზი გვალაპარაკებს.

– მაინც რამდენ გუნდზეა საუბარი? რამდენი ბავშვია თავმოყრილი თქვენთან და რამდენი მწვრთნელი ხელმძღვანელობს მათ?

– დაწყებული მთავარი მწვრთნელიდან, ბატონ ჰერბერტ ცანკერიდან, „ბაიას“ საფეხბურთო კლუბში ბრძანდება 13 პროფესიონალი მწვრთნელი. მათგან აბსოლუტურად ყველამ გაიარა C ლიცენზია, B. ახლა რამდენიმე მწვრთნელი მიემგზავრება თბილისში B ლიცენზიის ასაღებად. A-ზეც გავდივართ. მოკლედ, მაგარი მწვრთნელები გვყავს კლუბში. რაც შეეხება გუნდების რაოდენობას, ერთი გუნდი გვყავს პირველ ლიგაში, რომელიც პირველ ადგილზე იმყოფება და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ვემზადებით. არის მეორე ლიგაში გუნდი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და დღესდღეობით მეორე ადგილზე ვიმყოფებით. ასაკის მიხედვით ჩვენ სამი ასაკის გუნდი გვყავს. საქართველოს ლიგაზე თამაშობენ ეს ბავშვები. საქართველოს პირველობა არის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ეს ჭაბუკები არიან 1991-1992, 1993-1994 და 1995-1996 წლებში დაბადებულები.. აი, ამ სამი ასაკის ხალხია ჩვენში თავმოყრილი. როგორც ვთქვი, კლუბი ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაშია, მაგრამ უკვე გარკვეული წარმატებები მოვიპოვეთ სამივე ასაკის მოთამაშეთა შორის: მეორე ადგილზე ერთი, მეოთხეზე მეორე, მეხუთეზე მესამე. სამივე გუნდი თანდათან შედის აზარტში და უკეთესი მაჩვენებლების იმედი გვაქვს



ყველას. თავბრუდამხვევი მიღწევები ხელის ერთი მოქნევით არ მოდის, ეს ნაბიჯ-ნაბჯ უნდა გაკეთდეს, ამას წლები ჭირდება, გუნდი ხომ ცოცხალი ორგანიზმივითაა და საქმის დამში მოყვანას გარკვეული დრო სჭირდება. ჩვენ ეტაპობრივად, ჩვენი პროგრამის მიხედვით ვმუშაობთ და წარმატებებსაც როგორც აქამდე ვაღწევდით, მომავალშიც მივალწევთ, ოღონდ გაცილებით უკეთესს.

— დიდი რუსთაველი ბრძანებს... ზღვათაცა შესდის და გაუდინებისო. თქვენთანაც იგივე პროცესი მიმდინარეობს, ალბათ, თუ არიან პრივილიგირებული ტიპები, რომ ესლაც გავლენიანი მაშეკოების წყალობით ხელს ვერაფერს ახლებს. მაინც საიდან ხდება ასალი ძალების მოზიდვა. აი, სპორტსკოლები მოშლილია, მართო მომრავლებული სტადიონების იმედზე ვერ იარსებებს პროფესიონალური ფეხბურთი. მე ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ როლანდ მაქაცარიასთან მქონდა ამის თაობაზე საუბარი. იქაც უამრავი პრობლემაა, როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური. აი, თქვენს პირობებში რანაირად ახერხებთ ამ ყველაფერს?

— ჩვენ გვყავს მწვრთნელი სელექციონერი. ეს პიროვნება, ყოფილი ფეხბურთელი ჯონი მალანია, სხვათა შორის ძალიან დახვეწილი სპეციალისტია. იგი დაუსრულებელ მოძრაობაშია, მიემგზავრება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში და სულ ნიჭიერი ფეხბურთელების ძიებაშია. იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, უკვე რამდენიმე იმედისმომცემი ფეხბურთელი ჩამოიყვანა ოზურგეთიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან. აი, ამ პროგრამით გრძელდება მუშაობა და ვაგრძელებთ კიდევაც. ჩვენი რეგიონი, ჩვენი კუთხე — სამეგრელო ზოგადად, ნიჭიერი ფეხბურთელებითაა სავსე. ამას მეტი მუშაობა და სელექციები სჭირდება. ვიმეორებ, ჩვენ დაკომპლექტების სტადიაში ვიმყოფებით დღეს, ესე იგი, ნებისმიერ ასაკში გვჭირდება ხალასი ნიჭის ფეხბურთელები. აქ სერიოზული შეცდომის დაშვების არც საშუალებას გვაძლევს და აღარც მორალური უფლება გვაქვს. აქ სელექციები უნდა წავიდეს უმაღლეს დონეზე. ჩვენთან გადასახადი არ არის. არავინ არაფერს იხდის. თვით თბილისშიც და სხვა რაიონებშიც ბავშვები იხდიან 20-დან 60-ლარამდე. ჩვენთან პირიქით: ჩაცმა, მგზავრობა, კვება უფასოა. ამისთანა პირობებში ჩვენც თავაწეულები ვართ სხვებთან შედარებით და თამამად ვეძებთ, თამამად ვიზიდავთ ჭეშმარიტ ტალანტიან ფეხბურთელებს, რათა მეტი პროგრესი გვქონდეს. მხოლოდ ამისთანა ვითარებაშია მოსალოდნელი დიდი წარმატებები.

— რბილად რომ ვთქვათ ეს ბავშვები გუნდის კისერზე სხედან, გუნდის კმაყოფაზე არიან?!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. დაწყებული ექვსწლიანებიდან, ყმაწვილები, ღიღებიც, არაფერს იხდიან, ჩაცმა, მგზავრობა, კვება ბატონ ზვიად

სიჭინავას წყალობით უფასოა და როგორც ზემოთ მომხსენებია, ყველაფერი მიდის პროგრამის მიხედვით.

— ბატონო, ვალერი, რასან სელექციაზე ჩამოვარდა საუბარი, საინტერესო დეტალი უნდა გაგაცნო. არის ერთი თსუთმეტი წლის ბავში, რომელიც კლუბ „ამირანი“ თამაშობდა თბილისში რამდენიმე წელიწადს. მაგრამ რადგანაც მისი ასაკი გარდატეხის პერიოდს მიუახლოვდა, მშობლებმა ოჯახში ჩამოიყვანა ამჯობინეს. ამწუთას ეს მოზარდი თამაშობს საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“. ზურაბ ჭანია წვრთნის. თავიდან თქვენთან მოყვანას ვაპირებდი, მაგრამ თავად საზოგადოება „ზუგდიდელის“ სელმძღვანელობამ სელები გაასაყვსაგა შეამავლობაზე. არ გაჭრა სიგელებმა და თასებმა. იმისთანა უკარება გერმანელი მწვრთნელი ჰყავთ, უმჯობესია თვითონ ეახლოთო. ჰოდა, რადგანაც მორიდებულმა მშობლებმაც ვერ მოაბეს თავი „ბაიას“ სელმძღვანელობასთან დაკავშირებას, ქე არის „გაგრაში“. სოფელი თტო-ბაია სომ გაგიგონია, ჰოდა, იქიდანაა, ჩემი კარის მეზობელი. თავდაპირველია. თამაშის საკმაოდ მაღალი კულტურით გამოირჩევა, ყოველ შემთხვევისათვის, ამას მეტყველებს აქამდე მოპოვებული მისი ჯილდოები. გუშინ ველაპარაკე მის მწვრთნელს და იცით რა მითხრა?! ნამდვილად არ მოგელოდი ასეთი ტექნიკა თუ ექნებოდაო. ჩინებულად ფლობს ბურთს, მაგრამ ეგ არის ორ ტაიმს ვერ ქაჩავსო. მას ჰქონდა 20-25 დღიანი წყვეტა აქტიურ ფეხბურთთან, მაგრამ დროის ეს მცირე მონაკვეთიც კი საკმარისი აღმოჩნდა გასაზნტებლად. მაინტერესებს ის სელექციონერი ჯონი მაღანია როდის შეიხედავს „გაგრაში“ თუ შორ მივლინებებსაა დაჩეუული და შინაური მღვდელისთვის ვერ იცლის?

— გეკადრებათ! ჩვენი მიზანი ნათელია — ყველა ღირსეული ბავში „ბაიაში“. „ამირანი“ იქნება ეს, „გაგრასა“ თუ სხვა განდში ყველაფერს დაწვრილებით გავიგებთ და თავად მივიღებთ გადაწყვეტილებას. დღეიდან ამ ბავშვზე მე თვითონ დავიწყებ მუშაობას.

— ისე, აშორტიაა გვარად. თტობაიდან. თავის დროზე ჩვენს სოფელში ფეხბურთი ფასობდა. ისე „ბაია“ და თტობაია ერთმანეთს.

— კი, ბატონო, პრობლემა არ არის. დავაკვირდებით. ყველა ღირსეული უნდა იყოს ჩვენს კლუბში. არავინ დაიჩაგრება. არავის აქვს უფლება, არც მწვრთნელს, არც ვინმეს, რაღაცით უკმაყოფილო იყოს ჩვენს კლუბზე. პირიქით, ყველა ხელს შევეუწყობთ, მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბოლომდე შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინება, რათა აქედან დაფრთიანდეს, დიდ ფეხბურთს აქედან ეზიაროს.

— ფეხბურთის გულშემატკივრობაზე





გასაგებია... გვინახავს კინოლენტი „ფოლა“ და ა.შ. მაგრამ ენთუზიაზმი ერთი და ცხოვრება — მეორე. ბატონი ზვიად სიჭინავას თავგამოდება ზუგდიდური ფეხბურთის ასაღორძინებლად ფანტასტიკურია, ლამის დაუჯერებელი, თუმცა კონკრეტული სინამდვილე თავისას მითითოვს, ოჯახი, შვილები, ყოველდღიური საზრუნავი. ამ კუთხით როგორ არის თქვენი მწვრთნელების მდგომარეობა?

— ბატონმა ზვიადმა თავიდან მოიწვია ორი მწვრთნელი და იქიდან დაიწყო მწვრთნელთა კორპუსის გაზრდა. თანდათან მეტი მასშტაბით იზრდება, როგორც მწვრთნელების, ის მოზარდების ჯგუფები. ამიტომ, ჩვენ ნებისმიერი მწვრთნელი ვიმყოფებით „ბაიაში“ და ვემსახურებით ბატონ ზვიადის წამოწყებულ საქმეს, ზუგდიდის, საქართველოს ფეხბურთს. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ჩვენი მწვრთნელი დღევანდელი ანაზღაურებით კმაყოფილია, მაგრამ ვიმეორებ, აქ არ არის საუბარი ათასებზე. აქ არის საუბარი იმ თანხაზე, რომლითაც დღევანდელ პირობებში ოჯახი შეიძლება არჩინო. ახლა დაკონკრეტებას ნუ მომთხოვ, ეგერ არის ბუღალტერია.

— ბატონო, გალერი, ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ და გადაუჭარბებელი გულწრფელობით გეტყვი, შე საერთოდ ყველა ენთუზიასტ ადაპიანს, გინც ჩვენი კუთხისთვისაა თავდადებული, შემიძლია ფეხქვეშ გაგვგო. ერთადერთი ასეთი პიროვნება დავინახე ზვიად სიჭინავა ჩვენს კუთხეში. შე მას ინტერნეტით გამოვესაუბრე და მისმა უბრალოებამ გამაოგნა. ამ კაცმა დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და იმედია, ხვალ და ზუგ ზუგდიდური ფეხბურთი ნამდვილად იქნება. კიდევ რას დაამატებდით?!

— მე მართლაც შემიძლია შევპირდე ბატონ ზვიადის, რომ სასწაულებს მოვახდენთ: აქამდე 1992 წელს დაბადებულთა შორის 7 ჩვენმა ჭაბუკმა ითამაშა საქართველოს ნაკრებში. ერთი ირაკლი შეყოლაძე უკვე არის იტალიის „ემპოლიში“. მეორე ნიკა ძალამიძეზე მოლაპარაკებები მიდის ისევ იტალიის ერთ-ერთ გრანდ კლუბში. მოკლედ, ყოველგვარი მონაცემი არსებობს იმისათვის, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა მართლა ითამაშონ საქართველოს პირველ ნაკრებში ჩვიდმეტ წლამდელებმა, ოცდაერთ წლამდელებმა. ქართველი სპეციალისტები აღფრთოვანებულნი არიან იმ ფაქტით, რომ ამდენი ბიჭია ერთი და იმავე გუნდიდან, „ბაიას“ გუნდში აიდგეს მათ ფეხი, აქ ეზიარნენ ფეხბურთის ანბანს და კაცურ კაცობას. კიდევ მეტი მონდომება იქნება წლების მანძილზე, რათა რაც შეიძლება მეტმა ბაიელმა ითამაშოს საქართველოს პირველ ნაკრებში. ამას ჩვენ უეჭველად გავაკეთებთ! ისეთი ენთუზიაზმია კლუბში დანერგილი, რომ სხვაგვარად ფიქრის უფლებაც არა გვაქვს. ეს ყველაფერი უეჭველად ასე მოხდება!





როლანდ მაქაცარია
ზუგდიდის ფეხბურთის
ფედერაციის პრეზიდენტი

„საქართველოს ბრილიანტი
ბავშვები ჰყავსო, ბრძანებს
ბატონი ზვიად სიჭინავა. ამით
ყველაფერია ნათქვამი“

— **ბატონო როლანდ, წარმოუდგინეთ თავი მკითხველს. ჩვენ წინ ვრცელი საუბარი გველის. შორეული წლებიდან მინდა დაგიწყოთ, უკეთ ზუგდიდური ფეხბურთის ფესვებიდან, იმ გამოჩენილ ფეხბურთელებს მივყავით თუნდაც მცირედი პატივი, რომლებმაც ერთგულ ჩემპიონატებში არაერთხელ გვასახელეს. მერე სხვა თემებიც ბუნებრივად წაიწყობა.**

— კი, ბატონო, მე დავიბადე ზუგდიდში, ჩემს საყვარელ ქალაქ ზუგდიდში. ასე რომ, მე ვარ „კარონი“ ზუგდიდელი. ეს ყველაზე მეტად მემამაყბა. პირველი ნათლობა ფეხბურთში მივიღე ალექსანდრე, ალიოშა დიდიშვილისაგან. მე ვიყავი ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი. ეს პირველი ჩემპიონობა იყო. სურათი აგერაა, კედელზე გამოკრული, 1967 წელს, სკოლებს შორის. შემდეგ ზუგდიდის „დინამო“. 1973 წელს გავხდით საქართველოს ჩემპიონები. მერე სამსახურეობრივი მოვალეობა სხვაგან მქონდა, ვიყავი „სპორტლოტოს“ ზუგდიდის განყოფილების უფროსი, ჰოდა, საქართველოს „სპორტლოტოს“ შემადგენლობაში სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი მინი-ფეხბურთში. ორი წელი ზედიზედ ვიყავი საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული, ამისი დამადასტურებელი საბუთები ყელამდე აწყვია, მაგრამ მაგებობისთვის ვის სცხელა. ამჟამად ვარ ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ვცდილობთ, თავზესაყრელ საქმეს თავი გავართვათ შიშველი ხელებით. ვემზადებით 2009 წელს ზუგდიდის ფეხბურთის 90 წლის იუბილის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად.

პირველად ზუგდიდის ისტორიაში 1919 წლის 20 მაისს შედგა შეხვედრა რუსეთის საჯარისო ნაწილებთან და პირველი გამარჯვებაც იქ მოვიპოვეთ ანგარიშით 2:1-ზე. გამაჩნია ფეხბურთელთა სახელები,

გვარები. შეხვედრა შედგა დღევანდელი სტადიონი რომ არის იქ. მაშინ ეწოდებოდა მიურატის მოედანი, მიურატიშ მინდორი.

— **დადიანების რეგალიებს ყველამ გამოჰკრა თითო კბილი, მაგრამ ეგ ცალკე თემაა.**

— ჰოდა, აქ შედგა შეხვედრა და როგორც მოგახსენეთ, ჩვენებმა გაიმარჯვეს. იმის შემდეგ სხვადასხვა თაობები შეიცვალა და პირველი ვინც ზუგდიდიდან თბილისის დინამოში გადავიდა იყო გივი ხოჭოლავა. მას მიჰყვა ბორია სიჭინავა, ჩვენი ბორისი, მერე ზაურ ბულია, ალიოშა ჩიჩუა... იგი უდიდესი ფეხბურთელი იყო. ფეხბურთელების ვიწრო წრეში ცნობილია ერთი ფაქტი: როდესაც ბერია დაიჭირეს, საქართველოს ნაკრები ეთამაშებოდა რუსეთს. ბერიოვშინას პერიოდი, ბერიოვშინამ წალეკა მთელი საბჭოეთი. დაემუქრნენ თურმე ბიჭებს, თუ მოიგებდნენ, ყველას დახვრეტდნენ. ჩვენებმა პირველი ნახევარი არ გაიტანეს გოლი. ჰოდა, მერე მწვრთნელი რომ მივიდა მათთან, ატირებული ბიჭები ნახა. უთხრეს, არ შეგვიძლია ასეო, დაგვხვრეტენ და დაგვხვრეტონ, მაგრამ გოლს მაინც გავიტანთო. მწვრთნელმა მიუგო თურმე, თქვენ თუ ამ განწყობითა ხართ, მე ეს მალეღვებს, და ძმებო, დავაი, ბარემ ერთად დაგვხვრიტონო! გავიდნენ სათამაშოდ ჩვენები და ალიოშა ჩიჩუამ სამი გოლი გაიტანა, სამით ნოლზე მოვუგეთ რუსეთს. ასეთი პიროვნება იყო და გარდაიცვალა ნაადრევად ტრამპით გაწამებული, დიდ ფეხბურთს უნებლიეთ ჩამოშორებული. ზუგდიდს აქვს თავისი ტრადიციები. ოთარ გაბელია წავიდა თბილისის „დინამოში“ ზუგდიდიდან, სოსო ჭედია, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი იყო. მურთაზ ხურცილავა აქედანაა წაყვანილი თბილისის „დინამოში“

— **ექსტრა ფუტბოლი უწოდეს.**

— უდაოდ უმაღლესი რანგის ფეხბურთელი იყო,



კამეჩის ძალა და ამტანობა ჰქონდა. ზუგდიდიდან გადავიდა თბილისში შავგულიძე, რომელიც გალელი, სამურზაყანოელი გახლდათ. ზუგდიდს დიდი ტრადიცია აქვს, დიდი საფეხბურთო ტრადიცია და ახლა მიხარია, რომ ამ საერთო გაჭირვების პერიოდში ჩვენი ფეხბურთის საშველად ბატონი ზვიად სიჭინავა ჩამობრძანდა, დააფუძნა საფეხბურთო კლუბი „ბაია“.

— **ბატონო, როლანდ, ჯერ იქნებ ზუგდიდის საფეხბურთო ტრადიციები ამოგვეწურა, მერე გადასვლაც ბუნებრივი გამოგვივა.**

— დღეის მდგომარეობით ზუგდიდს ჰყავს უმაღლეს ლიგაში საფეხბურთო კლუბი „მგლები“, რომლის მთავარი მწვრთნელი თავად გახლავარ და რომელსაც ძალიან უჭირს ფინანსურად. რატომ გაგვიცინათ?

— **რამდენიმე თვის წინათ მე დავესწარი ერთ მატჩს, მოწინააღმდეგე არ მახსოვს, წვიმიანი ამინდი იყო. მგონი ზუგდიდლებმა გაიმარჯვეს. დიქტორის გამოცხადებულზე შეცინებოდა, უტიკვენ „მგლებით“ ქოთქოთებდა**

მიკროფონში, „მგლები“ ვერაფრით ამოშაქრა თჯახაშენებულმა. მერე და არის კიდევ ერთი სოფელი ზუგდიდში, დიდი ნეკი. დისუფილი მყავს იქ, გვასალიას ბიჭი პათლო. იცით, რა მითხრა, ტყუილად გვეპასიან დიდნეპსო, ვინაიდან ჩვენთან ერთი ძირი კაკლის ხეც არ ხარობსო. უფრო მოზომილ ნათლიმამას გამჯობინებდი.

— სახელწოდებას ვშველება. გური, მოხდა ისე რომ, გუნდმა მეშვიდე საპატიო ადგილი აიღო შარშან. გვითხრეს, გაკოტრდით, გუნდი არ ხართო. ასეთ დროს ჩვენ ჩავერთეთ. ყველა იმედი რომ გადაიწურა, გულშემატკივრებმა შემოგვიტიეს, რას უცდით, გულზე ხელები რისთვის დაგიკრფეთ, ქენით რამეო და ჩვენც დავტრიალდით. შევაწუხეთ საზოგადოება „ზუგდიდელი“, მისი თავმჯდომარე ბატონი ოთარ ფაცაცია, მთლიანი ზუგდიდის საზოგადოება, მივმართეთ გუბერნატორს, ბატონ ზაზა გოროზიას, სახელმწიფო კანცელარიას, პირადად ქვეყნის პრეზიდენტს და ამდენმა სირბილმა შედეგი გამოიღო.

ზუგდიდს ნება დართეს ეთამაშა საქართველოს პირველობის ჩემპიონატში. ის თანხა, რაც ამჟამად გუნდს გააჩნია, ძალზე მიზერულია. წარმოიდგინეთ 200 000 ლარი 2 მილიონი ევროს წინააღმდეგ, 200 000 ლარი ერთი მილიონი აშშ დოლარის წინააღმდეგ. გულშემატკივრებს უნდათ ყველა ვარიანტში მოიგო და აქ ჩვენს სამზარეულოში რა ამბავი ტრიალებს, ნაკლებად აწუხებთ.

— **მისასაღმებელია: მესამე ადგილზე ყოფილხართ, რომელიღაცა გაზეთში მოგკარი თვალი.**

— არა, უკვე მეექვსეზე გადმოვინაცვლეთ. გუშინ გვქონდა თამაში ბოლნისში. **2:2**-ზე ითამაშეს ბიჭებმა, მაშინ როცა მატჩის მოგება შეიძლებოდა. თამაშით კარგად ითამაშეს, მაგრამ თერთმეტმეტრიანი დაგვინიშნეს, რომელიც მსაჯმა გამოიგონა. მერე რომ ამოიწურა დრო, ყველაფერს აკეთებდა ეს არამზადა მსაჯი როგორმე წაგვეგო, სრული შვიდი წუთი დაამატა. ასეთ გარემოცვაში გვიხდება ბრძოლა. ბატონი ზვიადი ბრძანებს: **ღმერთმა ნუ ქნას სამეგრელო, ზუგდიდი მართო**



ჩემი გუნდის იმედზე იყოსო.
 პროფესიონალური ნატიქამია. ყველა კლუბს გააჩნია თავისი ხელწერა და ეს დაამტკიცა საფეხბურთო კლუბმა „ზუგდიდმა“, რომელიც გახდა 1994 წელს დაბადებულთა შორის იმერეთის თამაშების ჩემპიონი. პირველობა არავის დაუთმო აჭარაში დიმა ზედანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ამას წინათ კი საფეხბურთო კლუბმა „ზუგდიდმა“ მონაწილეობა მიიღო ოთხთა ტურნირში, რაც ნიშნავს სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და აჭარის საფეხბურთო კლუბების ჩემპიონთა შეხვედრას. აქაც არანახელ შედეგებს მივალწიეთ — ჩვენმა გუნდმა დაუმარცხებლად მოიპოვა პირველი ადგილი. 1994 წლიანთა ხუთი მოზარდი საქართველოს ნაკრების კანდიდატურაა. ამ კლუბს აფინანსებდა შ.პ.ს. „სანი“, ბატონების სერგო გვარამიასა და სოსო კვიციას ხელმძღვანელობით, რისთვისაც მაღლიერი ვართ ამ ხალხის და ბუნებრივია, არაერთი პიროვნება დაინტერესდება სამეგრელოს ფეხბურთით. ბატონი ზვიადი ხომ გვყავს და გვყავს.

— **მგლები თქვენ კი არა ისინი ყოფილან ბატონო როლანდ.**

— არის საშუალება და აქვე მინდა მაღლობა გადავუხადო ბატონ ზაზა გოროზიას უნაგარო თანადგომისათვის; მაღლობა მინდა გადავუხადო სამხარეო პოლიციის უფროსს, ბატონ გუნავას, გვერდით დავგიდგენ ორივე. ჩამოვიყვანეთ იმედისმომცემი ორი უკრაინელი ფეხბურთელი. კვების დარგში გვეხმარებიან, მაგრამ ხშირად ის მიზეზული თანხაც იგვიანებს რატომღაც. უკვე მესამე თვეა, რაც საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას თანხა არ მიუღია და ფეხბურთელებს ნასესხები ფულით ვაკავებთ. მე ოპტიმისტი ვარ. მაქვს უფლის შეწვევის რწმენა და მოველი ცის გაბრწყინებას, სპონსორს, რომელიც წელში გაგვმართავს ეკონომიურად. სხვანაირად ძალზე ძნელია გუნდის უმაღლეს ლიგაში დაჭერა. მაგრამ ჩვენ გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ უბრძოლველად არავის დაუთმობ იოტისოდენასაც. ყოველ მატჩში იქნება ნამდვილი უკომპრომისო ბრძოლა და ყველას დაუშვით, რომ ზუგდიდს შეუძლია შემტევი თამაში.

— **ბატონო, როლანდ, რაზან სპონსორობაზე ჩამოვარდა საუბარი, ბატონო თათარ**

ფაცაცის გვარ-სახელი გაუღერდა ზემოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიჭაბუკის წლებში ბატონი თათარი ფეხბურთსაც თამაშობდა.
 — ბატონო თათარს, როგორც ფეხბურთელს არ ვიცნობ, მაგრამ აი, როგორც საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე სხვა ამბავია. მან გუნდის დაბრუნებაში დიდი წვლილი მიიღო. საზოგადოება „ზუგდიდელის“ პირველი ოფიციალური წერილი გუბერნატორის სახელზე, დიხაც, ჩვენი კლუბის ჭირ-ვარამი გახლდათ. მერედა, მისმა ადამიანურმა კონტაქტებმა მეტი გააკეთა და დღეისთვის გუნდი რომ არის, ეს უწინარესად ბატონი თათარის დამსახურებაა.

— **სპონსორობაზე ვაგრძელებთ საუბარს, ქველმოქმედებაზე. ეს ღვთით მომადლებული ნიჭია. მე**





ის პიროვნება ვარ, სამეგრელოში ერთი პატარა ნიაფის გაფორნება ერთობ ამაფორიაქებს სოფლმე. საამისოდ მე ექვსტომეული ბელეტრისტული მატინე „სუფევა“ კი შეექმენი, სადაც ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს ბიოგრაფიაა ასახული 6000 წლის მანძილზე. აქ განსაკუთრებით ნაზგასმულია ჩვენი კოლხეთის ცხოვრება და დღევანდელი სამეგრელოს გაუსაძლისი ყოფა. მე ფეხბურთზე ამ წიგნში ცოტა ადგილი მქონდა დათმობილი, ისიც ფაზისურ ფეხბურთზე, „პირველ მერცხალზე“ მშენიერი ფილმიც გვინახავს, „აბა ულათი“ რომ მივაცილებთ ტალახში ამოგაგნულები გამარჯვებულ ინგლისელ ფეხბურთელებს. ვიყავი დღევანდელ სტადიონზე. შევხვდი იქ თანამშრომლებს. მომცეს ფოტო-მასალა, მაგრამ ჩემდა სასინცნსოდ ის ფოტოები წაშეშალა კომპიუტერში. „ბაიელებიც“ იგივე დღეში ჩაცვნილან და დაფრჩით ასე ცარიელ-ტარიელი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ შევიხვდე ამ სტადიონის ხალხთან. მიმასწავლეს „ბაიას“ ოფისი. ამჯერად არ გადაამიდვია მათთან სტუმრობა. პირდაპირ გაოგნებული დაფრჩი ბატონო, როლანდ, იქაური სივრცით, იმ სიტუაციით, რაც დღეს ამ კოლექტივში ტრიალებს. ირგვლივ ხარაჩოები, საშენი მასალა, ამწეები, თვითმცლევები. აქეთ გაჩაღებული წვრთნები ხელოვნურსაფარიან მოედნებზე. მშენებლობა და გარჯიში გადანასკველია ერთმანეთს. გულის გასახარია ბაიელების ოფისი, სისუფთავე და სიფაქიზე, თაგაზიანობა, გემოვნებით შერჩეული აგეჯი და მათი პეწიანი განლაგება. კომპიუტერიზაცია ყოველ ნაბიჯზე. მართლაც სასწაულია უკვე გაკეთებული, ტექნიკურ აღჭურვილობას ვგულისხმობ, მის მომხარებას. ყველა ფეხბურთელზე განსნილია ბარათები, ჩატვირთულია მათი ფოტოები და მონაცემები. ოფისში ზოგი ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა. მოგვიანებით საშუალება მომეცა ინტერნეტით დავლაპარაკებოდი ბატონ ზვიადს. ეს ის კაცია, მომიტყვევო თქვენს ფუნქციებში რომ ვიჭრები, რომელიც რაღაც ზებუნებრივი ენერჯის წყალობით სასწაულებს მოიმოქმედებს, ზუგდიდურ ფეხბურთს კვარცხლბეკზე რომ ატყორცნის და ლამის სრიოკზე, ლამის უდაბნოს სიტუაციაში ოაზისს ქმნის საფეხბურთო კულტურის სახით. ეს ის კაცია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვმა ქუჩაში უსაქმურად არ იბორიალოს, არ მოცდეს, დაეუფლოს საკუთარ თავს...

— მინდა გითხრათ, რომ უპირველესად ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ქვეყანას სჭირდება ჯანსაღი ჯარისკაცი. აი, ბატონი ზვიადი მარტო ფეხბურთის საქმეს როდი აკეთებს ამით, ამით აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს დამცველი, ერთგული გუმავი...

— მეციხოვნე.

— იყოს, ბატონო მეციხოვნე, დიდებული სიტყვაა. აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს ჯანსაღი ჯარისკაცი, ისეთი, რომელიც გამოადგება სამშობლოს, მამულს. აი, ჩვენ უბრალოდ რომ ავიღოთ აფხაზეთის მოვლენები, ჩემი ხელმძღვანელობით გამოცხადდა მობილიზაცია. შეიქმნა სპორტული ბატალიონი „ლაზი“, რომელიც იბრძოდა შრომაში, პირველ მაისში, კინდლში, ტამიშში, აძიუბუაში. თავიდან 60 კაცი წავედით. მერე 40 და არ მოგვეცა იმისი საშუალება მობილიზაცია მთლიანად მოგვეხდინა, თორემ რატომ ხუთჯერ მეტი არ დავდგებოდით სამშობლოს სადარაჯოზე?! უფრო იმიტომ რომ ჩვენ როგორც კი ჩავედით აფხაზეთში, უარი გვითხრეს იარაღზე. თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობი წყვეტდა ამას, თეატრის რეჟისორი. ასე განგვიცხადა: **ეს ზუგდიდელები რომ მოვიდნენ, ახლა აფხაზეთს რომ გაანთავისუფლებენ, მერე ჩემს პრეზიდენტს შეუტყვევენ თბილისში, შეგარდნაქესო.** მოკლედ, ამ დონეზე იყო მაშინ საქმე.

— გასაგებია, გასაგები...

— ამით რა ს ვამბობ, იცით, აი, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია-



მეთქი, და ის ლამაზი ადამიანები, ის სპორტსმენები მე რომ შევკრიბე და წავიყვანე, სწორედ მსგავს ანგლოზებს ზრდის ბატონი ზვიადი. უპირველესად ზრდის საქართველოს შვილებს, მამულიშვილებს, ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, ჯანსაღს, გამჭრიახს, რომელიც მოწყვეტილია ქუჩისაგან. ქუჩა კარგი გაგებით კარგია, არც დედის კალთებს გამოკერებაც ივარგებს, მაგრამ როცა ამდენი უსაქმურობაა, უმდენი უმუშევრობა, აი, ქუჩა გახდა ყოველგვარი სიავის სათავე. ბატონი ზვიადი, რომ ჩამობრძანდა ზაგდიდში და საფეხბურთო კლუბი „ბაია“ ჩამოაყალიბა, ბევრი ირონიით იცინოდა, ცოტას სჯეროდა, რომ საქმეს აქამდე მიედევნებოდა. დღეს „ბაიას“ გუნდები ჰყავს პირველ ლიგაში, მეორე ლიგაში, სამასამდე ბავშვი მეცადინეობს იქ და შეჯიბრებებში ლებულობს მონაწილეობას. იცით, რა ქნა ამ ღვთისნიერმა კაცმა?! აი, ზუგდიდის მოზარდ თაობას ინექცია გაუკეთა, გამოაცოცხლა მოღუწებული, გამოათხიზლა საღათას ძილით შეპყრობილი. ბატონი ზვიადის მოსვლამ ზუგდიდელ ახალგაზრდებს სიჯანმრთელე, სიხალისე და ადამიანურობა შეჰმატა. არის სტადიონი, რომელიც 18 500 მაყურებელს იტევს. მას ექნება სასტუმრო, სპორტსმენთა დასასვენებელი, ხელოვნურსაფარიანი მოედნები, სავარჯიშო მოედნები, აუზი, კორტები, სხვადასხვა სახის მოედნები და როგორც თქვენ ბრძანეთ, უმაღლესი დონის ბაზა. ეს მარტო ფეხბურთი. ახლა სხვაგანაც შევიხედოთ. კაცი, რომელიც დედის გამორთმეული ფულით წავიდა მოსკოვში, განსაკუთრებული ფხა გამოიჩინა, ალლო აულო ბიზნესს, იშოვა ფული, მაგრამ ზოგიერთივით საკუთარ ნაჭუჭში კი არ ჩაიკეტა, სახლში მოაქვს, კაცო, აგერ, ზუგდიდში მოაქვს, თავის გასაცოცხლებულ ქალაქში მოაქვს. არ ვიცი ამას რა ვუწოდო. ზვიადი ჩემთვის წმინდანი კაცია, ბატონო გური. ამ კაცმა იმუშავა, იშრომა, საკუთარი რისკის ფასად და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, ზუგდიდში ფეხბურთს მიხედსავით. მორჩა რა ამ საქმეებს, ახლა ათი არაბული ბედაური შეიძინა, აქ ჩამოჰყავს და ზუგდიდში საცხენოსნო სპორტის განვითარება განუზრახავს. ჯერხანობით ეს საქმე იმიტომ ითრევს ფეხს, რომ იქ დევნილები ცხოვრობენ, მაგრამ პროგრამა არის და ყველაფერი მალე მოწესრიგდება.

— იპოდრომი?

— იპოდრომი, ალბათ, თბილისს არა აქვს ისეთი, ზუგდიდს რომ ჰქონდა.

— ტერიტორიულად სადღაა?

— აგერ, რუხში, დღეს იქ დევნილები არიან. მაგრამ ზემოთ ნახსენები პროგრამის შესაბამისად ყველას მისცემენ საჭირო კომპენსაციას, დააბინავებენ, ისინიც გაიხარებენ, ბოლოს და ბოლოს ადამიანურ ცხოვრებას ეღირსებიან. აბა, თავლაში ცხოვრება რა გასახარია?!

— ისე, ქრისტე ბაგაში დაიბადა.

— იქ სხვა ეზოტერიკაა, თანავარსკვლავედზეა თურმე საუბარი და არა კონკრეტულ ბაგაზე. მოკლედ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდება და მე მჯერა ზვიადი ამას გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა.

ამასთან აკეთებს ჭადრაკის სასახლეს, საჭიდაოს და ვინ მოსთვლის.

— ნონა გაფრინდაშვილის სასახლეს?

— ახლა ის ნონასი არ არის, იქ რუხაძეა, ნონას სახელი შერჩა სიმბოლურად. არ არის მისი სახელის საკადრისი შენობა. ბატონი ზვიადი გააკეთებს მაგასაც, მთლიანად ყრუ დარბაზის წამოჭიმვას გვპირდება. ეს კაცი არის მოვლენილი ზუგდიდისათვის, რომ ჩვენი ქალაქი გამოაჯანმრთელოს, ზუგდიდს დაუბრუნოს ოდინდელი სახე და ღირსება. თქვენ წარმოიდგინეთ სულიერ აღზრდაზეც ფიქრობს, კაცო, ეკლესიის აშენებას ვგულისხმობ.

— ეს ეკლესია რეალურია?

— რეალური. ჯერ საუბრებია, არის პროექტი, ჩაის ფილიალი რომ იყო იქ. სხვა პროექტებიცაა. ვნახოთ ვისი აზრებებს, მაგრამ, რაც მთავარია, ამას ბატონი ზვიადი გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა.

— ბატონო, როლანდ, როგორც თქვენი საუბრიდან შეეიტყვევ, ბატონი ზვიადი არა მხოლოდ ფეხბურთით შეპიოფარგლება, არამედ — მთლიანად ზუგდიდის სპორტის სატკივრებით. საჭადრაკო კლუბი, საცხენოსნო სპორტი. ერთი დეტალი მინდა აღვნიშნო: მხედრის პრობლემა ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად შეიცავს პროფილაქტიკურ მომენტსაც, აჯანსაღებს სერხეპალს, კურნავს წინა ჯირკვალის ანთებას, პროსტატისაც რომ ეპახიან, ვინაიდან ცხენს ადამიანზე ორი გრადუსით მეტი ტემპერატურა აქვს და მისი სიმსურველად ნამდვილ მამაკაცად აყალიბებს. გარდა ამისა, მეცხენეობით საერთოდ ცნობილი იყო ჩვენი კუთხე და ღმერთმა ქნას, ბატონი ზვიადი ჩემს წინაშე ისატება, როგორც კოლხეთის მომავლისთვის გულანთებული პიროვნება.

— ახლა როგორაა საქმე. ბატონი ზვიადი ბრძანდება საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თავმჯდომარეობაზეც ჰქონდა მას პრეტენზია, უფრო სწორად ხალხს უნდოდა, მაგრამ მას ამეები არაფერში სჭირდება, და როგორც სჩვევია, თავი შორს დაიჭირა. როცა თავმჯდომარის პოსტზე ხალხმა ბატონი ოთარ ფაცაცია აირჩია, პირველ მოადგილედ მისი კანდიდატურა მე წამოვაყენე. რა თქმა უნდა ერთხმად ავირჩიეთ. ახლა ბატონი ზვიადი კურირებს მთლიანად სპორტს. არა, ნამდვილი ზუგდიდელია, დოგაფილ ყაზაყრე. დარწმუნებული ვარ ჯერ ამ დარგს მიხედავს, მერე სხვებისთვისაც მოიცილის. აბა, სხვანაირად როგორ გინდა?! ბატონი ზვიადი აქ ცხოვრობს, აქაური კაცია, აპირებს მერე ჩამოფუძნებას, თავის ქალაქში.

— ამას წინათ გაზეთ „ზუგდიდელში“ ამისთანა განცხადებას წაგაწყვი: იგი მიზნად ისახავს სამეგრელოს 100 ღირსეული შეიღის გამოვლინებას, შემდეგ ამ ასი პიროვნებისაგან დასახელება სამეგრელოს დიდი ათეული. მე ეს პრობლემა 15 წლის წინათ გადავჭერი ჯერ გაზეთ „ოდოიაში“ (1994), მერე ბელეტრისტულ მატიანეში „სუფევა“ (2004). თქვენი შეხედულებით ბატონი ზვიადი მოხვდება ამ ათეულში?



— მაზე უკვე მიდის მუშაობა. გუშინ გვქონდა საზოგადოების აღმასკომის სხდომა, სადაც განვიხილეთ დიდი ათეულის პრობლემა. იქ იყო საუბარი, რომ განსაკუთრებით ტრადიციული ოჯახები გაგვეთვალისწინებინა. მაგრამ ჩემი მოთხოვნა იყო დარგობრივი მიდგომებით გვეხემძღვანელა. ამისთანა შემთხვევაში უხერხულობებსაც ავიცილებდით თავიდან და ძნელი გასარკვევი არ არის, მაგალითისთვის, სპორტის დარგში ვინ გვყავს წარმატებული 5 კაცი, ასევე მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ. მერე ვერავინ შემოგედავება **მე რატომ არ მოვხვდი ამ სიაშიო**, იმიტომ რომ 5 კაცში, ათში უცებ გამოჩნდება ღირსეული. ბატონ ზვიადს არ უყვარს რეკლამები. მე შევთავაზე ერთხელ, ხალხთან საუბრის შემდეგ, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე გამხდარიყო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ჯერ ისეთი რა გამოიკეთებიაო. ოთარ გაბელია იყო საპატიო მოქალაქე, ჭედია, იყო, ბორია სიჭინავა იყო, ხოჭოლავა იყო და ამათ გვერდით რომ დასახელდა ბატონი ზვიადი, ხალხს უნდოდა ასე, საზოგადოებამაც მთლიანად მოაწერა ხელი, მაგრამ ყვერაფერი ამოა ცდა გამოგვივიდა. მაგას დიდი გეგმები აქვს, ამიტომ რამდენსაც მეტს მოვეფერებით, მეტ ფრთებს შეისხამს. თვითონ არ მოითხოვს რაიმე რეკლამას, არც ვინმეს დახმარება სჭირდება სითბოს გარდა. აი, თქვენ რომ ითავეთ, ზვიადზე რომ ხართ აღფრთოვანებული, ამაზე უკეთესი ჯილდო მისთვის არ არსებობს.

— თითქმის ნახევარი საათი ველაპარაკე ბატონ ზვიადს. დომენტიც რქმევია. არ ვიცი რომელი ურჩევანია მიმართვისას. დიქტოფონი მქონდა, მაგრამ საუბრის ჩაწერა ვერ შევკადრე ვერ კიდევ უცნობ პიროვნებას, ჩუმად როგორ ჩამერთო. საბუნდუნოდ მესხიერებას არ ვუჩივია, თითოეული სიტყვა გონებაში ჩამეჭვდა. მისი პირველივე სურვილი იყო, რაც შეიძლება ნაკლები თქმულიყო მასზე, რიგით ადამიანებზე მესაუბრა. მაგრამ მოგეხსენება, მე ვერ ვუჩინებდი ვერ, მწერალი— მერე ვარ და აქ შეფასებებს ვერსად გაგექცევი. ქება-დიდებაზე, სოტბაზე არ არის საუბარი, არსებული რეალობის შეუღამაზებელი გადმოცემა გვაქვს მხედველობაში. ეს უწინარესად ხალხს სჭირდება, უიშედო, უნუგეშო ხალხს, რომელსაც წვევარამ დაბეში შეუქურასავით მოეგლინა ეს პიროვნება. თანაც საკმაოდ მეტად დაგროვილ ფაქტებს ზუგდიდის სინამდვილეში ვერსად გაექცევი. ასლა თქვენ მრავალი შთამბეჭდავი ინფორმაციით შეავსეთ ჩემს სელთ არსებული მასალები ბატონ ზვიადზე. ბუნებრივია, ეს მასალა მთლიანობაში თუ ვერ განავათავსე ვერნალში, ექვსტომეულ „სუფევაში“ სომ მაქვს ადგილი თავზესაყრელად?! ჰოდა, იქ მივუჩინე საბუდარს. კომენტარებისგანაც ვერავინ შემბოჭავს, ვინაიდან მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სვალინდელი დღის ძიებას არის გადაყოლილი, უამრავი პროექტი შემიქმნია საამისოდ, წარბის შეუსრულად წყალი უნაყავს, მწვერვალზე სიზიფის ლოდი აუგორებია, რათა უკანვე ჩამოქსევისკნელებულიყო. საკუთა-



რის ქვეყნის ფანატიზმამდე მისული სიყვარულის გარეშე მთებს ვედარაფრით დაძრავ ადგილიდან. ბატონი ზვიადიც ის კაცია, გრანდიოზულ მასშტაბებს რომ ეჭიდება და ქუდბედის მსგავსად საშვილიშვილო საქმეებში უფალიც უპართავს ხელს.

— ამ საარაკო ქველმოქმედებასათან ერთად ბატონი ზვიადი უშიშარი ადამიანია საერთოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთში, ასეთ აწეწილ ვითარებაში, ასეთ გაუსაძლის პირობებში, მისი სახლის თავზე საქართველოს დროშა ფრიალებს. დიახ, უშიშარი ადამიანია-მეთქი, კაცი, რომელიც მთლიანად იხარჯება საქართველოს სიყვარულში. ღმერთო, ყველა ქართველი ასეთ სიყვარულში დახარჯულიყოს! ბედნიერებაა, როცა დაბერდები კაცი, როცა გადაავლებ თვალს შენს ცხოვრებას, რა მაქვს, რა გამიკეთებია ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი ქალაქისთვის, და ბედნიერად გაიზმორები თუ ამოგყვა რამ იმედისმომცემი მეხსიერების სკივრიდან. ბიზნესზე ვერაფერს გეტყვი. ეს მისი პირადი საქმეა. აი, უშიშარი ადამიანი რომ არის, სხვა საქმეა, არაფერი მბოჭავს, ხელ-ფეხი მაქვს შეხსნილი. ხოლო რაც შეეხება პირადად ჩემს ცხოვრებას, მარტივზე მარტივია, აი, ხელისგულზე რომ არიო, იტყვიან ისე. შვილი მყავს მშენებელ-ინჟინერი. იურისტი იყო, მაგრამ ჩემს ზვიადისტობას მისი კარიერა შეეწირა. მოგახსენეთ აქამდისაც, რომ ვიყავი სპორტული ბატალიონ „ლაზის“ მეთაური. ვიბრძოდი აფხაზეთში. ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში და მიხარია დღესაც, ვარ ბატონ ზვიადის იდეის გამტარებელი.

— **ესე იგი თრი ზვიადი გყოლიათ ეტალონად.**

— ასე გამოდის. ნიღბით არასდროს მივლია. მერაბ კოსტავას დედა და ჩემი ბებია ალალი დეიდაშვილები იყვნენ.

— **ნეტარსსენებული ოლღა დემურია?**

— ხო, ქალბატონი ოლღა, ჩხოროწყუდან, ხაბუმედან. ბატონ ზვიად გამსახურდიასთან კიდევ ბევრი რაღაც მაკავშირებდა. მაქვს მისი ნაჩუქარი ნივთიც.

— **იმის ნაქონ ნივთს ვინ არ ინატრებდა?!**

— როცა დამავალა ლტოლვილები ჩამოიყვანე ჭუბერიდანო, მაშინ მითხრა, **დიდი იარაღი არ წაიღო ბიჭოთ.** აი, ბიჭოს ხუთი, ათი შეხვედრის შემდეგ გეტყოდა გემრიელად. რა ვიცი, პატარა იარაღი მაქვს-მეთქი. **შენს ძმას ხომ აქვს, დეპუტატს? ის იარაღი შენ აიღე და მე მივცემ სანაცვლოს. ამას კი გჩუქნი.** დრო გავიდა. ძვირფასი რელიკვიაა, მაგრამ სახლში ვერ შემინახავს. ისეთი დროა, იარაღის შენახვაზე თავზე ხელს არავინ გადამისვამს, ან სულაც რომ წამართვან, ალბათ, მოკვდები. სამოცი ათასი ლტოლვილი ჩამოვიყვანე ჭუბერიდან. ერთი მესამედი ჩემი საწვავი იყო, მეგობრების, ნათესაობის, მეზობლების, ყველგან დავრბოდი და ისე ჩამოვიყვანე ეს გაწამებული ხალხი. ბატონმა ზვიადმა მაშინ მადლობა გამომიცხადა საჯაროდ. არავის ეგონა ასე სამარცხვინოდ გამოვიდოდით აფხაზეთიდან. მე ვნახე მაღალჩინოსანი ხალხი, რომლებიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, ხალხი უკან მისდევდა: **გაჩურდით მაინც,**



ჩვენ მაინც გაგვიყვანეთო, ემულარებოდნენ, მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი. გახსენებაც კი მზარავს. მეუღლე ექიმი. შვილიშვილები იზრდებიან, ერთი სკოლაშია, მეორე ბაღში. მიდის ცხოვრება. მე ახლა ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ ზუგდიდში და შემიძლია თამამად განვაცხადო: **საქართველოს ფეხბურთი სწორი მიმართულებით არ მიდის. ახალკაცის პოლიტიკამ დაღუპა ქართული ფეხბურთი. ჯერ საქმე უნდა დაიწყოს ბავშვთა ფეხბურთით, როგორც ამას ბატონი ზვიად სიჭინავა აკეთებს. უნდა დაიწყოს ეროვნული ჩემპიონატი. ამის შექმნა უნდა იზრუნონ ნაკრებზე. რაც ნაკრებსა და მის მწვრთნელებზე თანხა დაინარჩუნა, კეთილსინდისიერად გადანაწილებულიყო დანარჩენზე, დღეს საქართველოში ფეხბურთი აყვავებული იქნებოდა, მაგრამ ააფრინე ალალით, თქმულა. აი, როგორაც შეიძლება თურმე: თბილისი ჩამოდის ზუგდიდში და მაინცდამაინც იმან უნდა გაიმარჯვოს, იმიტომ რომ ფავორიტია, დედაქალაქის გუნდია, ახალკაცის გუნდი. კაცს ას ლარს რომ ვერ მისცემ, მერე რაზეა საუბარი?! ყველა მეუბნება, ოთხი წელიწადია ხელფასი არ აგილია და მუქთაზე რა გამუშავებსო. ამისთანა ცნობისმოყვარესათვის პასუხი ყოველთვის მზა მაქვს: ჩემი მისია ეგ არის ძმაო-მეთქი. შემეძლო — სპორტსმენი ვიყავი, რაღაც პატარა გავაკეთე, მერე ეროვნულ მოძრაობაშიც ჩემი წვლილიც შევიტანე. იყო აფხაზეთის ომი, იქაც ვიბრძოლე, ისე რომ, მტრისთვის ზურგი არ მინახებია. როცა მოვხუცდები, პირველი ჭკუფის სისხლი მაქვს და ღონორად მაინც ხომ გამოვდგები?!**

— **ლამაზი საუბარი გამოგვდის. ჩემმა კარის მეზობელმა, აშორტიას ბიჭმა დაგვაკაცებინა. თქვენი წყალობით „გაგრის“ გუნდში თამაშობს ჯერჯერობით, მაგრამ ხომ ვიცი სინამდვილეში „ბაიასკენ“ მიუწევს გული. დაგუკავშირდები სელექციონერ ალანას და იქნებ მისი ვარჯიშისთვის თვალი შეგავლებინო. ფოტო, რომელიც ჩემს წინ დევს ახლა, ანტიკვარული შინაარსისაა. ხელში თურმე შეუდარებელი მისეილ მესხის ნაქონი ბუცები გიჭირავთ. საკმაოდ სოლიდური შემოთავაზებია ვიღაც ფანს, მაგრამ რელიკვიებს თქვენ ასე იოლად არ ელევით. ისიც ვიცი, ბატონო როლანდ, რომ დღეს ფრიად ამაღლებული დღე გაქვთ, თქვენი საგვარეულოს თავყრილობაა. სულ რამდენ კაცს მოითვლის თქვენი გვარი?**

— მეექვსე თუ მეშვიდეა სამეგრელოში. მაქაცარიები 6000-მდე ვართ.

— **არც სიჭინავებია ცოტა.**

— გვერდი გვერდ ვდგავართ. მაქაცარიანობა 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს დავამთხვიეთ. ყულიშკარის ეკლესიაში ვზეიმობთ. ეს ის ეკლესიაა, როგორც მამა მალხაზმა მოიხრა, ილორის შემდეგ ყველაზე დიდი



ძალა რომ ჰქონია. სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი, ქალბატონი ინეზა ფიფია, სამი კილომეტრის გზა გააკეთა, ხიდეები, განათება, სანიაღვრეები მოაწყო. ახლა ეკლესიის მსახურთ სახლს უშენებს. ეკლესიაში 100 000 დოლარიან ჭაღს ჰკიდებს. ღირსია! იმისთანა ძალა ჰქონია მაღლიანსო. აქაურ ეკლესიაში წირვის შემდეგ საქმეები კარგად წაუვიდა და ახლა საკადრის პატივს მიაგებს. აბა, იელოველებს ხომ არ ვაპარპაშებთ?! ბატონი ზვიად გამსახურდია იტყოდა, „მხედრიონი“ რომ შემოდიოდა, ჩვენი ეროვნული გვარდია იმდენი ვიყავით, ათჯერ მოვუგრებდით კისერს, მაგრამ გვიტხრა: ეს ჩვენი შეცდენილი შვილები არიან და არ ესროლოთ, ესენიც ქართველები არიანო.

– ჩვენი ჟურნალი ბატონო როლანდ, ასერგას-დღეუღია (150), ე. ი. წელიწადში ორი ნომერი გამოდის. ერთი კაცის შემოქმედებაა სულ. საკმაოდ ვრცელია, ფერადი. სხვათა შორის წლების წინათ ფანჯარა გვიწოდეს XXI საუკუნეში. მეორე ნომრის გამოცემას ცაიტნოტში ვახერხებთ. დიდი ტირაჟითაც ვერ დაფიკვსნით, სამაგიეროდ ამიერიდან მთლიანად სამეგრელოს სივრცეს მივაჩერდებით, რადგანაც მთავარი იმპულსი აქედან უნდა წამოვიდეს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ამისი უტყუარი გარანტია ბატონ ზვიად სიჭინავას ფენომენი და შეუდარებელი „ბაიაა“.

– ბატონო გური, მე მინდა ყველა მოაზროვნე ადამიანის სახელით მაღლობა მოგიხადოთ იმ ამაგი-სათვის, რასაც თქვენ ეწვევით წლების მანძილზე. ასეთ გაჭირვების ჟამს ზოგჯერ ფეხითაც დაიარებით.

– ჯანმრთელობისთვისაა თურმე კარგი, განსაკუთრებით გული თუ შეგტკივა ბედკრულ სამშობლოზე. აქ ცოტათი ტაიმ-აუტი ავიდოთ, თორემ პერ ცანკურთან და ბატონ ზვიადთან სალაპარაკო მგონი არაფერი დაპრჩება, ყველაფერს თქვენ ამოწურავთ.

იცინის.

– ბატონო გური, მაღლობას გიხდით იმისთვის, რომ კარდაკარ აგროვებთ მასალებს და ხალხს არ უკარგავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მარტო კაკა ჟვანიას და გვანჯი ჩიქვანის გაცოცხლება რად ღირს! ამას მიუმატეთ ბატონები: საშა ეგუტია, ჯოტო გუგუჩია, კირილე გოგობია, ოთარ ფაცაცია, კიდევ რამდენი კოლორიტული ზუგდიდელი. თქვენ ზუგდიდის მემპრტიანე ბრძანდებით. ამას ხალხი ხედავს, ხალხი ამჩნევს და ყველაფერი დალაგებულად ითქმება ადრე თუ გვიან. ჩვენ თითოეულს ჩვენი მისია გვაკისრია. ზოგი ფუფუნებაში ხედავს თავის მოწოდებას, იქ იფლანგება. სხვები გაჭირვებაში მყოფი კაცის გვერდით დგომას მიიჩნევენ უმთავრეს საქმედ, აქ იდგამს წილებზე ფეხს. ეს საქმე ანიჭებს ბედნიერებას და უხანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ უკანასკნელთა რიგში მეგულება ბატონი ზვიად სიჭინავა, თქვენც, თქვენც ბატონო გური და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!





ჰერბერტ ცანკერი

საფეხბურთო კლუბ „ბაიას“
მთავარი მწვრთნელი

– ბატონო ჰერბერტ, ჰერ ცანკერ, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს დიდი ფესვები აქვს. ჯერ კიდევ გასული XIX-XX საუკუნეებიდან მოყოლებული, ჩვენი ნაღები ინტელიგენცია დიდის ძალისხმევით აწყდებოდა გოთების ქვეყანას განსასწავლებლად. იქ ეზიარნენ გერმანულ სულიერებას ჩვენი კლასიკოსი მწერლები გრიგ-ოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია... ჩემი რომან-ტრიადა „სიცოცხლეშისჯილების“ გმირი ფინი ანთარიც გერმანიაში განსწავლული პიროვნებაა. არანაკლები ლტოლვა ახასიათებთ თავად გერმანელებსაც საქართველოსკენ. ზუგდიდში გვყავდა ჩვენ ჩინებული ინჟინერი ლუდვიგ გაბანი. იყვნენ ფეტურები, რომლებიც ფეტრის ქუდებს აწარმოებდნენ და სპირტის ქარხანა ჰქონდათ სალხინოში. მაგრამ ეს ისტორიის ფურცლებია, ჩვენ კი დღევანდელით ვცხოვრობთ და ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის ზუგდიდ-ქალაქში თქვენი ჩამოფუძნება. გვანტერესებს საიდან ბრძანდებით ძირით, როგორია თქვენი ოჯახური გარემოცვა?

– წარმოშობით ბავარიელი ვარ.

– იქ დიდებული ღვინო იცის რამდენადაც გამიგია.

– დიას, დიას, ჩვენთან სოფლის მეურნეობის კულტია. ჩემი მშობლიური ქალაქი ინგილშტატი ზუგდიდისგან პატარაა, სულ 120 ათას მაცხოვრებელს მოითვლის, მდინარე დონაუს ნაპირასაა გაშენებული. ჩვენთან აწარმოებენ მსოფლიოში დიდი პრესტიჟით გამოირჩეულ „აუდის“. ჩემი გატაცება საქართველოთი, მისადმი სიყვარული, იქ არსებულმა მუსიკალურმა ორკესტრმა განაპირობა. იგი ძალიან ბოხულარულია გერმანიაში. მას ხელმძღვანელობს

ფრაუ ლიანა ისაკაძე. მე ასელო კავშირი მქონდა ამ კოლექტივთან და მერე როგორც უფალმა ინება, საქართველოშიც მათი წყალობით მოვხვდი. მე მყავს დედა მარია და მამა კონრადი. მყავს ორი ძმა, რომელებიც მთლიანობაში სუთ შვილს ზრდიან, ოთხ ასულს და ერთს კიდევ ვაჟკაცს. თავად 44 წლის გამოუსწორებელი მარტოსელა ვარ.

– ჩვენებურად ბერბიჭას იტყვიან, მარტოსელა ზღვის მგელსაც. მაგრამ ამისთანა წარმოსადგე ადამიანს გამოგინდებთ ვინმე თვალწარმტაცი მეგრული ქალიშვილი.

იცინის. გადაფიჩინდება.

– ვნახოთ, ვნახოთ, ყველაფერი იღბალზეა.

– ბატონო ჰერბერტ, ჰერ ცანკერ, მე გერმანისტი ვარ თითქმის. თავის დროზე „ფაუსტი“ ორიგინალში წაშიკითხავს. ასლა მიმაგვიწყდა ყველაფერი. ერთ ანდაზას გეტყვი: გელდ ფერლორენ – ნისტს ფერლორენ, ლიბენ ფერლორენ – ფილ ფერლორენ, ცაით ფერლორენ – ალეს ფერლორენ.

იცინის. იცინის.

– გამიმეორეთ დიქტო თუ გწამთ. მე ვუპეორებ ანდაზას.

– არა, აქ ნამდვილი გერმანული ხასიათია ჩადებული. დრო უმაღლესი კატეგორიაა ადამიანისათვის. საქვეყნოდ ცნობილია იმანუელ კანტის პუნქტუალიზმი. დროის შეგრძნება პიროვნებად აყალიბებს ადამიანს.

– ქართველებს გვაქვს ამისთანა ფრაზა, „დროის მოკვლა.“ ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს?! „არა კაც კლაო,“ ჩაგვინერგავს ბიბლია, მაგრამ დროის მოკვლის გამო თითქოს არავინ განგესჯის,

არც უფალი და მით უფრო — ადამიანი. ჩემთვის საინტერესოა, როგორ, რანაირად უნამებო ერთმანეთს კარდინალურად განსხვავებულ ფენომენებს — გერმანულ მოწესრიგებულობას და ქართულ დარღვივებულობას? აქვე მობოდიშება მინდა იმ კურიოზის გამოც, ამას წინათ რომ დაძვინჯებოდა. ოფისის ვიდეოში მაშინ, ფოტო-აპარატს გაჩნაკუნებდი და თქვენც მოხყევით კადრში. თქვენი ელეთ-მელეთი არ მავიწყდება. დაცვის ბიჭი შემოგარდა, სამსახურიდან მომხსნიან, ჩემს ცოდვაში ნუ ჩადგებო, უნებართვოდ რატომ შემოუშვიო. თქვენ არაფრით მოისვენეთ, სანამ ის კადრი არ წამაშლეგინეთ ფოტო-აპარატიდან. ცხადია, მე დაგარდგიე ეტიკეტი, და ამისთვის გებოდიშებით.

იცინის. ასლა ნამდვილად იცინის, გულიანად. ზუგდიდელებს ბედმა გაუღიმათ, ასეთი წარმოსადგევი სასიძო რომ მოუვლინათ ზეციერმა. დახვეწილი მანერებისაა. ყველას მკაცრი რომ ჰგონია თავისი მომთხოვნელობით, სინამდვილეში უზომოდ გულთბილია. საუბარი გაიტაცებ. შეპირებული ნახევარი საათი ჯერ ორმოც წუთამდე გაიწვლება, მერე, აგერ, ღამის საათსაც მიუკატუნოს.

— ჟარნალისტებს ბევრად არ ვწყალობ. მაგრამ თქვენ შემთხვევა სხვაა, მწერალი ყოფილხართ, სიტყვის კაცი. აქ მუშაობაა, სქემები. ასლა სხვა ამბავია, შეთანხმებულია ინტერვიუ. მეც მოწესრიგებული ვარ. საამისოდ დროც გამომიანახავს. ჰა, როგორ თქვით, ცაბტ ფერლორენ ალეს ფერლორენო, არა. ნამდვილად ასეა, დროს თუ დაკარგავ, ყველაფერი დაკარგულია. მე ვახსენე ზემოთ ჩემი ქართული მუსიკით გატაცება. დიახაც, ამ მომენტმა გადმომიხროლა საქართველოში. ორი წელიწადი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ვიმუშავე. მანამდეც დიდი გამოცდილება დამიგროვდა — მთელი ჩვიდმეტი წელიწადი ვემსახურე დიდ ფეხბურთს. დისციპლინის, მომთხოვნელობის გარეშე ყოველი საქმე ფუჭია. ქამარმოშვებული ცხოვრება და სპორტი შეუთავსებელია. ამას პედანტიზმსაც ეძახიან, მაგრამ ფანატიზმის გარეშე ნებისმიერი, თუნდაც ჩინებული წამოწყება, ქარის წისქვილებთან შერკინებაა. ჩვენი მთავარი ამოცანაა „ბაიაში“ ქართული ფეხბურთის ხასიათის გონივრული დამორჩილება. ამას მოახერხებს გერმანული დიდი საფეხბურთო ტრადიციები. ამ მიმართებით ბევრს ვმუშაობთ მწვრთნელებთანაც. უწინარესად ეს რგოლია დასარეგულირებელი. ნებისმიერი გუნდი ერთი ორგანიზმი თუ გერ ვახსნა, იქ სერიოზულ წარმატებებს ნუ ელი. ფეხბურთს აქვს თავისებური მუსიკალური ენერჯია. ფეხბურთს დიდი პოტენცია გააჩნია ასალგაზრდობის ფორმირებაში. სულ დილეტანტების მოგონილია „ფეხებით აზროვნება.“ ფეხბურთი წინმსწრაფველი,

მიზანსწრაფველი სპორტია, და რაც უფრო დახვეწილია იგი, გასაოცარ სპექტაკლს ემსგავსება. ამიტომაც ვუკავშირებ მე მას გასაოცარ წარმოდგენას, ერთ აუწერელ ბალეტს, რაც კაცობრიულ სპორტს შეუქმნია. სპორტის ნებისმიერი სახეობის ელემენტია მასში დასინთეზებული. „ბაიას“ უახლოეს ხანებში ექნება ამისი დემონსტრირების საშუალება, რადგანაც დღითი დღე საამისო პირობებიც ფრთებს შლის. — ალბათ, ბატონ ზვიად სიჭინავას ძალიანსმეგას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია, ნამდვილი ფეხბურთისათვის თავდადებულ ამისთანა ადამიანს მე ჯერ არ შეგვგედრივარ. ეს არის იღბალი, ბედი, არა მარტო „ბაიასთვის“ ან სამეგრელოსათვის, — სრულიად საქართველოსათვისაც. ის იძლევა ძალიან კარგ მაგალითს, საქართველოს მომავლისათვის. აქ მხოლოდ ფეხბურთს არ ვგულისხმობ. ფეხბურთი დიდი ხანია გაცდა ტყავის სფეროს თამაშის ვიწრო ვაგებას. აკი ვახსენე ეს დიდი ორკესტრია-მეთქი, ანუ მთელი საზოგადოება, სადაც ტრიბუნები გუგუნებენ. არის ვნებათაღელვა. არის მუსიკაზე გასრიალება გატანილი გოლის შემდეგ და არის ცრემლები ხელიდან გაშვებული მომენტის გამო. ბატონ ზვიადთან თანამშრომლობა ბუნებრივია. ის ღია ბუნების ადამიანია და ამაყდროულად მომთხოვნიც. კომუნიკაბელობა მისი სტიქიაა, მაგრამ ყველზე მთავარი მის პიროვნებაში პატრიოტული მომენტია. სიგაჟემდე უყვარს არა მარტო თავისი ქვეყანა — სიცოცხლე საერთოდ, ჰარმონია სამყაროში, ურთიერთბატონისცემა ერებს შორის და მანაც საქართველოში სულდგმულობს. არა, ის შეუდარებელი პატრიოტია, ნამდვილი პატრიოტი!

P. S.

„ბაიელებზე“ საგა დასასრულს უახლოვდება. ზურგს უკან დარჩა შეუპოვარი მარტინი მარტვილის „მურანთან“, რომელიც 2:2-ზე დამთავრდა, და ერთგვარი ვნებათაღელვაც ააგორა, მაგრამ ჩემთვის უფრო მთავარი იყო შეჯიბრის წინანდელი წუთები, როცა ბატონ ზვიად სიჭინავამ დაგვათვალიერებინა მოზარდებისათვის განკუთვნილი ღამის გასრულებული სასტუმრო. აქ ყოველგვარი პირობებია სრულყოფილი ცხოვრებისათვის. ბიზნესმენი ფრიდონ ინჯია გაოცებული დარჩა მასპინძლის ინიციატივებით. ბატონ ზვიადს არ დაუმაღავს მხარის ერთიანი საფეხბურთო სივრცის შექმნის აუცილებლობა. მეტიც, გარკვეული ინვესტიციების ჩადებაც ახსენა ამ კუთხით. გაივლის ასერგასი დღეც და ბუნებრივი ვიწები კიდევ შეიდ დიდ პიროვნებას თუ აღმოვაჩენ სამეგრელოში ბატონ ზვიად სიჭინავას თანამდგომელს. სამეგრელო ნაპოვნია — ჩვენი ნარკვევის გმირი, თუ ბატონები: ექსპრემიერი ოთარ ფაცაცია და ვიც-ესპიკერი ფრიდონ თოდუა.

BAIA

საქართველოში პრიორიტეტი გაფუფუნები იზრდებისათვის

დოკუმენტი

სინჯინაშა



სამუშაოსათვის ამოცხებული მეცნიერი

აბესალომ ტულუშს ოთხმოციანი წლებიდან დავუახლოვდი. მე იმ ხანად რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილებს“ პირველ წიგნზე ვმუშაობდი ჭურიაში, კახათელების ფარეხში. მესტუმრნენ ბიჭები და მომთხოვეს პასუხი გამეცა კითხვისათვის, თუ რისთვის ვუჭერდი მხარს ზუგდიდში განსახორციელებელი დაჩოქილი ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმას. პირველად მესმოდა ამ მონუმენტის თაობაზე, ყველაფერი ხელად გაირკვა და საერთო ძალისხმევით ჩვენ მოვახერხეთ ქართული სულიერების იმ დამაკნინებელი სუროგატის აღკვეთა გაგანია კომუნისტობის პირობებში.

ჩვენი აბესა, ეს ჯაგარაულვაშიანი კაცი, ყველაფრის ინიციატორი იყო სადადიანოს მთავარ ქალაქში.

სახალხო ფრონტის სულისჩამდგმელი ზუგდიდში, სულ დაუსრულებელ გაწამაწიაში გახლდათ, არაფორმალობის კალაპოტიდან ამოვარდნილი პერიოდიდან მოყოლებული, იგი ყველა მოვლენის ეპიცენტრში ტრიალებდა. იშვიათად ჩატარდებოდა მიტინგი, სადაც აბესალომის შავად მოხასხასე უღვაშს არ დალანდავდი.

ღალიძგასთან სრულიად სამეგრელოს მოზღვა-ვების ერთ-ერთი ინიციატორი ლომივით მძვინვარებდა სასტუმრო „ოდიშის“ წინ სტიქიურად აბობოქრებულ ხალხში. ნეტარხსენებული მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი სიტყვას აცლიდნენ, აზრს ჩაეკითხებოდნენ. სადამსჯელო ოპერაციების დროს თამამად გაუსწორა თვალი „მხედრიონის“ მძვინვარებას სამეგრელოში. უჭირდა ოჯახის რჩენა, ხან „წისქვილ-კომბინატში“ ტრიალებდა ტარიელ ქანთარასთან და სამოწყალო ხელფასით გაჰქონდა თავი. მეცნიერული მუშაობა კი არასდროს მიუტოვებია. შვეიცარიის ბიბლიოთეკაში და როგორც წესი, სამკითხველო დარბაზში წიგნების ხროვაში

ჩამალულ აბესალომს ვიხილავდი მის განუყრელ მეგობართან, ზურაბ ცხონდიასთან ერთად. იკვლევდა სამეგრელოს შორეულ თუ უახლეს ისტორიას. მისი ეტიმოლოგიური ძიებები საყურა-დღებოა მრავალი ასპექტით. აბესალომის ვარაუდით ზუგდიდის სახელწოდება უნდა მოდიოდეს „ზუბ დიდიდან“, იგივე „სუკ დი დიდან“ ანუ დიდი მალლო-ბიდან. საინტერესოა მისი კვლევები წარმართული პერიოდის ღვთაებებზე — ჟინი ანთარზე. მე მან ოთხმოციანი წლების მიწურულს ფრიად საინტერესო მასალა გადმომცა ამ წარმართულ ღვთაებაზე და წარბის დაუხამხამებლად ჩემს რომანში მივუჩინე ადგილი. დიდად ერუდირებული მეცნიერი იყო უეჭველად, ფართო დიაპაზონის მკვლევარი, რომელსაც მრავალი წყაროსთვის მიუწევდებოდა ხელი.

ბოლო პერიოდში ჯანმრთელობამ უღალატა ჩვენს აბესალომს. შესაძლოა უფრო ამ უპერსპექტივო საწუთრომ მოუწამლა გონება, თუმცა ამეებს პირად საუბრებში არაფრით შეატყობდი. ერთი პერიოდი ჯოხს დაყრდნობილი დაიარებოდა. გადაავლო ისიც, თითქოს თვალში გამოიხედა და უცებ იფეთქა ავბედითმა სენმა. წავიდა, ასე ზუგდიდელეებისათვის სანთელივით დალეული კაცი. დატოვა შვილები, ოჯახი, საყვარელი მეგობრები. მთელმა ქალაქმა გააცილა იგი ვლაქერნის (კარის) სახელობის ეკლესიიდან. საჭირის-უფლო ხარჯები არავის დაუთმო მოსკოვში მცხოვრებმა დიდებულმა ზუგდიდელმა, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ბატონმა ზვიად სიჭინავამ.

აწ ნეტარხსენებული მეცნიერის აურაცხელი შრომა შემდგომ კვლევას და გამოცემას მოითხოვს.

— ჩვენ ლაზები ვართო, — უთქვამს ჩემთვის, — მე ვარ ლაზურის ერთადერთი სპეციალისტი საქართველოშიო, — განუცხადებია დაბეჯითებით, მაგრამ არ დასცალდა მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება.

იმედია, წესიერების განსახიერება ვაჟიშვილი გია ტულუშში მზრუნველობას არ მოაკლებს მამის მეცნიერული მემკვიდრეობის გამომხეურებას.

ოღოია

ოღა გაჟრა
ინჰაშა ინულა

II. 1. აფსირტე

010 დაში წირწინი დოშქირტუ, მეჭყორდუ არგოშე კვანწინი,
თოღსუ მეტხოზუ ფაზისი დო აშარანტა კვანწილი,
მის გოკო ანწი ენდურე?! გური ჩქიმით რე წყანწყილი,
„დუდი მუშენი მიქექე?!“ ურუმშე ვორექე ჭყანჭყილი,
ნანაფულეში მანგურო წყარს ქენმორღვანა ხანგურო.

020 საფულე ვეშელირსებუ, ჩხომეფი გობიროძონუნა,
ინ-ბორიეფი ტკილეფიშე კიბირით ვილაბრცხონუნა,
სირინოზეფიშე ღურჭული ჰამო თოფურით წყორუნა,
სკილა ქარიბდას არაგვე, შურკუნტას ეკაჭყორუნა,
მათ ბორიათუ გინოფროექი, უკულე შედეპქ ქუმორთ თექ.

030 დუღშენო მითინს ვაკოდი, აქტი ნჯარსუ ჯორგუნდუ,
„ჰელიოსიში გამნარყის ნოსათ ჰალიძონე მორკუდუ,
ქო, ქორე სქეა ბელადიშე მარძგანე კილეათუ მორგუდუ,
თიში ხელუათ კონკერშა თრქო დო ვარჩხილე სორგუდუ,
მარა დუღმუჭო მეშხიშეს!“ დო ანთასნერი გომსიშეს.

040 „ჩქირქი დომშუშეს დო გინი ნორჩალშა გემთუშქეცხია,
ოკოდეს მიკარტყალესკო ცაბათიში ფსქეცხია,
ხეკირილე არამხუტუთი ართიანს ქიმიოქეცხია,
გურგინი ქიგიოდგე მაფეს: „ეირჩქინდნანია შესია,
დო აიექიშე კორკონტის პეული ვეშიარკესია.“

050 იშენე ვილეფშით ტყობასუ დო ცოროფალა ბრჩქალუნდეს,
იქ არავინ ეხარბება ჩახეთქვას და სიმძღორისეს,
არვინ ნაღვლობს მოხუცობას, აღარც — გოგოს ქალწულობას,
070 შეასწავლე ჰო და არა, ბნელებს გზები გაუნათე!

ბოლოს დირთუქ აიაშა, მარა დორხვად ჩვარჩვალერი,
ვაგაშქურნას, ირი ჭუა მოთაცალო გარჩქალენი,
ჯვეშობურო ეწკაცუნუ ბუაში სინთე ბარჩხალერი,
არძა დუსუ დუკინანსუ ბონი რენჯ თუ კვარჩხალერი,
080 სქანჯ ტიბინი ვესურებუ, ირი მარდი გესურებუ.

მარა დიო ქიმიჭყანე, მა — პაპუ დო სი — ბადიში,
ჯვეშობურო გეშეჯარჯი, შარა გეიძე ხიფათიში,
ქრისეისის ვეჩერცხუა, სქანგურშენი რინა თიში,
გერზამე დო იკვარკვანტუ, მალამო რე ჩილათიში.
090 თინა გარზენს ირი ძალას, მარდი თიში ოსურალას!“

თუთა შქვითშა დითირუ დო ქრისეისით ქიმკიკვალუ,
ოდოიამჯ ფართო კიდირს ალიშფერი ქიგნადვალუ,
ხასეფე ჩხეშას მიორღვანა, მინჯ თვალუ დო მინქ ვათვალუ,
ეწაძირე მუში ელხე, მუჟამს თოლი ქიმკადვალუ.
100 ქიმაკათუ ქურუმჯ ბაბუ, თექ რე ღურუ დარუმფაფუ.

„რამზესიქუ თოლი გერდგუ ოსხუნარი სასინჯოთუ,
ნუთის გარზენს ბუაში ნახას უკვდებამა სახინჯოთუ,
წათეობა გეგნუჩამუ აიასჯ დახვინჯოთუ,
კა დოიგორუ — სიზოსტრატე — მაფალობას საცინჯოთუ..
110 ბაბა, სოთინჯ ვემუჩირთა, ქეიზადინუ ე — მუ ჯგირჯ თა?!

თუთაქ მირთუ ვითოსუმშა, თარჩიეფი ქიშილებუ,
ბრელი შარა დო აკართუ ფოქვით გეგნიქვიშალებუ,
ოთანუანს სფინქსიშე ოროს, ნუთი წკუმა იმანებუ,
ჰელოსიშე ფსქე დო ორთა გვალო გეშეჯიშანებუ —
120 ართო რდანი ღორონთული — ცა დო დინა წორონთული.

წიმი პეულს მეურჩანა ცვინთეღეფით შეღერდელსუ,
კოპტურითუ იჩიებუ, სქუაცალო ქეღერდელსუ,
ავრე ნუთიშე ხელეფჯ ნდლულუ, ევრე რამზეს ხელენდენსუ,
ხვამარდევსუ ქუმანჯღვერუ მოლენთის თუ მეღენთესუ.
130 დუდი გინოხოკილჯ აფუ, შარა გეუძე ოცვილაფუ.

იწირლოლუ აქციუსი დო კირბეფსუ უქვაჩუანს,
ნუთი ბოშის ძუძუს არზენს დო ფიჭვეფსუ უფაჭუანს,
რამზეს გულურს ეკი-დიკი, საწმოხუნოს უტკვაჩუანს,
ირფელჯ გაცხადებული რე გოკონჯ ძალამჯ მიკა ჩუას,
140 ელაჯინე ოდოიას დო გუხუანს სოტოიას.

„ვით წანასუ უხვენთქუანდ ვილუმასუ ურუმია,
ვით წანასუ უკვანწუანდ გემეფს წყარი დურუმია,
დოჰკადესუ ჯაში ცხენი ვერეხი დო წკურუმია,
გემნიღესუ ტროაშა დო თოლით ქიგეწკურუნია.
150 ბუა-კირბიშეფს მეგორუნდეს, ნამუთ ამარჯ ნწკარუნია.

აგამემნონს ქიმურჩქინი მუში ჯიმა ეგისტორე,
კუდეღჯ მურგვა ჯოდორიში ოჭნახითუ ვეგისწორე,
აბანოსუ ქემლაცვილეს, ბირცხა ოკო გემიშორე,
ხეთის მუში დლა დუკაკი, ანწი რინა კემიშე ორე—
160 ქანაანი ქუას კვათუნს, აქციუსი ჰუმუს ნათუნს.

- ბოლოს მიხვალ აიაში, თუმც დაგხვდება დაბუღული,
 ნულარ შიშობ, ყველა წყლული ყურს დაგიგდება ბადიშვით,
 ძველებურად გაგიძღვება მზის ნათელი მოჩახჩახე,
 თავს დაგიხრის დიდ-პატარა, სწორია თუ უკუღმართი,
 080 შენი გზაა უსასრულო, ყოვლი მადლი მოგეცხება!
- თუმც ჯერ ძალა მოიკრიბე, მე — ბაბუ და შენ — ბადიში,
 ძველებურად გამოკეთდი, წინ გზა გიძევს სახიფათო,
 ქრისეისის არ მოშორდე, შენ გულისთვის ყოფნა მისი,
 ანთებულა და ფუსფუსებს, მალამოა შეცდომების.
 090 ის განიჭებს ჯან-სიკეთეს, მადლი იმის დიაცობას!“
- მთვარე შვიდჯერ შეიცვლება და გაქრება ქრისეისიც,
 ოდოიას ფართო გულ-მკერდს ალისფერი გადელვრება,
 მხეველებს თქმო მოეპნევათ, ზოგს ითვლის და ზოგსაც — ვერა,
 ელანდება თვისი გოგო, როცა თვალი ელულება,
 100 მოაკითხავს მოგვი პაპა, კვდომა დაამარცხებინა.
- „თვალი გკიდა რამზეს-მეფემ, ტკბილ სასიძოდ აგირჩია,
 უკვდავების სავალ ხიდად ნუთის გაძლევს მზისგან ნაშობს,
 წათეობა მოგანიჭა, რომ დაბრძანდე აიაში,
 სააზატოდ დაგიძებნა სიზოსტრატე — ორეული.
 110 შვილო, ნურსად შეუცდები, ე — რა მადლი დაგაბერტყა?!
- მთვარე დაცხრა ცამეტჯერ და ჰა, შეიძლო მარულები,
 ბევრი შარა გასაყარი ფლოქვით გადაისილება,
 ღამეს ათევს სფინქსის ჩრდილში, ნუთის ნეფედ ინიშნება,
 ჰელოოსის ნაშიერი აწ მთლად გაჭიშიანდება —
 120 ერთად იყვნენ საუფლისო — ცა და მიწა განუყრელი.
- წინ ყვავილებს დაუფენენ სულ ყვითლებად დარახტულებს,
 ლაპარაკობს კოპტურ ენით, ღამის შვილად გაუზრდიათ,
 აქეთ ნუთის ხელი დნება, იქ რამზესი შფოთიანობს,
 ხომალდის ფლოტს წაუძლოლა, გამოღმა თუ გაღმა წყლებში,
 130 თავი გადაუპარსია, წინ გზა უდევს სასისხარი.
- აქციუსი წრიალებს და კირბიშების შრიალია,
 ნუთი პირმშოს ძუძუს აძლევს და წამწამებს აფახულებს,
 ბოლთასა სცემს ფარაონი, სამომავლოს იძრახება,
 ყოველი გაცხადებულია, ძანაც რომ შეინახოს,
 140 ზეაჰყურებს ოდოიას და უთოხნის სარეველას.
- „ათი წელი ეჯაგურა ტროის კედელს ურუმეთი,
 ათ წელიწადს ანანავა ხომალდები მღვრიე წყალმა,
 გამოქედეს ხის მერანი წკვარამი და ბუმბერაზი,
 შეიტანეს ელიონში და, ჰა, თვალიც დავსებია —
 150 დაეძებდნენ მზე-კირბიშებს, რომლებიც აქ ალაგია.
- აგამემონს მივუჩინე მისივე ძმა ეგისტორე,
 მესოფლია ძაღლის კუდი წნეხითაც ვერ გასწორდება,
 აბანოში გამოფატრეს ბრჭყალი უნდა მოიშორო,
 ხეთებს თვისი დღე ვაგემე, აწ სუფევა კემისაა,
 160 ლოდებს მიჭრის ქანაანი და კაცს ნათლავს აქციუსი.

ამარჯ ჩქინი ჭიჭე ფერა პტახიშჲ სქუათ მინჭუაფუ,
ირი ხალხი ჩე თენგუსი თეშო ქიმიქინჩუაფუ,
გოკონჯ ცვინთელჯ ამუს რდასუ, თეშო ქიმიჯინჯუაფუ,
უჩა ნეხუს შურო მიქ თქუ, ირფელჯ თეშო იჩუაფუ,
170 ვადმაცუნუნ— ვაი ცუთის! დუღ მებსხუნათ აიეტი!

გემეფიში უნჩას სი რექ, ა — ფარი დო ა — ლეკური,
ქეწაქუნი ყუმიტეფსუ, იმპუს ქუდვი გალე ქური,
ოდოია ეთმირზამუ, ჭიე-ჭიეთ მალე გური,
მარა დუსუ დიხართანსუ, ითამჯ მოწონს ზალეზური,
180 ხეს ქიგნოდვანს ღვეტე ნუთის დო თოლეფსუ თი მინუტის,

ქეწმუდირთუ მუში ელხე ნინალუათ მოქოსილი,
ოდოიაშჲ ცოროფათუ გეჰენიას დოქოსილი,
მინჯ ახასუ გეუბუნს კერზის, მინჯ გილულუ ქოქოსილი,
აბაშეფსუ ეთანჯირუ ჭვემათ თოლი გოლოზილი,
190 ცუჩა ირთუ ოდოია, თე მართალო ბოთოია!

თოფურითუ მუჭაბუნა ჟირცუჯამი ამფორეფსუ,
სარკოფაგეფს ქაჩუქენა დურუეფშა ნაფორეფსუ,
ორქოთ ქარგილჯ ხალიჩეფი მაძირაფუს აბორენსუ,
ეუშქვანა აფრეფსუ დო ჟინბორია ფაფორენსუ,
200 „ქუმოაჭარე დლა ძიუთ სი,“ ჩილამურენს აქციუსი.

„მისტრალეფსუ ქენდობარი კავკონიში ქედეფ ცურე,
ურუმიას ქეკიტალე, ტროა იშენჯ გეტებულჯ რე,
გიაქუნი ფართო წყარსჯ ანწი მარდი, ნიტე ბღურე,
თინა რე ჩქინჯ შურობუმუ, ჩქინი რინაშჲ მეყბურე.“
210 ოდოიას სა უკებუ, ართი სიტყვა ვაგუგებუ.

წყარიშჲ ნებას სი ვენირზა, ინა ენურს ენმალიშა,
ქიდაცუნჯ დო გეშაიციუნანს თოლუნჭაფუ მწვერვალიშა,
ჟინცაშჲ მელე ჟინცა ცონუ, ვაგანტინე ელ-ვალიშა,
მარა ვორწყქქ განჭუაფუ, თესხის ტყურათ მერბალიშა.“
220 ქახუტულჯ დო ქანგარინე, ვადახუნჯ დო ვაგიარინე.

ოშ ოთხონეჩ ჭყორი ცუნსუნ, ოშშა მეტი ქუმაცალუ
კათა ზღვასჯ მეხაშილი დო აია მუახალუ,
„გეგნაცათი აიეტი! ენა უფალქ დგავალუ,
კოლხეთიშო გეკოჭოფი ცაშა მუდგაქ დიგალალუ.“
230 დოკვარკვაზეს ბაგირეფი, შხუ ხონარით მაბირეფი.

„ბრელშა გეჩი: სფინქსიშჲ ძიცა, ხორ-ონთი რე, სნო თუ ონი,
სინთე თეში გერზიებუ ჟინცას ტანი სო დუცონი,
ბორჯალეფი გემეკირულე ვაგაჭიშე მოჭიშონა,
გეჰენიათ გემანგებუ გვალა, წყარი დო ქვიშონა.
240 ქი-ენ-გი რე სარკო დუქუ, ვაიჭყოლოფანს — ვამკართგქუ.

შუმერულო ჯოხო ასო, ბრუო რე დო სუ ასტი რე,
ურიტეფით მიხაბარკუ, გაიგონებნო ფსუა ნთირე?!
თოლუნჭაფუ ქარავანი ლიშის წვანჯშა დიგანტირე,
ირო დუღშა დორთინალა ტყურაია ნჭუაფი რე,
250 დობადონაშჲ ფიჩუ-ფაჩუ, სფინქსის ძიცას ეკმიფაჩუ.“

- აგერ, ჩვენი პაწა ფერა ქვეყნის მეფედ მოიჩქარის,
ყველა ხალხი თეთრ-თენგუსი მისთვის წამოიმუხლება,
გინდ ყვითელი ამუსია, მისთვის ამოიძირკვება,
შავ ნეხუსი სულაც ვინ თქვა, ყოვლი მისთვის ინახება.
170 ვაი იმას, ვინც არ დამყა! აეტს თავი წავაცალოთ!
- შენ ხარ ნავის კოსალარი, აგერ, ფარი და მახვილი,
ყუშიტების ჯარს წარუძებ, გააძვევ იმპუ გარეთ.“
ოდოია დაენტება, გული ნელ-ნელ უჯავრდება,
მაგრამ თავსაც მოიზღუდავს, ვითომ აღთქმულს შეჰხაროდეს,
180 ხელს გადაჰხვევს ქორთა ნუთის და მყის თვალწინ დაუდგება
- მომამაგე ქრისეისი, მსახურობით მოჟამული,
ოდოიას სიყვარულით ცეცხლის აღში გახვეული.
კერძს დაუსხამს ზოგჯერ ახას, ზოგჯერ ქოქოსს დაატარებს,
ხან აბაშებს გაუწვება, წვიმით თვალი გახაზული.
190 შინ ბრუნდება ოდოია, ეგი მართლაც უგერგილო!
- სანთლით გადაუბეჭდავენ ორყურიან ამფორებსა,
სარკოფაგებს აჩუქებენ მძლე სიკვდილის შესაბოჭად, —
ოქროცმული ხალიჩებით, სულელდება მოყურადე,
აფრებს მალლა ასწევენ და ზენა ქარიც აფოფრდება.
200 „დღეკეთილი შენ მაღირსე,“ იცრემლება აქციუსი.
- „მისტრალეების ნებას დაჰყვ, კავკასიის ქედებისკენ,
ურუმიას მოიტოვებ, ტროა მაინც აკლებულა,
შენ მისდღე ფართო ნაკადს, აწი მადლი, გინდა მოგვედე,
იგი ჩვენი სულისდგმაა, ჩვენი ყოფნის მეცეცხლური.“
210 ოდის შვილი უკავია, ერთი სიტყვაც ვერ გაიგო.
- „წყლების ძალას არ ედავო, იგი ჩავა ჩასავალში,
დაჰყვი და ზეაგიჟანს თვალუწვდენელ მწვერვალებზე,
ზეცის მიღმა ზეცა სუფევს, ვერ გაცდები ელვა-ქუხილს,
მაგრამ ვხედავ — გეჩქარება, ამდენს ფუჭად მაქაქანებ.“
220 ჩაეკრა და ატირდება, ვერც ჯდება და ველარც დგება.
- ორმოცი ჰყავს ჰალიძონი, გემიც ეგრე უმეგზურა,
ზღვაოსნობით ჭიპმოჭრილი და აიაც შეახსენა:
„აიეტი გააძვევ! ეგი უფლის ბრძანებაა,
კოლხეთისთვის შემოკრიბე რაც ზეცისგან გისწავლია.“
230 დაახვიეს ბაგირები, მალალი ხმით მობაბანე.
- „ბევრგზის გარქვი სფინქსის ღიმი, უფალია, წრე თუ ონი,
შუქი ისე მოგეცემა ცას ტანით ვით მინდობიხარ,
გაირბენენ ბორჯალები, მოსასწრებელს ვერ მოასწრებ,
ცეცხლის ალით გასწორდება ქვიშა, წყალი და მწვერვალი.
240 ქვეყანაა სასწაული, არ სწყალობს განდგომილებს.
- შუმერულად ჰქვია ასო, რვა არის და სუ ასტი-ა,
ურიკებით მირახრახებს, გაგონილა ფრთა ათრიო?!
თვალუწვდენი ქარავანი ნემსის წვერზე დატეულა,
ერთ ადგილას ციბრუტდები უმაქნისო სულსწრაფობით.
250 წუთისოფლის სივალალე სფინქსის ღიმში განქარდება.“

მირსიოლუ ჩილამურსუ გემი აფრა გოფაჩილი,
აქციუსის ხე გეგმუცენს ოსირისით მოქანჩილი,
სფინქსიშე მელე პირამიდეფე ნირსეფით რე დოცანჩილი
დო ქანეფი — კინოხონი ლიმუეფით მოპანჯილი.
260 ჭვიტაფე ულუ მესკელესუ დო ნირსეფქვით დესქელესუ.

II. 10. ელხე

ართუა ხოლო ვემკუჯინუ ოდოიას ნუთიცურე,
სა გურიშა ქიხუტოლუ, „გოლვაფირი, მუ ტიბუ რე,
სიზოსტრატეშე ამნახანტი, მუმაცალო უწიფუ რე,
მარა შხვაფრო გეშეჯარჯუ, აბა, კოლხშე მუ დიდურე?!
010 შინას ქათხოზ ჩილამურქუ, გალენქვით თუ შინაურქუ.

მეხვამარდეს კილეშე რქიას აკვანწალუ ოცუჯეფი,
გემიშე ხოპი სუმ წყება რე, საფარსაკოთ მოხუჯეფი,
ხვალე ართი ცვინთელენსუ, შხვა ჭითა რე დო უჩეფი,
სუმკუნთხულო მეფურინნა ჟინცას ტყარი კოკუჩეფი,
020 გილაგორუნს ცოროფილსუ, რუმე რინათ გოროფილსუ.

ელხე აქუ ვეპალუნი, ვართ მაჟრას დო მასუმასუ,
ვეჩიებუ მუს მეგორუნს, ეგებ ხონარქ გასუმასუ,
გეკულებუ არძა გემი, ქოგურაფუ ნაშუმასუ,
ფართო ზღვში გიშულაშა, მოგვის სიქა გაშუკაზუ,
030 „მუ თახსირი ცოფერენი, ხვითო მუჭო გოფერენი!“

მუში ელხე ეწაძირე ანგორაშა მუშართუნი,
იბუძოლუ მეზაზარე, გა ორინჯის მუშარდუნი,
ქრისეს სქუა გეიშურსხებუ, მითქულანა მუშა რდუნი,
ვეცი ქანაშე გინოლაფა, მიდგას თენერე გიშარდუნი,
040 ოდოიას გურუა ქელუს, ქუგუცენა ღურელ-თელუს.

ელხექ გეგმოლ გირინშე დო ზლოდი ძალამ ქიგიფართხუ,
ვარე ხუმამე სისანდობა, ჯაჭვის კოპა მიკიგარტყუ,
ბოშიშე თუმა კირონჭილი კიდირიშა მიკიპარტყუ,
თე კიდირქუ წანა ვარე მიჩიტოლგ დო მიკიპარტყუ.
050 თოლეფს ოძგვირინუნა, ცუჯეფს ოცქვირინუნა.

მუ ხანი რე ვალიმენა, გურგ მორთუმუ აქილევის,
„ა, ნანდული დაში სქუა“, უბირუნა ოცქვაფლეშის,
ტროას დიდი ხიოლი რე, ვაკილანა მაკილეშის,
თინეფს ქრისე მეკათუნანს უჩა ჭირსუ მაკვილეშის.
060 ა, ტაძარშე ქუმოფუშანს, მტვერს ქიტონით ქუმოხუშანს.

ქრისეისი ვარწყე მუმამ სანდალქ მუჭო ელაჩართუ,
„აეტიში ბადიში რე“, მიდგარენშე ქელაჭვათუ,
„ვა იშე მეტი აქციუსიშე ქურუმალას ელანჭათუ,
მუდგა ლეკურე ლაბარსუათ, მუდგა ძეწკვი გელანჭათუ,—
070 ქეწაქუქუ ბოშე დო ცირას, — გოკონგ კირბი ოშო ზირას.“

ავრე მუმას ღურჯოლუნს დო ვერე ოდის ფუჩონუნსუ,
გოდორეფი ეკორთენა, ჯორი ხულსუ გუჯორუნსუ,
ცირას ხონარგ ვეკმოულუ, „დიაჩქიმი მუჭო რცუნსუ“,
ოსურეფი ფუცქინუნა, ჩქიჩქი ძუძუს კუწოლუნსუ,
080 თოლი ენტებ ოხვამეშა, დორთას ველგდ გოდანერშა.

ცრემლის ჩქერში მისრიალებს გემი აფრა აწეული,
 მოგვს ხელები ჩამოსცვივა ოსირისის მოქაჩული,
 სფინქსის იქით პირამიდებს ჯანლი შემოეგარსება
 და — ქვეყნები დაქცეული გარდახდილიომებისგან.
 260 უსტვენს ჩიტი მაფშალია და ნისლებიც შესქელიანდნენ.

II. 10. ელხე

ერთხელაც არ მიუხედავს ოდოიას ნუთის მხარეს,,
 შვილი გულში ჩაიხუტა, „შემოვევლე, რა თბილია,
 სიზოსტრატეს მაგვარია, სულ მამაა უგერგილო,
 მაგრამ სხრად გამოვჩორკნი, კოლხისგან რას შეისწავლის?!
 010 ხსოვნას ცრემლი ჩაედევნა, უცხოა თუ მშობლიური.

მენიხბეებს მკლავგარჯისას, ერხევიან საყურენი,
 სამწყებაა გემის ხოფი, ფრიად მოსახერხებელი,
 მარტო ერთი მოიყვითლებს, სხვა შავია და წითელი,
 სამკუთხოვნად მოფრინავენ გარეული ინდურები,
 020 გამალებით ეძებს სატრფოს, მრუმე ჟამით გაწამებულს.

არსადაა მისი ელხე, არც მეორე-მესამეზე,
 აღარ იტყვის რას დაეძებს, ხმა გავარდეს იქნებ გაღმით,
 მოიარა ყველა გემი, ღვინით თრობილს დაემგვანა,
 ფართო ზღაში გაღწევამდე, ქურუმს რჯული შეუკურთხა,
 030 „რა თახსირი ყოფილაო, სჯობს ხელში არ ჩამივარდეს!“

თვისი ელხე ელანდება ოდეს მოვა ანგორაში,
 ფუთფუთებენ მეზაზრენი, ჯორებს ბლომად მოუშარდავთ,
 ქრისეს შვილი დაუხსნია, გვიამბნია რილას ფასად,
 აღარ ელის ერს გაქრობს, ვინც ამდაგვარს აღმოაცენს.
 040 ოდის გული შეუღონდა, დაესივნენ გონწართმეულს.

მოწყდა ელხე ჯორიდან და ხალხი ფრიად მიმოფანტა,
 ჩამიხუმი აღარ ისმის, დაფხაკუნობს ხაპი ჯაჭვზე,
 ჭაბუკის თმა ხუჭუჭელა, მკერდზე მიუკონებია,
 სამი წელიც არ იქნება, რაც ეს მკერდი მოჩიტულა,
 050 თვალებს აფაციცებენ და ყველას ყური დაცქვეტია.

რა ხანია არ ომობენ, აქილევსის მრისხანებით,
 „უეჭველი დისწულია“, საქებარებს უმღერიან,
 ხარობს მთელი ილიონი, არ კეტავენ გადარაზულს,
 იმათ ქრისე მიუსართავს სასაკვდილო ჭირს უშავესს.
 060 ა მოხვნეშის ტაძარიდან, მტვერს ქიტონით მოიხვეტავს.

ველარ ამჩნევს ქრისეისი გადაღრეცილ მამის სანდლებს,
 „აიეტის ბადიშა“, ვილაცისგან ჩაეწვეთა,
 „ვაი, ვაი, იმის მეტი, აქციუსის სიბრძნეს შეწვდეთ,
 რაოდენად კვეროთ ხმალი, წნათ ჯაჭვები რაოდენად, —
 070 დაუსკუპდა ქალ-ვაჟს თვალწინ, — გინდ ჰქონია ასი კირბი.“

აქეთ მამას ეხვევა და იქით ოდის ეფერება,
 წაქცეულან გოდრები და ჯორი კეჟერს ახრამუნებს,
 ხმას არ იღებს ქალიშვილი, „როგორა გყავს დედაჩემი“,
 დიაცები ჩურჩულებენ, აღლაჭუნებს ძუძუს ჩვილი,
 080 ტაძარს უმზერს, გუშინდლამდე, არ ელოდა დაბრუნებას.

აგამემნონს აქილევესმა ბრისეისი მიდულალუ,
ენა ტროას ქავრინუეს, ა, ცოროფა ითუხალუ,
გიოსუნეს ჯორიშე კეხის, ხასლას ქალკანტ მიპუხალუ,
ლეოპარდიშე კაბა სო რე, ქურუმობაქ მიკუხალუ,
090 ოლი გუშმურს თუთაშიშე, უკვე — გურე მულა ჟიშე.

მარა მი რე გუცუნანსუ წიმოკინას კართემენი,
ტახტას გიოსვანჯუნა, ახა ვაი, სარკემენი!
მაცირიეფე შურს კაშუნა, ჭიჭონდუნა მარგემენი,
„ატრედიში ჭაკურია ნებას ვერზენს წყარ გემვენნი.“
100 გემნიცუნეს ტაძარიშა, ბარჩხალია ბჟაცალიშა.

„მიშალაფა ნოჭირუე დო ზნე ოკო ჩურცხინუე,
ჟინიშე რენა თუთაშეფი, ოკო გუვოკურცხინუე,
ქანას თენა მირსხელენსუ, მიჟოჯესუ: მურსხინუე,
ლუმასერი გებძირაფუ: რინშო ქუდუბურძლინუე.“
110 კარსუ რაზე ქეუცოთუ, ცირეფს ლუკა გემლუცოთუ.

**ელხე: ჩქიში ქვეჩერე, მოკო ირფელე დეჯერე,
თე რინაშა უმოსო ღურუს ვამახეჭერე.
ვამაგორე მინჯექ, ქეკმათხოზუ ჭიჭექექ,
მინშა ბირჯღალე სეთუ, მინშა კურხი პიჭექექ.
120 იშენე მენდი მიღუ, სერი ქიშირგისუ.**

**ეწმაფორე თოლსუ, ოჭკორიეფს ნკალუნს,
მინ ხასლაშე ეიოლე, მინ წოსლეშე ფალუნს.
ჭითა რენ დო ჭარგა, ოკონ — იპირკალებ,
აგინძორენს ბირცხეფს, ეთშიაღე ქალეფე.
130 ბუბგურია ეცენს დო კიბირი მეცენს.**

**სახეს ირთანს ჭყონი, ქუა ოდიჭინანს,
ართი ქურსით ბქურსანს, მაჟრა ჭინით ბჭინანს.
თუთაშე ოჭკორია იფართანებ შქეთშია,
მოჩოლაშა სო რე დუდიშე გინოსქიდიშა.
140 ჭუას იბლა-მაქი, მარა დიბლაშაკი.**

**ბონდუნა დო მორსუნა ონტებელი ჭვიტეს,
სოთინე ქიცვათუდდა სინთე ართო გიტეს.
ანუბისის მეგუ, „ფურინე დიგურევა,
წირღის აკვენწელი, მარა მიცურევა.“
150 თიშნერეფი იჩუ, კურხი ეთმაკიჩუ.**

**მინე ისიდას მეგუ, ნაცხაცხელთ კვენცუნს,
ქუა სილიმინჯი, ვითოხუთშია ტკეცუნს.
დოშაყარე გვართათ, ღურელი დო თელი,
გოფალუას იჭყანს ჯიკი ფუტურელი.
160 ფირქი: „გორექ ჭყორი, მენდის ვერზენს პორი.“**

**მეკვენწელუ ნოცელს მაწირღიაშე ყერწო,
მიზილოკუ ქანა, ითამ რდასუ ფერწო.
ოქირცონალე ჩხომო ხამუს ოტკვარჩანა,
მუფერუანქ მაქენ, კიდირს დოშქანჩანა.
170 ვარკუდუკო ითამე ჩვარჩვალი დო შქვიდა.**

აგამემნონს წაუგვრია ბრისე აქილევსისათვის,
 ესეც ტროას მიაყენეს, ა, ტრფიალი იქსოვება,
 შეაჭინეს ჯორის კეხზე, მოაცილებს კალქანტ მოგვი,
 გაქრა კაბა ლეოპარდის, ქურუმობა გადაკუხდა,
 090 ოდი თუთაშს დაეხსნება, უკვირს თავზე რომ აღგანან.

მაგრამ სულაც ვინ გაუყვანს წამოწევას კალთისაგან,
 ტახტზე დაასვენებენ და ვაი, ბრალი სარკეების!
 არის ოხვრა ქალწულების, ბრაზობენ მის მოხერხებას,
 „ჭაკი აგამემნონისა წყლის დაღვევის ნებას გვართმევს.“
 100 შეიყვანეს სალოცავში, მოჩახჩახე მზის მაგვარში.

„ამას ბნედა სჭირვებია, ავზნე უნდა მოვაშორო,
 უფლისაა თუთაშები, გავაფხიზლო უნდა სრულად,
 წუთისოფელს ეს დაიხსნის, ბრძანებაა: მოვარჩინო,
 სწორედ წუხელ დამეზმანა: სიცოცხლისთვის ვაფხიანო.“
 110 კარს რაზეები გაუყარა და წაჰგვარა ცირებს ლუკმა.

ელზე: **ჩემო ხუჭუჭავ, მსურს ყოველი ირწმუნო,
 ამ საწუთროს მეტადრე სიკვდილი ვერ მოფხაჭნის,
 გვლარ ვბოვე ბატონი, ჭინკა ამეკვიატა,
 გაფარჩნული ხელებით და პუჭურა ფეხებით.
 120 მაინც ვიძედიანობ, დამე მიგრიალებს.**

თვალში მესირება, ჭუჭრუტანებს გმანავს,
 ხან გვერდიდან ფეთქავს, ხან წინიდან ჩნდება,
 წითელია, ჭრელი, უნდა — მიტკაღდება,
 დაიგრძელებს ფრჩხილებს, ამოუდის რქები,
 130 აიყრება ბურბული და კბილები ცვივა.

სახეს იცვლის მუნა, იღმიჭება ლოდი,
 ერთი ქუსლით მქუსლაგს, სხვა გამწკებლაგს წკებლით,
 მთვარის ჭუჭრუტანა ფართოვდება შეიდგზის,
 სადღა არის მოცლა თავის დასახსნელად!
 140 ტკივილს დაგძლეგ-მეთქი, მაგრამ დავხნიფათი.

ბანდლაგენ და ქსელენ გასაქცევარ ნაბრალს,
 თუ რამ კიანთებდა მიითვისეს შუქი,
 ანუბისის მანგი, „ფრენა ისწავლეო,
 დაგვიდებო ფეხით, მაგრამ იყურეო.“
 150 იმნაირებს ამბობს, ფეხი შეკვცება.

ხან ისიდას მოჰგავს, ნაბერწკლებად კეესავს,
 გაშოტილი ლოდი იტკეცება ბეგრგზის,
 დაგრთვილა ზვირთად ცოცხალი და მკვდარი,
 გაფოთლებას იწყებს ჯირკი გამოსრული.
 160 ფიქრი: „მქვია მონა, არრას მშველის ჰორი.“

მინლართულა ტოტზე ყანწად ბზიკებისა,
 ჟამ იზმორება, ლოკოკინის მსგავსად,
 საქერეჭო თევზად დანებს ალაგებენ,
 დაგუტკებები-მეთქი, მკერდზე მოქაჩაგენ.
 170 ვითომ არ კლებია დანრუკვა და სრჩობა.

ქვარა გიდალზე ფანდურს ჯღვალეკეფით ჭვირთუნს,
ელახარილზე ბიჯით გოფშა თუთას რყინტუნს.
მედვალირზე მადზე დუდი, შიში ვეფარჩაკე,
ვორწყექ: ოჭკადრეშე ჩქიმდა მალაჩაკე.
180 ქინჭუნდუ ნიტე, გემარზამუ ჭვიტე.

ოშე ნახაფულს ქუჯგუ ჯიკუტია წყარსუ,
ფუთქურეფი მორბუ ეკორტყილი წარსუ.
ვეძირენა, მარა ირფელს ბვინაფულე,
ვორწყექ: იბწკონდებუქ, ვორწყექ: ბვინაფულე.
190 იბკვარტიშუქ ჯინშა, გინიცალო მინშა.

„შქურინჯია ვარდი, – უწინქ ჩქიმი დუცუ, –
ქელახედან ღანდას, მედეს მეტი ცუნცუ.
მითინზე ვაღურენ თეშე გემკისური ღურა,
გონქირაფილზე შურეფს, გუნათასი ჩხურა!“
200 ელხე, მუს რე ურზუქ? მუ დურბელას დურზუნქ?!

მანჯა ქუგლგოსვანჯე, მიჩქე თილისმა რე,
რაწკას ქვგოფთხოზუ თილი მოლისმარე.
ქუდომჭყანა ყვინგ შე სორხუა დო ჭყარას,
„დიდი ამბე, – ფირქი – ვავონდურუქ ჭარას,
210 მუ დუძახა დღასუ? ეგებ ოდი რღასუ?“

სქანზე ნოქურიშე ხასლას შურსუ სუკი მუკი,
ქიგაცუნეს თენეფქ კიდირს მუკი-მუკი.
ბოჭოკეფიშე მანგას ივარვალუ ცელი,
ჩამრცხინეს ძვალი, ჩამრცხინეს ძელი.
220 „ეთვანჯირუქ ხამუს, ირფელზე ჟვერდიამუს!“

ვორწყექ: ირგალებუ წვანჯეფი დო ბიჯი,
მამანგარენს ხუმა: „ვაზურდაგა, ჯიჯი!“
ხვამა დიბჭყი თაქვ დუდო ღორთონთიში,
ქიგობშინი არძა რჯულობა დო ჯიში.
230 ამარზე ვორექ სქანი, წყვირთალი დო სქვამი!

მითინზე ვადომტებუ გოკონზე უღთო ჭკადილზე,
გურშა ქიფხუტოლე ჭველონეფი ჭყვადილზე.
დევეკვირინზე სო რე კითეფი დო კილე,
შუბარზამიშე კარი თოლით ქვმვოკილე.
240 საფარსაკოს ველუქ, გოცუ ელურ-ბელურქ.

მელენზე მოგონდუნ, – სინთე სქანდუ ცოფე,
თოფურს მოუწაწუ ცარგვალისი ქოფე.
„ათო ეკმაცუნე“, მიქანჩუნანს ხუმა,
„მუს დაგარკენს ანწი კვარჩხიშე მინათხუმა“
250 დო მათ მიბაბტალუქ, დო მათ მიბამნდალუქ.

მოლსუ ფი-ფი მეცუნქ, ვექანცალუ ცვათი,
კურჩიშე ნარჩას ვორწყექ გოსარკილეფს ცვათი.
ქიმეკაჯინე ართშა დო თექ ქუმვონგარა,
ჯერღვიშორთ ღალუნს გოჩართილი შარა.
260 მუჭოთ გემფუ ირფელქ, სო ემაზადე კირბელქ?!

- 180 დიდმუცელა ფანდურს ბრჭყალით გადაბასრავს,
მორღვეული პირით საგსე მთვარეს ყლაპავს,
ხელი ჩაგიქნიე, შიშს ვერ ვუშკლავდები,
ვხედავ სამჭედლოდან ჩემკენ მოაბოტებ.
ცოტას ისწრაფებდე, შუქი ამენთება.
- 190 ათას ნაფოტს სჯობნის წყალში ერთი ჯირკი,
საგსი მოგდება შეკონებულ წარბთან,
გელარ ვამჩნევ, მაგრამ შემიგვრძნია ყოვლი,
ვხედავ: დავწვევდები, ვხედავ: ვდიდრონდები.
გაკუნტრუშდები ჯინზე ზოგჯერ ხბორის მსგავსად.
- 200 „მსდალი არ იყავი, – გეუბნები ჩემს თავს, –
ისხდნენ ღობის ძირას, მედეას ჰყავს მეტი,
არგინ რომ მომკვდარა, ისე მორჩი კვდომას,
გასაგნებულ სულეებს ცივი უათასე!
ელხე, რაღას უძლებ? რა სამსალას ყლურწავ?!“
- 210 მაჯა დაგასვენე, ვიცი ჯადოქრობენ,
მწკრივად შემომივლის თვალი მოლურსმნული,
დამიწყებენ ქედზე ხერხვასა და კაფვას,
„დიდი რამე, – ფიქრი – არ ვემდური იღბალს,
როგორ ვუხმო ამას? ეგებ თდი ერქვას?!“
- 220 ნაფენურთა შენთა ალაგს სული განდე,
შემომეწყვენენ მკერდზე ირგვლივ აჩრდილები,
ზედ კანჭების სწორად დაფარვალებს ცელი,
მომამორეს ხორცი, მომამორეს ძვალი.
„მკერდს მივუშვერ დანას, მეწყერს ყოველივე!“
- 230 ვხედავ: დაჩლუნგდება წვერონი და პირი,
გამამხნევეებს ხმობა: „ნუ გეშინის, ძიაგ!“
აქ დაგიწყე ლოცვა მეთაური ღმერთის,
გაგიხსენე ყველა რჯულისა და ჯიშის.
აგერა ვარ შენი, წყობილი და მშვენი!
- 240 აღარავის ვტოვებ, გნებავთ უღვთოდ ნაჭედს,
გულში ჩავიხუტე თხმელიანი ფინთი,
ვხედავ, სადღა არის თითები და მკლავი,
ავსულები კარი თვალებით მივხურე,
საოცრებას გელი, გასნლთა დარდუბაღა.
- 250 გაღმელად რომ ვრაცხდი – შენგან მოდულს შუქი,
ავსებულა თაფლით გობი ცარგვალისა,
„აქეთ მომყვით“, მეჭიდება ხმობა,
რას დაგაკლებს აწი ავის მოჭიდება“,
და მეც მივბენტერობ, და მეც მივბანცალობ.
- 260 მოლზე ზე-ზე მისვალ, არ ირხევა წვეთი,
ვხედავ ფენის გულებს ზეცით გადასარკულს.
მოვიხედავ ერთხელ და იქ წავიტირებ,
ფეთქავს ძარღვის მსგავსად ვზა ნაგალი მწარე.
ვით ამინდა ყოვლი, სად შემოვხვდი კირბელს?!

კოენტარაბი და სახელთა საიბაპლი ანბანური თანაბიფერობით

ოქროს საწმისის სემანტიკურობა ერთობ შებურუსებულა, საიდუმლოებით მოცული, ვინაიდან საწმისი არ შეესაბამება საკუთრივ ცხვრის ტყავს, რალაც მეტია, კონკრეტულ ნივთს აღმა ტებული და აქაც მეგრული ენა გვიმეგზურებს სათანადოდ, რომლის მიხედვით საწმისი და სარწუმისი იდენ- ტური ცნებებია, ანუ ოქროს საწმისი თავისი არსით ორქოს სარწუმისია, ეტალონის ტოლფარდი საუნჯე და მრავალსაუ კუნოვანი მიზნის ახდომა ზღურბლთან მომდგარა — აპა, ხელის გაწვედნაზეა ჰაერში მკვირად შენახული ბაჯალო სახეები თუ წარუშლელი სურათები, და აწ მიქელანჯლოს გარჯაა საჭირო — უჩინმაჩინების ჩამოწყეტა, უკეთ ლოდებისათვის ზედმეტი ნაწილების ჩამო- ცილება ქანდაკების ამეტყველების გზაზე.

დავესესები ბელეტრისტულ მათიანე „სუფეის“ IV წიგნს:

„ოქროს საწმისი იგივე ოქროს სარწუმისია, ცოდნის სათავე, ფილოსოფიური ქვა, კირბები მარტივად, კირიბიში — კრავისა. იგი თავის დროზე ტროას ცხენის ფუნქციასაც კი შეასრულებს პროტოიბერიულ საიდუმლოებათა მოხელთების გზაზე.

საქართველო დროსა და სივრცეში ლუმერული, იგივე ატლანტიდური ცივილიზაციის ერთ-ერთი მემკვიდრე ქვეყანაა, ქურუმთა და მოგვთა სამკვიდ- რობელი, მარგალების — თიხის ფირფიტებზე ცოდნის, ასო-ნიშნთა დამარგველი ხალხის სამყარო, რომელ სიბრძნესაც ვეღარაფრით დაუფლებია შორეული აზიიდან მოსული ინდო-ევროპული რასა.

ამისთვისაც ტყუპისცალი და-ძმა, ფრიქსე და ჰელე გრძნეულ, ოქროს მატყლიან ცხვარზე ამხედრდებიან და კოლხეთისკენ გამოეშურებიან. ჰელე ლტოლვილობისას ჯადოსნური ვერძიდან ჩამოვარდება და ზღვაში დაიხრჩობა. ამიტომაც ეწოდება ჰელესპონტი დარდანელის ზღვას, ხოლო ფრიქსეს დიდის პატივით მიიღებენ კოლხები, როგორც ჯადოსნური ტოტემის პატრონს. გრძნე- ულ ვერძს ჰელიოს-ლმერთს შესწირავენ მსხვერპლად, ხორცს თავად ინებებენ, ოქროცურვილ ტყავს კი საკრალურ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ დრაკონი იცავს.

ოქროს ვერძი და ტროას ცხენი ამ შემთხვევაში ეკვივალენტური ცნებებია — მოწინააღმდეგის დამარცხების სახსარ-საშუალება, ვერაგობა, ხრიკი.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და ახლა ბერ- ძენტა სხვა ნაკადი მოადგება კოლხეთს, რომლებიც ამას წინათ ნაჩუქარი ოქროს ვერძის დაბრუნებას მოითხოვენ. გასაოცარი ფაქტია, ჯერ ძღვნად მიურთმევიათ იგი და აწ უკან მიაქვთ თავიანთი არმალანი. მოტივაცია ბუნდოვანია, მაგრამ აქ ამოსაცნობი არაფერია, ვინაიდან ჯადოსნური ვერძის ტყავი უკვე სტრატეგიული მნიშვნელობის საგან- ძურია, რომელზეც კოლხებს თავიანთ საკრალური ცოდნა გადაუტანიათ და ოქროს სარწუმისად, ოქროს საწმისად, ეტალონად გადაუქცევიათ — აქამდე არსებული ყოველი სიბრძნის ჩანაწერად, კაცობ- რიული ინფორმაციის სრულ ბანკად და ბუნ- ებრივია, ასეთ საგანძურს რომელი ხელისუფალი შეეღება, აიეტ-მეფემ რომ დათმოს?!

ბერძნები მედეას მეშვეობით მოახერხებენ კოლხეთიდან ოქროს საწმისის (სარწუმისის) გატაცებას, თუმცა საიდუმლო წერილს წამკი- თხავი სჭირდება, ხელდასხმული, განდობილი. აკი, ბერძნულ წყაროებში შავით თეთრზე წერია: **ოქროს საწმისი ეს ის კი არ გახლდათ, როგორც აქამდე გვამცნობდნენ, არამედ იგი იყო წიგნი იმის თათბაზე, თუ როგორ მიეღოთ ოქრო და ვერცხლი ქიმიის მეშვეობით.** ცოტა მეზობ- ლობაში ოქროს საწმისის მნიშვნელობა უფრო გამჭვირვალედაა გადმოცემული — **ძველები, ე .ი. კოლხები, აღმართავდნენ წერილსვეტებს, რომ- ლებზეც სამკუთხა ქვის დაფებს — კირბებს მიაკრავდნენ. მათზე წარწერილი იყო სამოქა- ლაქო და რელიგიური კანონები და მათ ერთობლიობას ძირბისი ერქვათ;** სხვაგან ოქროს საწმისი, კირბები, იგივე **გზათა და ხმელთა მაჩვენებელი ნიშნებია, კარტოგრაფიის მნიშვნე- ლობის შემცველი იეროგლიფები.**

ყველაფრის გათვალისწინებით, ოქროს საწმისი დაახლოებით ისეთივე სიძლიერის სტრატეგიული იარაღია იმდროინდელი კოლხეთისათვის, როგორც სადღეისოდ — წყალბადის ატომური ბომბი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გასაგებია, აიეტ-მეფის თავგამოდება მის გადასარჩენად, თუმცა ოქროს საწმისი მოხელთებულია უკვე ბერძნების მიერ და მათი სწავლულები ამაოდ უკირკიტებენ ზედ წარწერილი ფორმულების გაშიფრვას. აი, ამ მომენტიდან იწყება კიდევ ტროას ომი. ილი- ონი, ვილუშა ხეთური წყაროებით, ამ შემთხვე- ვაში პროტოიბერიული სივრცეა, რომელსაც დაახლოებით 13 ათასი მეომარი იცავს. შემოეწყობა ამ ქალაქ-სახელმწიფოს ბერძენტა 130-ათასიანი ლაშქარი აგამემნონის მეთაურობით

და 10 წლის მანძილზე ვერაფერს დააკლებენ, ვინაიდან კოლ-ხური იარაღი იბრძვის იქ — რკინა, ფოლადი — სპილენძის წინააღმდეგ.

პალიმონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყ-ენენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, აღიბეს (ხალიბე, გ. ო.) **მხრიდანო**, ვკითხულობთ „ილია- დაში“. მეექვსე სიმღერაში კი აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ოტებულ, გაქცეულ, გოლიათ ოდი-ოსს — იგივე ოდოიას, ოდის. ოდიოსი და ოდოია იდენტური ფონემებია. „უღუია“ ხომ ცხვარია შუმერულად?! კოლხეთს გააჩნია იმდროინდელი დანარჩენი მსოფლიოს დამთრგუნავი ფოლადი და ოქრო, იმიტომაცაა სიძულვილი დაბალგანვითა-რებული ხალხებისათვის.

ჰომეროსის პოემის შესატყვისად ხის ცხენის შეგზავნით გაიხსნება ილიონის კარიბჭე და მიმო-ლეწავენ ბერძნები პროტოქართულ ქალაქ-სახელ-მწიფოს, მაგრამ ოქროს საწმისის საიდუმლოს გასა-ღები მანც ვერაფრით იძებნება. არავინ უწყის ამის თაობაზე: არც პრიამოს მეფემ, არც — მედეამ, თვით აიეტმაც კი. ამისი ყველა ძაფი და მარჯვალე თავს იყრის უმთავრეს ქურუმ ამირანთან, იგივე პრომეთესთან თუ არამხუტუსთან. და აი, ამდენი ზიგ-ზავის შემდეგ, ბერძნები მოულოდნელად მოულოდნელებიან კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ მისანს, რომელსაც დღემოსწრება ზევსის არწივი უკორტნიდა ღვიძლს; რომელსაც, როგორც კი ჯაჭვი შეუთხელდებოდა, საკუთარი მჭედლები ახალს მორაგებდნენ, რამეთუ მათი მესია — პრომეთე კაცობრიული ინფორმაციის სრული ბანკის ერთადერთი მფლობელია მთელს სამ-ზეოში. იციან ამის თაობაზე ბერძნებმა და ჰერ-აკლეს მეშვეობით მონობის ჯაჭვისაგან ახსნიან კიდევ ამირანს, რის შემდეგ მითები შემადრწუ-ნებლად მდუმარებენ. სავარაუდოა, რომ პრომ-ეთე არ გასცემს ატლანტიდელბის, იგივე ლუმ-ერული ცივილიზაციის საკრალურ ცოდნას, ვინაიდან უბირს, დაბალი განვითარების რასას არ უნდა მიენიჭოს განუსაზღვრელი ძალა (იარა-ლი), რათა მისი მოხმარების უცოდინარმა ქვეყნი-ერება არ დააქციოს. მანც რა საიდუმლოებაზე საუბარი?!

ამოსავალი პუნქტი გენიალური ებრაელების დროშაზე გამოსახული დავითის ვასკვლავია — ორი სამკუთხედის შეპირაპირებით მიღებული ექვსქიმიანი გეომეტრიული სხეული, იგივე სრულყოფილი ადამიანის სიმბოლო. ეს იდეალი სკულპტურულად პირამიდაშია არეკლილი; კალენ-დრულად — მაიას ცივილიზაციის ცოლკინში; პალეოგრაფიულად — პროტოიბერიულ კირი-ბიშში — ოქროს საწმისსა და ასომთავრულში; კირბი პირამიდის მეოთხედი, 25 პროცენტი. ხოლო 4 კირბის ერთობლიობა კრავს პირამიდას, ანუ სრულფასოვან უფალს. ცოდნა იმის თაო-ბაზე, თუ რატომ შედგება ადამიანის ტვინის ნეირონები წესიერი ექვსკუთხედების — სექსტაგო-ნების ბადისაგან, ან რისთვის ენათესავენ ადნა-გობით იგი ფუტკრის ფიჭას, სამარეში ჩაუტანია პრომეთე-ამირან-არამხუტუ-აბრსკილ-ნასრენ ჟაკეს — ღვთიური ცეცხლის მოპოვების ზოგად-კავკასიურ გმირს. ეპოსის მიზანია ცივილური მსოფლიომ გული გაუხსნას პროტოიბერიელების ბორგნულ ბიოგრაფის და ვიზუალური მასალ-ების მოშველიებით: ადამიანის ნეშტის ხარის ტყავში გახვევა ეს, ნორჩი ხის მოდრეკა და მიცვა-ლებულის ზედ ჩამოკიდება — ღვთაება მზი-სადმი ძე-ხორციელის მიძღვნის იმიტაცია; ეგვიპ-ტის პირამიდების წვეროებს მობმული ტორნა-ღობით ფარაონის სულის ცად ამალღების ინსცენირება, თუ სიმღერა „ოდოიას“ ათასწლო-ვანი ტრანსფორმაციით — ბრძოლის სიმღერის შრომის ჰიმნად გარდასახვის სემან ტიკით, ნათელი მოჰფინოს ადამიანის ზოგადკაცობ რიულ მისწრა-ფებას — გემზე წევს დაჭრილი ოდოია და ამ საგალობლის ფონზე მოჩანან სამჭედლოები, გავარჯარებული ორპირა ცულები, მათი შიშინი წყლით სავსე გობებში, მათი ელვარება ხელჩარ-თულ ბრძოლებში. ორომტრიალს დროთა ვითარებაში ნელი-ნელ შრომის ჰეროიკა ენაცვლება — იმავე სამჭედლოში სხვა თაობა წალდს, ნაჯახს და თოხს კვერავს; მოგვიანებით ომის სიმღერა თანდა-თან შრომის ხობტაში ტრანსფორმირდება.

ეპოსი „ოდოია“ ცოლკინის, დავითის ვარსკვლავის, პირამიდების, ოქროს სარწმისის — რწმენის წიგნის — ოქროს საწმისის ერთობლიობით ცდი-ლობს უხსოვრობის დროინდელი ფასეულობების რესტავრაციას, რომელიც 12 ათასი წლის წინათ ერთ ღამეში დაქვესკნელებულა დედამიწაზე მომ-ხდარი კატასტროფით, როცა ასტეროიდი დაცემია პლანეტას ჩვენსას და მისი ლერძი **38** გრადუსით გადახრილა. ეს ყველაფერი ასახულია ნოეს კიდობანის პარამეტრებში — **144 X 24 X 14, 4** (სიგრძე — **300** წყრთა, სიგანე — **50**, სიმაღლე — **30**; წყრთა ტოლია **48** სანტიმეტრის) = **49 766,4 : 13 =**

38 28 1,8 461 538

და მიანიშნებს დედამიწელების გარდახდილი ტრაგედიის ასტრონომიულ სურათს, რომელიც წარღვნის სახითაა ბიბლიაში გაფორმებული. „ასეა თუ ისე ლექსების წინდებული წიგნი — „ჰოუ-ნანა“ კიდევ გვარიან ხანს იჩინდრიკებს დუნიაზე, ოსტატის ნაცად ხელებს მიჩერებული; კიდევ მრავალ სტრიქონს შეიმყუდროებს ფრთებ-ქვეშ, სანამ არქიტექტონიკურად უზადო იერ-სახეს შეიძენდეს; ვინემ, „წამო, შეჩერდით,“ დაილულ-

ლულებდეს მთელი პლანეტის გასაგონად ღვთაებრივი მეგრულით: რომ ცაბაოთთან იაკობისეული ჭიდილი დასრულებულა; რომ უფალთან შერკინება წარ-სულს ჩაბარებულა; რომ „**გტოვებთ სხეულებს და ვისეეთ ცისკენ**“ (შუკო ჭიქია). განმარტებას მოითხოვს თარგმანთან დაკავშირებული თავისე-ბურებაც: ჩემი პირველი პოეტური კრებული „გვიმარა“ (1996) ორენოვენია, ბილინგვა, მაგრამ იქ გადმო-ქართულებულ მეგრულ ლექსებს თარგმანი ნაკლებად ეთქმით, უფრო თავისუფალი მიდგომაა ტექსტისადმი და, ბუნებრივია, იშვიათ გამონაკლისს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, („**მშვილდ-ისარი**“), დედნის ადეკვატური გადმოცემა ვეღარაფრით მომიხერხდა, დამოუკიდებელი ნაწარ-მოები გამომივიდა. მაგრამ, რადგანაც ერთხელ ამნაირი ფორმით შეგვითავაზებია საზოგადოები-სათვის, ხელუხლებლად ვტოვებ, როგორც რელიკვიას, ხოლო შემდგომ შექმნილებს — პწკარედულად. მათი შედარებით სრულყოფილი აქლერება პოეტური ტრადიციებით გამორჩეულ სალიტერატურო ქართულსა თუ მსოფლიო ენებზე, დაწდევებული მომავლის პრეროგატივია. სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ამ ათწლეულს მეგრულ პოეზიაში. ეგ არის, რომ ომიკო ქანთა რიას „ჩე რაში დო თუთარჩელა“ (თეთრი მერანი და მთვარიანი) ვერაფრით მოვიპოვე თქვენთვის გასაზიარებლად და კიდევ — ოთხმოციანი წლების ჩინებული პოეტის, ბატონ ვახტანგ ხარჩილავს ლირიკული მეცადინეობანი, რომელიც სალიტერატურო ენასთან თანამიმდევრულად აზავებს მეგრულ სიტყვებსა და სტრიქონებს.

რა გაეწყობა, ასეთი ტკბილ-მწარე ყისმათი დაბედებია სწორუპოვარ ვაჟა-ფშაველას;

რას იზამ, ამნაირია შეუღარებელი ეთერ თათარაიძის ბედ-იღბალი;

თავს ზემოთ ძალა არ არის — ამგვარი გახლავთ გური ოტობაიას შემოქმედებითი სვეც, და გვეიმე-დება, რომ პირუთენელი დრო-ჟამი მეტი ლმობიერებით განსჯის ყოველივეს, რამეთუ **თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და სიტყვა იყო ღმერთი იგი** — კირიბიში — ორქოშგ სარწუმისი — რწმენის წიგნი — ოქროს საწმისი.

აბაშა — ეთიოპია.

აბსრკილი — აფხაზური ეპოსის გმირი, შვა ქალწულმა, გლეჯს გვიმრებს, ციდან ყრის ცეცხლით სავსე ტოპრაკებს, ებძვის ბოროტ ძალებს და ღმერთ ანცვას, კავკასიის პრომეთე.

აგამეშნონი — ტროის, ზღვა ხალხის წინააღმდეგ მოლაშქრე ბერძენთა გაერთიანებული ლაშქრის მხედართმთავარი, ატრევსის ძე, მენელაოსის ძმა, არგოსის მფლობელი, რომლის დედაქალაქი იყო მიკენი; აგა — ქიშის პირ ველიდინასტიის ბოლო მმართველი, შუმერული ეპიკური პოემის პერსონაჟი.

ათიონი, ათონი — მზის დისკო; აქ — ქალაქი ათენი.

ავგვა — ელადის მეფე, მისი საჯინბოები ოცდაათი წლის მანძილზე არ სუფთავდებოდა, ქვეყანა შეაწუხა ამაზრზენმა სუნმა. გაწმინდა ჰერაკლემ ერთ დღე-ღამეში.

ავსტრი — სამხრეთის ქარი.

აია — კოლხეთი, აიაია, აიეტის სამეფო; მისი ეპითეტია „ტიტ-ნური;“ იგი მიჩნეულია რამსეს II — სესოსტრისის დასახლებულად.

აიაქსი — ოილევის ძე, ტროას ომის ბერძენი გმირი.

აიდი — ჰადესი, საიქიო.

აიეტი — კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე, ქალკიოპეს, აფსირტესა და მედეას მამა, ფაეთონტის — აქციუსის ძმა.

აიეტხე — აიეტის ასული, აქ — ქალკიოპე.

ალექსანდროსი — ტროას მეფის პრიამოსის და ჰეკაბეს ძე, ელენე მშვენიერის მომტაცებელი, პარისი.

ამარანტა — ამირანმთა, იგივე ამირანის ქურო.

ამირანი — ქართული ეპოსის გმირი, დალისა და მონადირე დარჯელანის ძე, ღმერთის მიერ კავკასიონზე მიჯაჭვული ადამიანთათვის ღვთიური ცეცხლის მიწაზე ჩამოტანის გამო.

ამუს — ყვითელი რასა, დაბალი კატეგორიის ხალხი ეგვიპტეში.

ამფორა — ვაზების ტიპის ორყურიანი მსხვილი ჭურჭელი.

ანტეოსი — უძლეველი გმირი, ლიბიის ხელისუფალი, პოსეიდონისა და გეას ძე, მიწას მოწყვეტილი ჰერაკლემ ჰაერში დაახრჩო.

ანისტორესია — ისტორიის დავიწყება, საკუთარი მეობის თანდათანობითი წაშლა.

ანდები — მთათა სისტემა სამხ. ამერიკის კონტინენტზე.

აპალაჩი — მთათა სისტემა ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე.

აპოლონი — ზევსისა და ლეტოს ძე, ხელოვნების მფარველი, ბერძნული პანთეონის უბრწყინვალესი ღვთაება. მისი ტაძარის შესას-ვლელზე ამოტივთრული იყო: „მეცან თავი შენი“.

არამსუტუ — ერემსუტუ, ბერძნული პრომეთეს ძველკოლხური დედანი; ერეხი ქალაქია შუმერში, ხოლო უთუ — მზის ღვთაება.

არგო — 50 ნიჩბიანი სწრაფი ხომალდი, რომლითაც ბერძნებმა იასონის მეთაურობით ოქროს საწმისი მოიტაცეს.

არგონავტები — ხომალდ „არგოს“ მეზღვა-ურები.

არგოსი — ფრიქსესა და ქალკიოპეს ძე, აიეტის შვილიშვილი.

არიადა — მინოსისა და პასიფაეს ასული, შეუყვარდა თეზევსს, მოიტაცა კიდეც, მაგრამ ბოლოს დიონისეს დაუთმო, სანაცვლოდ შეირთო მისი და ფედრა.

ასი — ასუ შემერულში რვიანია, იგივე ღმერთის სიმბოლო; ეთიოპიის დედოფალი.

ატლანტიდა — მითიური კუნძული, რომელიც წყალში დაიძირა დედამიწაზე მომხდარი სტიქიური უბედურებისაგან. სოლონის ამ ცნობას ეგვიპტელი ქურუმების გადმოცემა კვებავს.

ატრიდი — ატრევსის ძე, აგამემნონი.

აფროდიტა — ზღვის ქაფისგან შობილი, ზევსისა და დიონეს ასული, სრულყოფილი ქალური სილამაზის ეტალონი.

აფსირტე — აიეტისა და ნიმფა ასტეროდის ძე, ქალკიოპესა და მედეას ძმა, კოლხები სილამაზის გამო ბიძამისის მსგავსად ფაეთონტად მიმართავდნენ.

აქილეუსი — პელევსისა და ნიმფა თეტისას ძე, ტროას ომის გმირი, მოკლავს ორთაბრძოლაში გამოწვეულ პეტროს; განგმირავს პარისი ქუსლში ნატყორცნი ისრით, მედეას ქმარი საიქიოში.

აქციუსი — ჰელიოპოლისის დამაარსებელი, ბენ-ბენის ტაძრის მთავარი ქურუმი; კირკე ფაზის. ელის, პასიფაე — მინოსის დედოფლისა და აიეტ მეფის ძმა.

ახა — მეომარი, ი გივე ბეს; მთვარის სინონიმი.

ბაშლიმი — ვაინახების მყინვარწვერი.

ბერანუნი — ევფრატი, აქადურად — ფურათუ.

ბრისეიდა — აქილეუსის მხევალი, რომელსაც წაართმევს ტროის წინააღმდეგ საბერძნეთის გაერთიანებული ლაშქრის მხედართმთავარი აგა-მემნონი.

ბუდა შაკია მუნი — სხივმოსილი, ერთ-ერთი გადმოცემით იგი გაუტამის ტომის მეფის შვილია (625-544 ან 550-480).

გალათურა — წყალი ცხოველი

გალია — მთლიანობაში განიყოფა სამ ნაწილად; ერთში ცხოვრობენ ბელგიელები, მეო- რეში აქვიტანელები, მესამეში — კელტები. აქ — დღევანდელი საფრანგეთი.

გელუბი — ირლანდიელების წინაპრები.

გრაალი — ჯადოსნური ფიალა, პარციფალი

გუდეას ცილინდრული წარწერები — ენერგიული ენის სამშენებლო საქმიანობის წარწერა.

დაფითი — ისრაელის გამაძლიერებელი, შურდულით მოკლა ფილისტიმელთა გოლიათი მეფე, მეფესალმუნე; ქრისტე მისი დინასტიის მესიაა.

დიღუში — შუმერების სამოთხე, რომელსაც ოთხი მდინარე კვებავს; დიღუში — მზის ამოსვლის მხარის ქვეყანა.

დექე — ქმნადობის დარბაზი, სადაც სული ჩაედგა პირველ კაცსა და ქალს.

ეგვიპტე — „პტა-ს სულის კედელი“, ქვეყანა, სადაც ეთაფანებიან ღმერთ პტა-ს, ისინი თავიანთ ქვეყანას „კემეტს“, „პტა-კემეტ“ ანუ „შავ ქვეყანას“ ეძახდნენ, განსხვავებით უდაბნოსაგან, რომელსაც „დეშერეტ“ — „წითელი ქვეყანა“ ჰქვია.

ეგისთორე — ეგისთე, მიკენის მეფის თიესტეს და მისივე ასულის პელოპეას ძე; ეგისთე გამზრდელ ატრევსს მოაკლავს, მერე დაუახლოვდება აგამემ-ნონის ცოლს კლიტემნესტრას და მოღალატურად აბაზანაში ხარკით დაკლავს ტროის ათწლიანი ომიდან გამარჯვებულად დაბრუნებულს.

ელუბაში — ფირფიტათა სახლი „ერთხელ, დიდი ხნის წინათ...“ — ასე იწყება შუმერული პოემები.

ესონი — ესონი, იასონის მამა.

ელენე — ზევსის და ნემეზიდას ასული, მშვენიერი ქალის განსახიერება.

ელი — უფალი, ღმერთი, ცაბაოთი; დინგირ — ღვთაება შუმერულად, თენგირ — ღმერთი თურ- ქულად.

ელიონი — ილიონი, ტროა.

ელიოსის პოლი — ჰელიოსის პოლი, მზის ღვთაების ქალაქი.

ემეში — ზაფხული (შუმერ.).

ენეასი — ანქი ზეს და აფროდიტე ძე, კრეუზას ქმარი, ტროას ომის გმირი, ლათინების კანონიერი წინაპარი.

ენტუნი — ზამთარი (შუმერ.).

ეპისტროფო — ეპისტროფოსი, ტროას ომში მონაწილე კოლხების ლაშქარის ერთ-ერთი მხედართმთავარი.

ვილუშა, ვილუ — ილიონი, ტროა ხეთურად.

ვულკანი — რომაელების ჰეფესტო, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.

ზეკსი — ბერძნების უზენაესი ღმერთი, კრონ-ოსისა და რეას ძე.

თებე — ბერძენთა უძველესი ქალაქი ბეოტიაში; აქ — ეგვიპტური თებე — ტა-აპე — „ჰარამხანა“ ნილოსის ველზე.

თეზეუსი — ათენის მეფის ეგეოსის და ეთრას ძე, ბერძნების ეროვნული მეთაური გმირი ჰერაკლეს შემდეგ, აპოლონს უძღვნა თეზისი — თმის კულუღი, მოიტაცა არიადნე, მაგრამ მასზე დანიშნულ დიო-ნისეს დაუთმო.

თენგუს — თეთრი რასა.

თეტისა — ნერევსისა და დორიდას ასული, პელევსის მეუღლე, აქილეუსის დედა, „ვერცხლის ფეხებანიმთა.“

თითი — თჰოთს, თჰოუთს, თუთა, მთვარე. ქარ-თუშს ძველ ეგვიპტეში ეძახდნენ მთვარის ქართას, წრეს. ქართუში იყო ფარაონის სახელზე შემოვლენ-ბული წრე, როგორც განსაკუთრებულის, გამორჩეულის აღმნიშვნელი და მფარველი. ქართა ქართულში შემორჩა ვული ადგილია, ბაკი, ქალაქი, გამაგრებული პუნქტი. ტროაც ქართა იყო ერთ-გვარი. ხოლო ქართველი — ყველაფერი ამის შემ-ცნობელი, წარმართველი და მესიაა.

იასონი — ესონისა და ალკიმედეს ძე.

იესო — ქრისტე, ნაზარეთელი, განკაცებული და ჯვარზე გასული ადამიანთათვის, სიკვდილითა სიკვდილის დამორგუნველი.

ილიონი — ტროა.

იმპუ — ანუბისი, არარა.

იუპიტერი — მზის სისტემის მესამე პლანეტა.

კა — ადამიანის ორეული სული.

კალქანტი — ბერძენი მისანი, მარჩიელი

კემი — „კემეტ“ შავი ქვეყანა, ეგვიპტის სინონიმი.

კენტავრი — ცხენ-კაცი.

კირკე — ჰელიოსის და პერსეს ასული, აიეტისა და ჰეკატეს გრძნეული და. მას თავისი ეტლით მამა 3 ისპერიაში გადაიყვანს.

კიტისორე — ფრიქსესა და ქალკიოპეს ძე.

კოლხი — ფაზისოსის ძე, ჰელიოსის შვილი-შვილი; აქ — აია; კოლხიტები ფარაონებს აპათიონებენ რომან „ფარაონში“.

კორინთო — საბერძნეთის ქალაქი.

კრონიდი — კრონოსის ძე, ზეკსი.

ლაბირინთი — მითური ხელოვანისა და გამომგონებლის მიერ აშენებული კუნძულ კრეტის მეფის მინოსის სასახლე. მისი ოთახები ისე განელა-გებინა ხუროთ მოძღვარს, რომ შიგ შედღწეული ადა-მიანი უკან ვერ იგნებდა გზას. თეზეუსმა არიადნეს მოცემული დედალოსის ძაფის გორგალით შეძლო იქ შესვლა, მინოტავრის მოკვდინება და უკან დაბრუნება.

ლატინი — ლათინი.

ლეტა — დავიწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში. „ლეტეფ“ — მორწყვა ეგვიპტურად, ლეტა ტალახია მეგრულში.

ლიგრიონი — აქილეუსი, „უჭმელი“.

ლირნესი — მიზიაში, ბრიზეიდას ქმრის სატახტო ქალაქი, დაანგრია აქილეუსმა.

ლოკი — ცეცხლის დემონი, ცბიერი, მუხანათი, ბიულეისტის ძმა, ქვეყნიერების დასასრულის ღმერთი, ოდინის საპირისპირო ძალა; .

მათე — „სახარების“, ოთხთავის ერთ-ერთი ავტორი.

მარგალი — კოლხური ტომის, მეგრელის, თვისთახელწოდება.

მარსი — მეოთხე პლანეტა მზის სისტემაში, მარსი, მისი ზედაპირი რკინის ჟანგულითაა დაფარ-ული, მოჩანს წითლად; ამიტომაც უკავშირებენ ომების ბერძნულ ღმერთს არესს. მარსი რომის დამა-არსებლების რომულუსისა და რემუსის მამაა

მაქაონი — ასკლეპიოსისა და ეპიონეს ძე, ტროას ომის მონაწილე, უბადლო დასტაქარი, პარისის დაჭრილს ნესტორი გადაარჩენს. თურმე მისი სამარის მიწის შეხებაც კი სნეულებს კურნავდა.

მედეა — აიეტის გრძნეული ასული, ქალკი-ოპესა და აფსირტეს და, იასონის მეუღლე

მედესი, მედესელები — ჰერაკლეოპოლისის მკვიდრნი, მათ გერბზე გამოხატული იყო დელ-ფინი და წინარე ხე.

მელასი — ფრიქსეს და ქალკიოპეს ძე, აიეტის შვილი-შვილი.

მემფისი — „მემფე“ კოპტურად მეფეა. აქედან მემფისი — მეფეთა რეზიდენცია.

მენელაოხი — სპარტას მეფე, ატრევსის უმცროსი შვილი, აგამემნონის ძმა, ელენე მშვენი-ერის ქმარი, ასულ ჰერმიონეს მამა

მერკური — მზის სისტემის პირველი პლანეტა

მესისი — არარატი.

მიკენი — ქალაქი საბერძნეთში, აგამემნონის სამფლობელო.

მინოსი — ზევსისა და ევროპეს ძე, პასიფაეს ქმარი, არიადნეს, ფედრას, დეკალიონის, ანდრო- გეოსის, ევრომედონტის, ქრისეს, ნეფთალიონის მამა, რადამანთოსისა და სარპედონის ძმა.

მინოტავრი — „მინოსის ხარი“, კაცის ტანიანი და ხარის თავიანი ურჩხული, რომელიც პოსეიდონის ხართან შეწყვილებულმა პასეფაემ შვა. ლაბირინთში დაბმული მინოტავრი ქალ-ვაჟებით იკვებებოდა. მოაკვდინა თეზევსმა კომბლით.

მისტრალი — ქარი.

ნაგარ — დურგალი შუმერულად.

ნებტუნი — ლატინების ზღვის ღვთაება, ბერძნებისათვის — პოსეიდონი; აქ — მზის სიტემის მერვე პლანეტა.

ნესუს — შავები, ნუბიელები. დაბალი კატეგორიის ხალხი. უმაღლესი რანგის ადამიანებად ეგვიპტელებს მიაჩნდათ ფარაონების მასალა, იგივე ღმერთების ცომი — კემის ხალხი.

ნილოსი — ხაპი, „დიდი ჰაპი“; „ეგვიპტე ნილოსის წყალობა“ ჰეროდოტეს მიხედვით

ნინ-თი — თი — ნეკი, **ნინ-თი** — სიცოცხლის მომცემი ქალქატონი „შენტვის მიწობია ქალღმერთი ნინ-თი“.

ნიფური — დიდი მთის, ენლილის საწმინდარი ადგილია.

ნიში — ფარაონების ციური ნავი. **ნშ-მტ** — ნავი, ოსირისის პერსონალური საღვთო ხომალდი. აქ საყურადღებოა ქართული „ნიშატი“-სა და „ნეშტი“-ს თანხვდომა ზემოთ მოხმობილთან.

ნოე — ნეთ — ნოე, ნოი, ციური ძროხის იპოს- ტასი, იგივე კილობანი და სამყაროს გადარჩენა ბიბლიური ვერსიით.

ნომბები — ვინც არხებს თხრიდა ძველ ეგვიპტეში, ნომების მმართველი, სეპატი — ეგვიპ- ტურად.

ნომები — ეგვიპტის ოლქის ტომები.

ნუთი — რამსეს II ასული, ოდოიას მეუღლე; ქალღმერთი. ძროხის სახეს იღებდა და შობდა მზეს. ახალშობილი მზე იყო ოქროს ხბო. ეს გადმოღებულია ებრაელების მიერ ოქროს ხბოს გამოძერწვის სცენაში მოსეს ქანაანისკენ მსვლელობის ეპოს. ამასთან ნიშანდობლივია, რომ „მზეს“ მეგრულში „ბჟა“ ჰქვია, აგრეთვე — ძროხის რძესაც. ნოთე — სინათლეა მეგრულში.

ნუნისი — ნუნ — წყლის ქაოსი. ნუნ წყალია შუმერში. გვაქვს საქართველოში საკულტო ადგილი ნუნისი ბერთაკლდეზე, ლიხის ქედი; იგი მეთოთხმეტე ასონიშანია ასომთავრულში გრაფემით — **ნ**.

ოდი, ოდიოსი, ოდოია — აიეტის შვილი- შვილი, აფსირტესა და ჰალიძონების მთავრის ასულ ჰანანის ძე.

ოდიხე — ოდისევსი, ითაკას მეფე, კლიტემ- ნესტრას ქმარი, ცბიერების გან- სახიერება.

ონი — ჰელიოპოლისი ბერძნულად. ონი მზის საკულტო ქალაქია საქართველოში. შუმერში მას შეესაბამება ნიფური. ჩინეთში — ტიბეტი. „ტი“ იგივე „ონია“ მეგრულში — ცური, რაც გაიგივებ- ულია მზის სიმბოლი- კასთან, ხოლო „ბეთ“ — სახლი ებრაულად — **Q**.

ორფეოსი — ორფევსი, თრაკიელი მგოსანი, ოქროს საწმისის მოსატაცებლად კოლხეთში მოლაშქრე არგონავტი.

ორქომენი — ქალაქი ბეოტიაში.

ოსირისი — ფსირილთა, მკვდართა ღმერთი. „შენი არსი ოსირის, უფრო ბნელია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ღმერთის არსი.“ წკვარამი. უმაღლესი კატე- გორიის შავეთი.

პარისი — ალექსანდროსი, ტროას მეფის პრიამოსის ძე, ელენე მშვენიერის ქმარი, ჰექტორის ძმა.

პასიფაე — კრეტის მეფის მინოსის მეუღლე, ჰელიოსისა და პერსეიდას ასული, კირკეს, ჰეკატესა და აიეტის და, ანდროგეას, მინოტავრის (ეყოლა პოსე- იდონის ხარისაგან) ფედრასა და არიადნეს დედა.

პატროკლე — მენეტეოსის და სთენელეს ძე, ტროას ომის მონაწილე, აქილევსის მეგობარი, მოკლა ჰექტორმა.

პელია — პელევსი, პელაზგური ტომის — მირმიდონელების ბელადი, ფთიის მეფე, რომლისგან ზღვის ქალღმერთ თეტისასთან შეეძინება აქილევსი — ტროას ომის გმირი.

პირამიდა — მონუმენტური არქიტექტურული ნაგებობა, ფარაონების უკვდავსაყოფი აკლდამა

პრიაძე, პრიაძოსი — ტროას მეფე, ჰექტორის, პარისისა და კასანდრას მამა.

პრომეთე — ჰიპერიონის, იბერიის შვილი, ფანავის კლდეზეა მიჯაჭვული კოდორის ხეობაში.

პტა-ნი — „პტა“ ეგვიპტის სახელმდებელი ღმერთია, „ნი“ უამრავი პრიზმით — შობაა, რაც მთლიანობაში „პტა ღმერთის ნაშობს“ ნიშნავს.

რა — მაჯეთ (დღე) მესქეთ (ღამე), მზის ღვთაება, ამონ-რას საღვთო ცხორველია ვერძი.

რამზეს II — ეგვიპტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფარაონი, „დიდ რამსესად“ წოდებული (1290-1223) ილაშქრა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოტაცებისა და ტროის დაცემის შემდეგ.

სა — იგივეა, რაც Son, შვილი, ძე, ასული.

საბა — კუზიანი მკურნალი აქციუსის კარზე.

სარკოფაგი — „სარკო“ სასწაულია მეგრულ- ში, „ფაგი“ ჭამაა ბერძნულად. სარკოფაგი შესაძ- ლებელია გაიშიფროს, როგორც სასწაულის მჭა- მელი, სასწაულის შემნახველი, ფარონის მუმიის საცავი.

სიმუგ — მჭედელი შუმერულად.

სიფა — მწყემსი შუმერში.

სკამანდროსი — მდ. ტროის ველზე, სიფით- ლის გამო ქსანთოსსაც ეძახდნენ, შიგ ჩავარდნილი ცხვრის საწმისი ილებებოდა.

სკვითები — სკვითების, ჰერაკლესა და ექიდნეს ძე, რომელიც მიჩნეულია ძველი აზიური მომთაბარე სკვითების მითური ტომების წინაპრად, აღმარ- თავდენე ყორღანებს; მათი მონათესავე ტომები იყვნენ სარმატები, რომელთაგან წარმოსდგნენ ალანები და ირანული წარმოშობის ოსები.

სკილა — ზღვის ურჩხული; აქვს 12 ფეხი და 6 გველური თავ-კისერი.

სმირნა — ქალაქი დას. თურქეთის ტერი- ტორიაზე. დაარსდა II ათასწლეულში, ბერძენ-ეოლიელთა კოლონია. დაანგრია ლიდიის მეფე ალექ- ტემ. მოგვიანებით ეწოდა იზმირი.

სნო — წრე; შუმერ. „შარ.“

სპარტა — ლაკედემონი, ქ. პელოპონესში. ტირეტეოსი სპარტელებს ჰერაკლეს შთამომავ- ლებად მიიჩნევს; ელენე მშვენიერის სამშობლო.

სოდომი — ბიბლიაში ორ ქალაქს იორდანეს შესართავთან, სოდომს და გომორს, გარყვნილობა- ზნედაცემულობისათვის, ღმერთი აწვიმებს წუნწუმას და ცეცხლს, ცოცხალი არავინ გადაარჩება ლოთის გარდა.

სტიქსი — ქვესკნელის საზარელი მდინარე, რომელიც შვიდგზის უვლის ჰადესს.

სუ ასტ — სანსკრიტულში „სიკეთე არს,“ სვასტიკა, ბორჯღალი.

სფინქსი — „მუღმივი“, იდუმალებით მოცული დემონური არსება, ლომის ტანისა და კაცის თავის ქვის მონუმენტური ქანდაკება, ძალაუფლების უზენა- ესობისა და ფარაონების დაცვის სიმბოლო.

ტიბეტი — „ტიბ“ თბილია მეგრულში, აგრეთვე ტიბეტი შესაძლოა გაიშიფროს, როგორც „ტი-ბეთ,“ — ცური-სახლი, მაწოვარი დედა — ალმა მატერ, მეგრულ-ებრაულად.

ტიორნადო — ქარბორბალა, ბორიყი აფრიკის კონტინენტზე.

ტროა — ილიონი, ზღვა ხალხის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი.

ურანი — მეშვიდე პლანეტა მზის სისტემაში.

ურია — ებრაელი.

ურიტი — ეტლი ეგვიპტურად.

ურუმი — კოლხები ურუმებს ეძახდნენ დაბალი განვითარების ხალხს, როგორც მოგვიანებით ელი- ნები დანარჩენ მსოფლიოს — ბარბაროსებს.

ურუქი — დღევანდელი ვარქა.

ურუქაგინა — ხალხის ქომაგი, არამხუტუს წინამორბედი.

ფაეტონი — ფაეთონი, ჰელიოსის და კლიმენეს ძე, მამას მისივე ეტლით გასეირნებას სთხოვს. ფიცხი ცხენები გაიტაცებენ ფაეტონს. ქვეყნიერება რომ არ მოისრას, ჰელიოსი იძულებულია ეტლს მეხი სტყორ- ცნოს და შვილთან ერთად გაანადგუროს.

ფალოსი — ნაყოფიერების ღვთაება, „დეფუს-ფალიკუს“ — ღმერთი-ასო და „ლონგა-იონი“ — საშო.

ფარაონი — ეგვიპტის მეფე. სიკვდილის შემდეგ ფარაონი ღმერთად იქცეოდა.

ფერ-აა — პერ-აა — „სახლი დიდი.“ აქედან ბერძნულის მეშვეობით „ფარაონი“.

ფრიქსე — ათამანტისა და ნეფელეს ძე, ჰელეს ძმა. ათამანტი მოკვდავ ინოს შეირთავს. ის კი გერებს შეიძულეს. მოსყიდული ორაკულს დაიმოწმებს და ღმერთი ფრიქსეს შეწირვას ითხოვს, იცრუებს. ბიჭუ- ნას მიიყვანენ საკურთხეველთან, მაგრამ ამ დროს ნეფელე ღრუბლებს შემოახვევს, ოქროს საწმისიან ვერძს მიპ გვრის და კოლხეთისკენ გაისტუმრებს. ჰელე გზაში დაიღუპება, ხოლო ფრიქსეს აიეტი საკუთარ ასულს, ქალკიოპეს მიათხოვებს ცოლად; არგოსის, მელასის, ფრონტისისა და კიტისორეს მამა.

ფრონტისი — ფრიქსეს და ქალკიოპეს ერთ-ერთი ვაჟი.

ქალკიოპე — აიეტის უფროსი ქალიშვილი, მედეასა და აფსირტეს და, ფრიქსეს მეუღლე.

ქარიბდა — მესინის სრუტეში სკილას საპირისპირო მხარეს მობინადრე ზღვის ურჩხული.

ქარონი — ერებოსისა და ნიქსის ძე, ქვესკნელის ბებერი მენავე, მიცვალებულების სულები გადაჰყავდა ნავით ანგარებიანს.

ქი-ენ-გი — შუამდინარეთის ტერიტორია. მეფეთა სიების მიხედვით შუმერის უძველეს ქ. ერიდუში პირველად დაეშვა ციდან სამეფო ხელის- უფლება. შუამდინარეთში წარღვნა 7 დღე-ღამეს გრძელდებოდა. აქადურის მიხედვით 12 დღე-ღამეს, ებრაელებმა 150 დღე-ღამემდე გაჭიმეს.

ქირონი — ბრძენი კენტავრი, ჰერაკლეს, იაზონისა და აქილეესის მასწავლებელი

ქრისე — აპოლონის ტაძრის ქურუმი, ქრისეისის მამა; აგრეთვე — ამ სახელწოდების კუნძული და ნავსადგური ტროაში.

ქრისეისი — აპოლონის ტაძრის ქურუმ ქრისეს ასული, იგივე ელზე.

ქურგარა — მტვერი მოიღო; ქური — აიღი, შეორლი (ძვ. ებრ.) საიჭიო. მკვდარ სხეულს სამსჭვალზე კიდებდნენ, კოლხები ნორჩ ხეებს მოდრეკდნენ და ხარის ტყავში გახვეულ მამაკაცის ნეშტს მზისკენ ასწევდნენ ხოლმე.

ყუშიტები — ეთიოპური ტომი.

შუმერი — ლერწმის მეუფე მიწა, შავთმი-ანების მოდგმა, საიდანაც წარმოიშვა ქვეყნიერების პირველი ცივილიზაცია.

შურუბუბუ — მღვიმე დასავლეთ საქარ-თველოში.

ცარაბათუ — სამოთხის ხე შუმერში.

ცერბერი — კერბერი, ტიფონისა და ექიდნეს ნაშიერი, ჰადესის სამთავიანი და გველის ფაფრიანი ძაღლი.

ცოლკინი — მაიას ცივილიზაციის მთვარის კალენდარი, რომელიც შედგება 260 ელემენტისაგან

ძერათა სტელა — ვანათუმას საბრძოლო ამბებია აღწერილი.

წათე — ფარაონის ნაცვალი ეგვიპტის სახელმწიფოში.

ხალიბე, ხალიბები — პირველი მეტალურგი ქართველური ტომი.

ხაბი — „დიდი ჰაბი“, ნილოსის სინონიმი.

ხარანი — ძველი ქალაქი ჩრდ. მესო-პოტამიაში; საკრალური ადგილი რიკოთის უღელტეხილზე.

ხეთა — სოფელი ხობის რაიონში.

ხეთები, ხეთური — სახელმწიფო მცირე აზიაში.

ხორი — ოსირისის ძე, რომელსაც ქარ-თუმს დაადგამს თავზე თოთი; შემოქართული, შემოგალავნებული. ხორ-ონთი — ღორ-ონ-თი. „ხორ“ რას შვილია. მერეთში ხორს თავს დაესხმება სეტი. ბოლოს სძლევს ხორი. **ი-მერეთის „ი-მერეთი“** — დ, ღმერთად წაკითხვა გვიანდელი აპერიოდისაა.

ჯაბა — ნატურის ხე სანსკრიტულად; ჯად — ჯა, ხე, იგივე ფალსი, იშედის ხეა შუმერულში; ჯა — ხეა მეგრულში; ოხორჯა დიასახლისია ლაზურში; ქალიშვილის გვარს „ხე“ ემატება მეგრულში — „ჰალიძონხე“, რაც ნაყოფიერების სიმბოლიკასთანაა დაკავშირებული.

ჰადესი — კრონოსისა და რეას შვილი, „შავეთის ზევსი“; აქ — საიჭიოს სამეფო.

ჰალიძონები — კოლხური ტომები, რომლებიც მეტალურგიას მისდევდნენ ხალიბების მსგავსად.

ჰანანი — ჰალიძონების ბელადის ქალიშვილი, ოდოიას დედა.

ჰარპიები — ფრთოსანი მტაცებელი ურჩხუ-ლები: კელენო, აელო და ოკიპეტე.

ჰეკატე — პერსეს და ჰელიოსის ასული, აიეტისა და კირკეს და.

ჰელიოსი — ელი, ღმერთი. „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანნი — უფალო ჩემო, უფალო ჩემო, რისთვის დამიტევებ მე.“ ელ-ოჰიმ, ელია, ელინი, ჰელენე, ელ დო ვალი, უმაღლეს სუბსტანციასთან დაკავშირებული განზო მიღებებია.

ჰერაკლე — ზევსისა და ალკმენეს ძე, ჩაიდინა თორმეტი გმირობა, მამის უკითხავად მონობის ბორკილებისაგან ახსნა კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე.

ჰესიონე — ტროას უნდო მეფის ლაომედონ ტის მშვენიერი ასული, პრიამოსი სა და ასტიოქეს და. მსხვერპლ შეწირვისაგან იხსნის ჰერაკლე, მაგრამ სანაცვლოდ ვერ მიიღებს აღთქმულ გასამრჯელოს — რაშებს. გაიმართება ბრძოლა. ჰერაკლე ტროაში პირველად შეჭრილ ეაკის ძეს, პელეგის ძმას, ტელა-მონს ცოლად მისცემს ჰესიონეს.

ჰეფე — ჰეფესტო, მჭედლობისა და ცეცხლის ღმერთი საბერძნეთში.

ჰუმუ, ჰუმუ — ადამიანი, კაცი, მუმია, წინაპარი; „რემეჩ“ — ადამიანი-ეგვიპტელის სინონიმი

ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ლინგვისტები ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულებისათვის მაინც ვარაუდობენ საერთო ქართველური ფუძე ენის არსებობას, რომელსაც დაახლოებით ძვ. წ. აღ. II ათასწლეულისათვის გამოეყო სვანური, ხოლო ძვ. წ. აღ. II ათასწლეუ ლიდან თანდათან გამოეყო მეგრულ-ჭანური, რომელიც საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ეთნიკური მასა უნდა ყოფილიყო [ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, გვ. 124].

მეგრულ-ჭანური ტომების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო – ერთის მხრივ ჭოროხის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე მთაგორიან ზონაში, ხოლო მეორეს მხრივ დღევანდელ დასავლეთ საქართველოში – კოლხეთის დაბლობისა და ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე [ო. მიქელაძე, გვ. 26; ო. ლორთქიფანიძე 125].

მეგრულ-ჭანური (ზანური) ენის ფორმირება ხდებოდა წარმართულ რელიგიურ გარემოში, ე. ი. მითოსურ ხანაში, რომელშიც მყოფი საზოგადოება დეტერმინებული იყო მითოსური სიმბოლოებით და მასთან დაკავშირებული რიტუალებით, რაც ადეკვატურ ასახვას ჰპოვებდა ეთნოკულტურაში (ღ. გორდეზიანი გვ. 36), უპირველესად კი სამეტყველო ენაში. ლინგვისტური მონაცემები მოწმობენ, თუ რაოდენ დიდია რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა ენაზე, მაგრამ ეს პროცესი ორმხრივი ხასიათისაა: ენას არანაკლები მნიშვნელობა აქვს წარმოდგენათა ჩამოყალიბებისათვის და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი ფუნქცი ონირებისათვის [ი. რ. მოღებაძე, გვ. 454].

“ენაში ხალხისა და ეპოქის სულიერი პოტენციალი აისახება, ძველი ენები უფრო მეტად შეესაბამებოდნენ მთლიან, სინთეტიკურ აღქმას, ახლები კი ანალიტიკურს ... ძველი ენები ენერგიითა და ემოციით სავსენი არიან... ძველი ენები უფრო შესაძლებელს ხდიან მოვლენის სიღრმისეულ წვდომას, სულიერი სუბსტანციის გაგებას” [არქიმანდრიტი რაფაელი, გვ. 80]. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ენაში ვხდებით წარმართულ წარმოდგენათა რელიექტებს, მართალია “ქრისტიანილი კულტურა ორი ათასწლეულის მანძილზე არსებობს, მაგრამ მისი წინარე ისტორია დროის სიღრმეებში იკარგება” [ავერიცევი გვ. 5, პრედისლოგიე]. წარმართული ცნობიერების რეციდივები დღესაც აქტიურად ვლინდება, ორი ათასი წელი ძალზე მცირე მანძილია წარმართობის დასაძლევად (პროტო- ტეორიი აღ. მენ გვ. 10)

ცნობილია, რომ რელიგიურ წარმოდგენათა ევოლუცია ერთი ფორმების სხვა ფორმებით სრული შენაცვლება კი არა, ძველზე ახლის დანაშრევია, რაც იდეათა მემკვიდრეობას გულისხმობს (ნ. ყიფიანი გვ. 173)

გამომდინარე აქედან წინარე ისტორიის ცალკეული მომენტების გააზრება შესაძლებელი ხდება იმ სიმბოლოებისა და რიტუალების შეცნობა-ინტერპრეტაციით, რომელიც შეუქმნია ჩვენს ხალხს და შემონახულია სამეტყველო ენაში, როგორც კ. იუნგი აღნიშნავდა - ადამიანის გონებას საკუთარი ისტორია აქვს, ფსიქიკა კი ინარჩუნებს მრავალ

ლაშა ჯიქია

კოლხური ეთნოკულტურის რარიტეტები

გადმონაშთს თავისი განვითარების წინარე საფეხურიდან [კ. იუნგი, გვ. 16]

ჩვენი ყურადღების ობიექტს წარმოადგენს რამდენიმე მეგრულ გამოთქმა-სენტენციათა წარმართული ხასიათი და მასთან დაკავშირებული რიტუალები შემონახული სიმბოლოების სახით. საზოგადოდ წარმართული ელემენტები მეგრულ ენაში ძალიან მაღალია, განსაკუთრებით მთისწინა სოფლებში.

პირველ რიგში ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმ სენტენციებს, რომლებსაც სამეგრელოში საზოგადოდ იყენებენ წყველა-კრულვის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ უბრალო ხალხთა ყოფაში წყველას არცთუ მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. წყველა თავისი ხასიათიდან გამომდინარე ტრადიციული კონსერვატიულობით ხასიათდება, მას ადამიანი წინაპრებისაგან ითვისებს და ერთგვარად ინსტინქტურად წარმოთქვამს ადელეგების მომენტში.

სამეგრელოს მთისწინა სოფლებში შემონახულია წყველა: **ცხენზე ან ხარზე იტყვიან – გიორნაფალიო, ე.ი. დასაყენებელიო.** ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო ამ გამოთქმის სემანტიკური მნიშვნელობა. გაირკვა, რომ XX საუკუნის 60-იან წლებამდე ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას მის კუთვნილ ცხენს საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულს მიცვალებულის თავთან დააყენებდნენ, ამავე დროს მიცვალებულის უახლოესი ნათესავი შავ სუდარაგადაფარებულ ხარს შემოიყვანდა, რომლის უკან მისი ოჯახის წევრები და მეზობლები მოჰყვებოდნენ სათანადო სამელოვიარო პროცესით. შესაწირავად გამზადებული ხარის არც მუშაობა შეიძლებოდა და ადარც - გასაჩუქრება-გაყიდვა. ის, როგორც წესი, განსვენებულის ორმოცზე ან წლისთავზე იკვლებოდა (ეს ტრადიცია უფრო არქული ფორმებით შემონახულია სვანეთში).

ამდენად “გიორნაფალიო” ნიშნავს საქონლის პატრონის, ოჯახის უფროსის წყველას.

ანტიკური მითორელიგიური წარმოდგენები იცნობს რიტუალური მსხვერპლშეწირვის რამდენიმე ფორმას: ადამიანის შეწირვას, ღმერთისთვის საკლავის შეწირვას (ჰეკატომბე – ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, მცენარეული ძღვენის მირთმევა და ა.შ.)

ჩვენს ისტორიულ სინამდვილეშიც გადმოცემით ცნობილია, რომ თავდაპირველად ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა ყოფილა მიღებული, მერე



ეს წესი ამოიკვეთა და ადამიანის მაგიერ პირუტყვს წირავდნენ ღვთაებას. ეს იცოდა ლ. მროველმაც: **”მეფობასა შინა მისსა აღარავის უტევა ქართლსა შინა ყრმათა “შეწირვად”, რომელსა იგი ამისსა უწინარეს და პირველ შესწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა, არამედ ცხერისა და ძროხისა შეწირვა განუწყესა და ამისთვის ეწოდა მას რევ მართალი”** [ცხ მეფეთა გვ. 169-170; ივ. ჯავახიშვილი, გვ. 43].

ბუნებრივია, ზემოთ აღწერილი რიტუალი შემონახულ იქნა შედარებით განვითარებული ფორმით. ცხადია, მას ექნებოდა არქტიპი და ის უფრო მეტად რიტუალიზებულიც იქნებოდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ცხენისა და ხარის ამ რიტუალში მონაწილეობა. ცხენი და ხარი საერთოდ მითორიტუალების ცენტრალური ფიგურებია სხვადასხვა ხალხის მითოლოგიაში. [ბიდერმან], ისინი სამსხვერპლო-რიტუალური ცხოველებია. განსაკუთრებით ცხენი აქტიურად ფიგურირებს დაკრძალვის რიტუალებში. საზოგადოდ ცხენი იმქვეყნიურ გადაწყვანადაა მიჩნეული და მას სიკვდილის სემანტიკა აქვს. ცხენის, როგორც სამსხვერპლო ცხოველის ნაწილები, დიდ ძალას შეიცავდა [პროპ. გვ. 163].

ცხენის გამოსახულებები, თავის ქალები ძლიერ დამცავ ავგაროზად მიიჩნეოდა, XX საუკუნის 80-იან წლებამდე მრავლად იყო მეგრულ სოფლებში სახლის წინ, ღობის სარზე წამოცმული, რასაც ვითომდა ბოროტი ძალისგან უნდა დაეცვა ოჯახი.

კოლხეთში ცხენის კულტის ძლიერ მოწმობად მიგვაჩნია ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბრინჯაოს საომარ იარაღებზე გამოსახული ცხენის ფიგურები. ბრინჯაოს იარაღების მორთვა-მოხატვა იწყება მას შემდეგ, რაც რკინა თანდათანობით გამოაძეგებს ბრინჯაოს და ეს უკანასკნელი სარიტუალურ მოხმარების საგნად იქცევა.

სოფ. საირსეში საბადურის გორის დასავლეთ ფერდობზე გაითხარა ადრეანტიკური ხანის სამარხი კამერა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა – ჩრდილოეთ ნაწილში დაკრძალული იყო სამი ქალი და ხუთი ცხენი. ორმოს ჩრდილო აღმოსავლეთით კედელთან, ზუსტად დაფიქსირდა მესამე მიცვალებულის დაკრძალვის წესი: იგი იწვა მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნხულ პოზაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ასეთივე პოზაში

უნდა ყოფილიყო დაკრძალული პირველი და მეორე მიცვალებულიც, რომლებსაც ზემოდან ეყარათ ცხენის ძვლები [ნადირაძე, გვ. 150-151].

ცხენის დამარხვა, როგორც ჩანს, გარკვეული წესის მიხედვით ხდებოდა. ცხოველები მარჯვენა გვერდზე იწვნენ, პირისახე აღმოსავლეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. პირველ და მეორე ცხენს ბრინჯაოს ლაგებთან ერთად აღმოაჩნდათ ვერცხლის საშუბლებები, სამკერდულები, სასაფეთქლები. ერთ-ერთი ბრინჯაოს ლაგუმის საყბურები წააგავს ცხენის ფლოქსს, ხოლო მეორე სტილიზებული ცხოველის თავს [ნადირაძე, გვ. 151-152].

ასევე ვანში ე. წ. წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში აღმოჩნდა სამარხი ორმოს ჩრდილოეთ კედელთან ცხენის ჩონჩხი, რომელსაც რკინის ლაგამისა და სხვა აღკაზმულობის ნაშთები შერჩენოდა. სამარხში აღმოჩენილი ნივთების სიმდიდრე უდავოდ მიუთითებს მიცვალებულის მაღალ სოციალურ კუთვნილებაზე.

ძვ. ბერძნულ ტრადიციაში ცხენი მიკენური პერიოდის ტექსტებში ჩანს. იგი რიტუალური ცხოველია, რომლის კულტი სიმბოლიზებულია განსაკუთრებული ქაღვთაებით, რომელსაც „ცხენების ქალბატონს“ უწოდებდნენ. [გამყრელიძე, ივანოვი, გვ. 550].

საინტერესოა, რომ სამეგრელოში ქაღვთაება „ტყაშ მფაჲ“ უმეტესად ცხენზე ამხედრებულადაა წარმოდგენილი, და მის განუშორებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ალბათ, შემთხვევითი არ არის კოლხეთში წარჩინებული ქალის სამარხებში ცხენების ჩაყოლება. ხომ არ არიან ისინი ქურუმი ქალები?! ხომ არ იყო კოლხეთში ქალ-ცხენის საკულტო ცენტრები, როგორც ეს იყო პელოპონესში?! კოლხური წარმართული პანთეონი მატრიარქალური უნდა ყოფილიყო და ადვილად შესაძლებელია ღვთის მსახურები ქურუმი ქალები ყოფილიყვნენ.

მოგვიანებით, ჩანს, ცხენის ჩაყოლება, მიცვალებულის თავთან მისი დაყენებით შეიცვალა და ისიც მხოლოდ მამაკაცის – ოჯახის მეთაურის დაკრძალვის სარიტუალურ პროცესიაში მონაწილეობს. რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან მამაკაცის როლი აშკარად გაიზარდა.

მეორე უცნაური გამოთქმა, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია ესაა - **„აქ ოქროს ოყუჯე“**, ე. ი. აქ ოქროს საყურეო. მას იტყვიან გლეხები უპირატესად იმ შემთხვევაში, თუ კი გაიგებენ ვისიმეს საქონლის ზარალს, ან საერთოდ ტრაგიკული სიტუაციისას. ე. ი. „ოქროს ოყუჯე“ გამოიყენებოდა თანამედროვე გამოთქმის — ჯვარი აქაურობას ეკვივალენტური მნიშვნელობით. აშკარაა ამ გამოთქმის წარმართულობა, რადგან ქრისტი-ანობამ ავი თვალის გამაუვნებელყოფელ სიმბოლოდ ჯვარი წარმოსახა, ე. ი. იგივე სიმბოლოური დატვირთვა ქონდა წარმართულ ხანაში „ოქროს ოყუჯეს“?

ოქროს კულტი კოლხეთში განსაკუთრებით თვალში საცემია ადრეანტიკური ხანისათვის (ძვ. წ. აღ. VI-IV). ეს ის პერიოდია, როცა ოქრომჭედლობამ განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია.

კოლხეთში ოქროს დამზადება მეტად თვითმყოფადი გზით განვითარდა. აღსანიშნავია ე. წ.

სხივანა საყურეები, რომელიც მთელ კოლხეთშია გავრცელებული და როგორც წესი, არ გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საყურის რგოლის საფასადო მხარე მეტწილად „ვარდულითა“ მორთული, რაც ტიპური მახასიათებელია ადგილობრივი ოქრომჭედლობი სათვის. გვხვდება აგრეთვე ჭვირული, სფერული, ნახევარ-მთვარისებური, ბიპირამიდული და ფიგურულსაკიდიანი საყურეები.

ფიგურულსაკიდიანი საყურეებიდან აღსანიშნავია ცხენის შეწყვილებული და მხედრის პლასტიკური ფორმებით შემკული ცალები, ალბათ, ცხენის პლასტიკური გამოსახვა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის საკრალურ მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სატაძრო-საკულტო ქალაქებად მიჩნეულ ადგილებში (ვანი, საირხე, ითხვისი?) განსაკუთრებული სიმრავლით გვხვდება ოქროს საყურეები (წარჩინებულთა სამარხების უმთავრესი ატრიბუცია), რაც შესაძლოა მათი საკრალურ-სიმბოლოური მნიშვნელობით იყო განპირობებული.

საინტერესოა კიდევ ერთი გამოთქმა – საზოგადოდ მზაკვარ ადამიანზე იტყვიან, რომ ის მიწის ღირსი არაა და სიკვდილის შემდეგ ხეზე უნდა დაიკიდოსო – **“ჯას ოკო გილედეასია“**. ამ გამოთქმის ისტორიულობას წყვილობითი წყაროებიც ადასტურებენ. კერძოდ, ანტიკური ხანის ავტორები – აპოლონიოს როდოსელი, ნიმფოდორ სირაკუზელი, ნიკოლოზ დამასკელი, კლაუდიოს ელინუსი, ფსევდო-პლუტარქე და სხვ. გვაწვდიან ცნობებს კოლხეთში მიცვალებულთა ხეზე დაკიდების შესახებ. უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის აპ. როდოსელი, რომლის თქმით კოლხეთში „მაღლა ტოტებზე თოკით მიბმული იყო გვამები მიცვალებულთა“ და შემდეგ „კოლხებს დღესაც თავზარს სცემთ და ცოდვად მიაჩნიათ გვამების დაწვა, არც შავი მიწაში მარხავენ კაცსა, რომ ზედ ყორღანი აღმართონ“. ასევე აპ. როდოსელი, როდესაც აღწერს მედეას ქალაქიდან გაპარვის ეპიზოდს, ამბობს, რომ მედეა გაუსხლტდა რა გუშაგებს, პირდაპირ სამლოცველოში წასვლა ირჩია, სადაც ხშირად უვლია მიცვალებულთა გვამების ირგვლივ.

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის ავტორების ეს ცნობები მთლიანად გაზიარებულია ქართველ სპეციალისტთა მიერ, რომელთა აზრით კოლხეთში დაკრძალვა ორ ეტაპად მიმდინარეობდა, ჯერ ხდებოდა მიცვალებულის ტყავში შეხვევა და ხეზე დაკიდება, ხოლო გვამის გახრწნის შემდეგ ძვლების მიწაში მიბარება, რაც დადასტურდა ერგეტის I-II-III-IV, მუხურჩის, დღვაბის და ცაიშის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნებზე. მაგრამ როგორც ცაიშის სამაროვნის უახლესმა გათხრებმა გვიჩვენა ადამიანის ჩონჩხიდან უპირატესად თავის ქალას და კიდურის ძვლებს ალაგებდნენ სამარხში, ხოლო დარჩენილი ნაწილების საკულტო მოედანზე კრემაცია ხდებოდა

(აპ. როდოსელის მტკიცების საპირისპიროდ). ცეცხლის სტიქიონი აქტიურად ფიგურირებდა დაკრძალვის რიტუალში, ეს ასევე კარგადაა ასახული მიცვალებულს ჩატანებულ არტეფაქტების ზოგიერთ ნიმუშზე, სადაც ცეცხლის ზემოქმედების კვალი იკითხება.

„თუთა ახალი, ღორონთ სი გუმაახალი“ – ახალ მთვარე, ღმერთო შენ გამაახალგაზრდავე (ღმერთო მომანიჭე მაცოცხლებელი ძალა). თუთა მეგრელებში მამაკაცური საწყისის მატარებელია – “ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუა ჩქიმი” – მზე დედაა ჩემი, მთვარე მამანემი. მთვარის სიმბოლოდ მიანხდათ ხარი და ზემოთ აღნიშნული რიტუალი ოჯახის უფროსი მამაკაცის დაკრძალვისას ხარის მონაწილეობა, სწორედ თუთა – მთვარე ღვთაების მსხვერპლ შეწირვაა. ხარის კულტი ძლიერია კოლხებში. ამის დასტურია პლასტიკური ქანდაკებები, რომლებიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა 2005 წ. ცაიშის გათხრებისას, ასევე ადრეული გათხრებიდან – მუხურჩაში, პალურის საძვლეში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ხარი უზენაესი კოსმოსური ღვთაებაა ვევიპტური, ძვ. სემიტური, შუმერული, შუამდინარული, ანატოლიური, ხეთური, ბერძნული წარმოდგენებით, ამის დასტურია ბუფონიის-ტავრომახის რიტუალები [ფრეიდემბერგი, გვ. 95].

ხარის ერთი რქა, უძველესი დროიდან მოკიდებული, ახალი მთვარის სიმბოლოდ იყო მიჩნეული [ბიდერმანი]. სიცოცხლის ძალა, მაცოცხლებელი ნივთიერება თავშია დავანებული. ბუნებრივია, ეს ძალა რქებშიც გადადის, ამიტომ რქები ითვლებოდა ცხოვერებისეული ძალების კონცენტრაციის უმთავრესი ადგილია. სწორედ მაცოცხლებელი ძალმოსილება მთვარესთან იყო ასოცირებული და ჩვენს მიერ მოყვანილი სენტეციაც ამას გულისხმობს. [ონიანი, გვ. 234-240]. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეგრელოში ვაზის გასხვლა აუცილებლად სავსე მთვარეობისას უნდა მომხდარიყო. ვაზის, როგორც საკრალური მნიშვნელობის მცენარის დაკავშირება მთვარესთან კიდევ ერთხელ მოწმობს კოლხური ეთნოკულტურის მდიდარ ტრადიციებზე. **„ჯვეშიშ ძვალ ოკო ვარკაღანდას“** – წინაპრების ძვალი უნდა კრიალებდესო, ხშირად იტყვიან სამეგრელოში (განსაკუთრებით წინაპართა სადღერგძელს წარმოთქმისას).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ცენტრალურ კოლხურ სამაროვნებში გვხვდება რამდენიმე ასეული ადამიანის კოლექტიური ძვალთ სალაგი. საინტერესოა, რომ ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები წარმოდგენილია მხოლოდ თავის ქალისა კიდურის ძვლებით. ძვლებს ეტყობათ განსაკუთრებულად გაწმენდის კვალი.

ამდენად, უბრალო ადამიანთა სამეტყველო ენაში განმარხულია ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მარგალიტები, რომლებიც წარსულს განსაკუთრებული ეგზოტიკით წარმოაჩენენ.



ჩვენი საფიზიტო ბარათი

ანა ციჰინტია

უმაღლესი სასწავლებლები

2003-2006 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სპეციალობა – სოციოლოგია (ბაკალავრის დიპლომი)

2006-2007 – ტარგუს უნივერსიტეტი, ესტონეთი – სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სპეციალობა-სემიოტიკა (ერთწლიანი გაცვლითი პროგრამა)

2008-2010 – ტალინის უნივერსიტეტი, ესტონეთი – ბალტიისპირეთის მედიისა და კინოს ინსტიტუტი; სპეციალობა – კინორეჟისურა.

სამუშაო გამოცდილება

2004-2005 – მარკეტინგისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტი (IPM)

2007-2008 – ბრიგანული სკოლა “აკადემიური” – თანამედროვე ხელოვნების კურსი; მასწავლებელი.

2007-2008 – ინგლისურენოვანი გაზეთი “Georgia Today” (Tbilisi Life) ; ჟურნალისტი-ხელოვნების მიმომხილველი

2007 – პრიზი საუკეთესო სტატიისთვის ფილმის შესახებ (“Georgia Today”)

2008 – დოკუმენტური ფილმების ფესტივალ - “ნიაშორის” სპეციალური პრიზი ფესტივალის გაშუქებისთვის (“Georgia Today”)

2008 – მოკლემეტრაჟიანი ფილმი “Tom waits”: რეჟისორი, სცენარის ავტორი

ანა ციმიტია

ბაბუაწვერები

თანამედროვე ქართულ მხატვრობას რამდენიმე გამორჩეული სახე ჰყავს. სამწუხაროა, რომ ბევრი არ იცნობს ადამიანებს, რომელთაც შექმნეს 70-იანების ყველაზე ფაქიზად დახატული სამყარო, თუმცა ეს მათი ბრალი სულაც არ არის. როცა მხატვარი იხარჯება, ცხოვრობს ხელოვნებისთვის და არც მაღავს თავის შემოქმედებას სტუდიის კედლებში, იმის მიუხედავად რომ პერსონალური გამოფენების გამართვა საქართველოში იოლი საქმე არ გახლავთ, ვიღაც სხვა და არა თვითონ მხატვარი, უნდა აღაპარეკდეს, შეაფასოს და თუნდაც არ დააფსოს მისი ნამუშევრები. ამიტომაც გამიჩნდა სურვილი ვისაუბრო ერთ ქართველ მოდერნისტ მხატვარზე და მოვიყვებ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. როგორც წესი, მხატვრები ძუნწი მოსაუბრენი არიან ან საერთოდ გაურბიან დიალოგს. გასაგებიცაა, მათ ხომ სხვა ენა აქვთ ნაპოვნი სალაპარაკოდ – შთამბეჭდავად და ესთეტიურად მეტყველი ვიზუალური ენა; თუმცა არსებობენ გამონაკლისებიც, რომლებიც ისევე ხატონად და ოსტატურად გიყვებიან საკუთარ თავზე, როგორც ხატავენ. მე მინდა ნაწილობრივ მაინც გაგრძნობინოთ ერთი მხატვრის – რადიშ თორდიას ფაქიზი სამყარო, თუმცა სამწუხაროდ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მონათხრობი ვერ იქნება ისეთი მეტყველი, როგორც თავად ბატონი რადიშის მიერ მოყოლილი... და მაინც შევეცდები.

დავიწყო ბანალურად - რადიშ თორდია დაიბადა დასავლეთ საქართველოს პროვინციულ ქალაქ აბაშაში. 15 წლის ასაკში ჩააბარა ქ. თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სტუდიაში და მოგვიანებით ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტზე. იყო წარმატებული სტუდენტი, აკადემიის დამთავრების შემდეგ გახდა მხატვართა კავშირის წევრი. გამართული აქვს ბევრი პერსონალური გამოფენა საქართველოსა და საზღვარგარეთ. თუმცა ეს ფაქტები არაფრით გამოარჩევს მას ბევრი სხვა მხატვრისგან - ისტორიის საკვანძო და ყველაზე საინტერესო ნაწილი, როგორც ყოველთვის დეტალებშია.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე, მაღალი კორპუსის ბოლო სართულზე ლიფტიდან გამოვედი თუ არა კარბთან დამხვდა კეთილსახოვანი მოხუცი და თავაზიანად გამიძღვა კიბეზე – შედეგად დიდ და ნათელ სახელოსნოში აღმოვჩნდი. იქაურობა უკვე ლაპარაკობდა; მიგხვდი, რომ ერთადერთი სწორი სტრატეგია ჩემი მხრიდან ნაკლები აქტიურობა იქნებოდა. რაც უფრო ჩუმად ვიქნებოდი, მით უფრო მეტს მოვისმენდი ნახატებით გავსებული კედლებისგან, დაუმთავრებელი ნამუშევრებისგან და ავტორისგან. ალღომ არ მიღალატა. სინუემე, რომელსაც ნამდვილად ვერ დავარქმევ უხერხულს, ბატონმა რადიშმა დაარღვია და თანაც ისე, რომ არაფერი დაუკლია სახელოსნოში არსებული სილამაზისა და იდილიისთვის.

გუსმენ და მიკვირს: ხატვა ხუთი წლის ასაკში დაიწყო, პატარა სახლის ხის კედლებზე ხატავდა, მთელი სივრცე გააფერავდა მოუქნელი და დაუხვეწავი ფორმებით და თან გამუდმებით ესმოდა დედამისის ჩხუბი, რომელიც ყველაფრის გაფუჭებასა და დაუმნოვენაში დებდა ბრალს. თუმცა პატარა რადიში დედის პრეტენზიებზე დიდად არ ღელავდა და ალბათ, სწორადაც იქცეოდა. არ გეგონოთ რომ ფანქრები ან ფლომასტერები ეჭირა ხელში – აგურით და ნახშირით ხატავდა, ძალიან შურდა მეზობელი ბავშვის რომელსაც ცხენი ბევრად ლამაზად გამოსდიოდა, ვიდრე მას და ოცნებობდა რაიმე ხელსაწყოზე ან მასალაზე, რომელიც უფრო მოხერხებული იქნებოდა ვიდრე აგური და ნახშირი. უსამართლო და არაკანონზომიერი იქნებოდა დედის დაუღალავ წინააღმდეგობას გაეჭრა და პატარა რადიშს არ მისცემოდა საშუალება ზიარებოდა მხატვრობას. ეს უსამართლობა არ განხორციელდა და

ერთხელაც მამამ კითხვა: **“ნამდვილად გინდა გახდე მხატვარი? კარგად დაფიქრდი, რადგან უკან დასახვე გზას არ გიტოვებ”**. რადიში ცოტა შეშინდა, მაგრამ ერთმა სცენამ საბოლოოდ დაარწმუნა თავისი გატაცების სიმყარეში: 13 წლის რადიში პირველად ჩავიდა თბილისში. როგორც ყველა ბავშვი, ისიც წაიყვანეს ზოოპარკში, თუმცა სხვა მოზარდებისგან განსხვავებით, რომლებიც გალიებში გამოკეტილ ცხოველებს თვალს ვერ წყვეტენ, რადიში უჩვეულო სანახაობამ გაიტაცა: ზოოპარკის ვრცელ, მოხასხასე მდელოზე თეთრებში ჩაცმული ლამაზი ქალი იდგა, დიდი ფარფლებიანი ქუიდი ეხურა და მოქნილად პოზორებდა მხატვრისთვის. ახალგაზრდა მხატვარს წინ მოლბერტი ედგა და ფერებში ასახავდა ამ ულამაზეს სანახაობას. რადიშმა პირველად იხილა თუ როგორ ხატავდნენ ფერადი სადგებავებით, უზომოდ მოუნდა თვითონ ყოფილიყო იმ ახალგაზრდა მხატვრის ადგილას და დარწმუნდა, რომ არასდროს მობეზრდებოდა ამ საქმის კეთება. ამ ერთმა უწყინარმა ფაქტმა განაპირობა პატარა რადიშის თავდაჯერება, რის შემდეგაც ის მამამ თბილისში გაგზავნა სასწავლებლად. ასე დაიწყო პროფესიონალი და ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი მხატვრის კარიერა და ერთფეროდ ნამდვილად არ გაგრძელებულა.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ბატონი რადიშის მიერ ჯგუფურ გამოფენებზე გატანილი ნახატებს ბევრჯერ მოხვდა **კგბ-ს** ცენზურის სუსხიანი მზერა და გამოფენის გახსნამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩამოიხსნა “ცისფერი გალერეის” საგამოფენო დარბაზიდან. იდეური არაკორექტულობის გამო არ მოხვდა ბატონი რადიშის ტილო მოსკოვში გასაგზავნად შერჩეული ნამუშევრების სიაში. მისი დაცვა მხატვართა კავშირის სხდომაზე კონსტანტინე გამსახურდიამ ითავა, რის შედეგადაც ბატონი რადიში “გადარჩა”. კრიტიკის მთავარი ობიექტი იყო მისი ნამუშევარი “ბაბუაწვერები”, რომელსაც თავისი პატარა ისტორია აქვს.

რადიშს მკაცრი ბაბუა ჰყავდა, თითქმის არასდროს იღიმებოდა და ძალიან უყვარდა მუშაობა. ერთ-ერთ ზაფხულს, ყანაში მუშაობის დროს, ბაბუამ რადიში წყაროს წყალზე გაგზავნა; რადიშს ცოტა შეაგვიანდა. როგორც ჩანს, დაღლილმა ბაბუამ დასვენება გადაწყვიტა და მდელოზე დაჯდა. რადიში ზურგით მჯდომ ბაბუას ჩუმად მიუახლოვდა უკნიდან და მისთვის ყველაზე ემოციურ სცენას შეესწრო. მკაცრ და გაუდიმარ ბაბუას, უზარმაზარ და მუშაობისგან დასერილ ხელებში პატარა ლურჯი საპონველა ეჭირა, ეფერებოდა და თვალეში ცრემლები უციმციმებდა. გაშეშებული რადიშის დანახვისთანავე ბაბუამ ყვაილი გადააგდო და უხეშად გამოართვა ღოჭი. რადიშისთვის ყველაფერი შეიცვალა, მიხვდა რომ სინამდვილეში ყველაფერი ისეთი არ არის როგორც ჩანს. მისთვის ყველაზე მკაცრი და უგულო ბაბუის სტერეოტიპი წამში დაირღვა და ისედაც საყვარელი, თუმცა ოდნა საშიში ადამიანი მის თვალში ყველაზე სათნო არსებად იქცა, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდა თვალცრემლიანი, მინიატურული ყვაილით ხელში. ამ განცდის ასახვას მხატვარი დიდი ხანი ცდილობდა, თუმცა არც ერთი ნახატი, რომელიც მან ამ თემაზე შექმნა. საბოლოოდ მიხვდა, ზუსტად ვერასოდეს გამოსახავდა იმ წუთას შეგრძნობილს. ამ განცდის გადმოსაცემად მან ბაბუაწვერის სიმბოლიკა გამოიყენა: ნახატის საბოლოო ვერსიაზე გამოსახულია ბუმბერაზი ბაბუ, უამრავი ბაბუაწვერით გარშემო, რომელთაგან ერთ-ერთი გოლიათ მოხუცს ხელში უჭირავს და სიყვარულით უყურებს. ნახატი საოცარი სინაზითა და სანტიმენტალობით გამოსატავს ავტორის განცდას და გასაგებია, რომ სწორედ “ბაბუაწვერები” რადიშ თორღიას უსაყვარლესი ნამუშევარი.

მოხუცი კაცი, რომელმაც თავისი სახელოსნოდან გამომაცილა, აღარ იყო ის, ვინც იგივე კარებთან დამხვდა. მე დავემშვიდობე უზომოდ გულახდილ ადამიანს, რომელმაც მისი ბავშვობა და ყველაზე საკრალური ემოციები დაუფიქრებლად გადმომცა. დიდი იმედი მაქვს, ცოტათი მაინც გაგრძნობინეთ მხატვრის სამყარო, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ამბავი იყო, უამრავი მსგავსი ხასიათის ისტორიიდან, რომელიც ოდესმე მომისმენია.

საფრანგეთი რეკლამაციების აკვნადაა ცნობილი * ჩვენი თაობა ფრანგულ იდეალებზე აღზრდილია არსებითად: დიუმა „მუშეკეტურები“, ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, ვი დე მოპასანის „პარმის საფანე“, ჰიუგოს „პარიზის დვთისმშობლის ტაძარი“ და შაინც დაუვიწყარია რაფინირებული სტენდალი, იგივე ანრი ბეილი, თავისი „წითელითა და შავით“ * ბანკი რესპუბლიკის მესაკუთრეებს დიდი ლიტერატურული გემოვნება ასაზრდოებთ, როდესაც თავიანთ ლოგოს ამ ორი მრისხანე ფერით აღაშენებენ * დიას, წითელი და შავი კოლორი განსაზღვრავს ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალის“ მსოფლმხედველობას და ხელწერას საბანკო სივრცეში * „სოსიეტე ჟენერალის“ საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რამდენიმე თვის განმავლობაში ვრძელდებოდა * ცნადა, იოლი გადასაწყვეტი არ იყო ლიდერობის ტვირთვა და ქართულ ბაზარზე პირველი ევროპული ბანკის სტატუსით შემოსვლა * მით უფრო იმ ბაზარზე, რომელიც ჯერ კიდევ მყიდვა და რყევებისგან დაზღვეული არ არის * „სოსიეტე ჟენერალი არ არის იმდენად მერყევი სტრუქტურა, რომ საქართველოს ბაზრის რყევებს ვერ გაუძლოს * გონივრული რისკის გაწევა კი მას არვისგან ესწავლება – სათანადო გამოცდილება უხვად დაგროვდა განვლილი საუკუნუნახევრის განმავლობაში („სოსიეტე ჟენერალი“ 1864 წელს დაარსდა) * სწორედ ამ დროიდან დაიწყო ბანკის საერთაშორისო ინტერვენცია, რომელიც მთელი ამ პერიოდის მანძილზე ვრძელდებოდა და საფრანგეთიდან ეტაპობრივად ჯერ მთელ სამეზობლო ევროპასა და საფრანგეთს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადაფინა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზშიც შეცურა და სხვა კონტინენტებსაც გადაწვდა * „სოსიეტე ჟენერალი“ სიდიდით მე-7 ფრანგული კომპანიაა ბაზრის კაპიტალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით, საფინანსოგ იმომსახურების მხრივ კი – ევროს ზონის ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა * მე-3 კორპორაციული და საინვესტიციო ბანკია ევროს მოქმედების ზონაში (საფრანგეთს მიღმა) * საერთაშორისო საცალო საბანკო მომსახურება 37 ქვეყანაში, 4 ძირითად გეოგრაფიულ არეალში ზრდისა და ტრანსფორმაციის ორჯერ გაზრდილი ტემპი გასული 7 წლის განმავლობაში. მოგების მაღალი სტაბილური მაჩვენებელი, მუშაობის ეფექტურობა და რისკის მკაცრი მენეჯმენტი * მსოფლიოს 82 ქვეყანაში ჯგუფის 151 000 თანამშრომელი საქმიანობს ბიზნესის სამი ძირითადი მიმართულებით საცალო და ფინანსური მომსახურება: „სოსიეტე ჟენერალი“ 27 მილიონ მომხმარებელს ემსახურება მსოფლიოს მასშტაბით * გლობალური ინვესტიციების მართვა და მომსახურება: „სოსიეტე ჟენერალი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია ევროს ზონის მეურვეობაში (2,720 მილიარდი ევრო) და მართვაში არსებული აქტივების (435 მილიარდი ევრო) მიხედვით * კორპორაციული და საინვესტიციო ბანკი „სოსიეტე ჟენერალი“ დასახელებულია მსოფლიოს წამყვან ბანკებს შორის ევროს ფინანსურ ბაზრებზე, დერივატივებსა და სტრუქტურირებულ ფინანსებში * „სოსიეტე ჟენერალი“ შედის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ბიზნესკომპანიტების პირველდ ხუთეულში * ის მუდმივად გამორჩევა შეუქცევადი ზრდით, მაღალი მოგებით, ოპერაციული ეფექტიანობითა და რისკის დახვეწილი მართვით * „წლის ბანკი“, წლის ბანკი საფრანგეთში“, „საფრანგეთის საუკეთესო ოპერატორი სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე“ – ეს ტიტულები ბანკი „სოსიეტე ჟენერალის“ მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. მობრძანდით რბანკ „რესპუბლიკის“ ნებისმიერ ფილიალში, ან დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში ტელეფონზე: (822) 92 55 55. ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს www.republic.ge





შილპერ 0: ბანკ „რესპუბლიკის“ გენერალური დირექტორი: ბანკი ცდილობს გააფართოოს ქსელი, რათა რაც შეიძლება ახლოს იყოს მომხმარებელთან და შესთავაზოს მას საუკეთესო ხარისხის მომსახურება * ბანკის სტრატეგიული გეგმა დედაქალაქსა ან რეგიონში ყოველ თვიურად, სულ მცირე, ერთი ფილიალის გახსნას ითვალისწინებს * **2008** წლის ბოლოს ქვეყანაში **40-50** ფილიალი, ხოლო **2010** წლისთვის უკვე **80** ფილიალი და სერვისცენტრი გვექნება * „სოსიეტე უენერალის“ საქმიანობის კონცეფცია სამ ძირითად და მარად უცვლელ ფასეულობებს ეყრდნობა, ფასეულობებს, რომლებიც საუკუნუნახევრის განმავლობაში ქმნიდა ფრანგული საბანკო გიგანტის წარმატებების ისტორიას და დღესაც საფუძვლად ედება ყველა წინ გადადგმულ ნაბიჯს * აქედან პირველია პროფესიონალიზმი, რომელიც ჯგუფის კორპორაციული კულტურის გულია * თავის მხრივ პროფესიონალების გუნდური სულია ის მეორე ფუძე, რომელიც ცხადად გამოავლენს და კიდევ უფრო ადუღაბებს ჯგუფის სიძლიერეს * დაბოლოს, ინოვაციურობა, რომელიც გუნდლად შეკრულ პროფესიონალებს ორიენტირებულს ხდის მეტად მომთხოვნი და პრეტენზიული მომხმარებლისათვის მისაღები და ხელსაყრელი პროდუქტების შექმნაზე * ფრანგული საბანკო გიგანტის შემოსვლამდე ბანკი „რესპუბლიკა“ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო **23** ფილიალი * ახალი სტრატეგიით კიდევ **50** ფილიალი გაიხსნება * განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილიალები ბათუმსა და ფოთში, აღნიშნული ქალაქების სტრატეგიული მნიშვნელობის გამო * ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალის გახსნა საგანგებოდ აღინიშნა * არანაკლებ მნიშვნელოვანია ფილიალის გახსნა ფოთში, რეგიონის თავისუფალი ეკონომიკურ ზონად გამოცხადების გამო. * **ლავა პეპერსოლი:** ბანკ „რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: * თავისი არსებობის **17** წლის მანძილზე ბანკი რესპუბლიკა საკუთარი კლიენტების, აქციონერების, თანამშრომლებისა და საზოგადოების ფინანსურ კეთილდღეობასა და ბიზნესწარმატებებზე ზრუნვით მიზანმიმართულად იმკვიდრებდა ადგილს ქვეყნის საბანკო ბაზარზე * თავდაპირველად კორპორაციულ საბანკო მომსახურებაზე ორიენტირებულ ბანკს, ორიგინალური, მოლმხმარებელისადმი ინდივიდუალური მიდგომით * **2006** წლისათვის საკმაოდ ჰქონდა გამყარებული პოზიციები საცალო საბანკო მომსახურების მხრივაც და სულ უფრო და უფრო ყალიბდებოდა, როგორც უნივერსალური ფინანსური სტრუქტურა * ყოველივე ზემოთქმულის შედეგი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი ფინანსური ჯგუფის „სოსიეტე უენერალის“ ჩვენი ბანკით დაინტერესება, რაც იმით დაგვირგვინდა, რომ **2006** წლის **29** სექტემბერს საქართველოს ფინანსურ სექტორში შედგა უმსხვილესი საინვესტიციო გარიგება – „სოსიეტე უენერალმა“ სს ბანკ რესპუბლიკის აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა * ამჟამად ბანკი „რესპუბლიკა“ საქართველოს საბანკო სისტემის მეოთხე ადგილზე იმყოფება * ბანკის მენეჯმენტისა და მთელი გუნდის მიზანია, მომავალ რამდენიმე წელიწადში ბანკმა მოწინავე პოზიციებზე გადაინაცვლოს * „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან თანამშრომლობა ჩვენი ძლიერი მხარეა“, – ამბობს ბატონი **ვილბერ ი,** ანუ ეს არის რესურსებისა და პარტნიორობის კომბინაცია“

ბანკ „რესპუბლიკის“ ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიაა ქსელის მაქსიმალური გაფართოება არა მხოლოდ თბილისში, არამედ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში: იბოთეკური სესხი „ჩემი კუთხე“ – უძრავი ქონების აშენების, შექმნის ან რემონტის მიზნით გაიცემა. სასხის საპროცენტო განაკვეთი იწყება 13 %-იდან და ვრძელდება 25 წლამდე * სამომხმარებლო დაკრედიტებისათვის სესხები გაიცემა როგორც გირავნობით, ისე გირავნობის გარეშე * უგირავნო სასხი წინა სექტემბერს დაინერგა. დღესდღეობით გაცემულია 2000-ზე მეტი სესხი, რაც 5-მილიონიან პორტფელს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროდუქტის წარმოსაჩენად არ განხორციელებულა რაიმე სარეკლამო კამპანია, ამ სესხით უკვე უამრავიმა ადამიანმა ისარგებლა, რაც შეთავაზებული პროდუქტის წარმატებულობის მაუწყებელია * უგირავნო სესხის ორი ტიპისაა: „ესპრესო“ – ამ პროდუქტით სარგებლობა შეუძლია 1500 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე პირს. სესხის მაქსიმალური ოდენობა 3500 ლარს შეადგენს და „გრანდ-ესპრესო“. იგი მაღალშემოსავლიანი კლიენტებისთვისაა განკუთვნილი. შემოსავლი 1500 ლარიდან უნდა იწყებოდეს. სესხის მაქსიმალური ოდენობა 17 000 ლარს შეადგენს * ბანკი გასცემს სხვა სესხებსაც: „ფორმულა 1“-ს ავტომანქანის შესაძენად და სახელფასო სესხს, რომელიც განკუთვნილია ბანკის სახელფასო პროგრამაში მონაწილე კლიენტებისათვის * არსებობს დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი – ვადიანი დეპოზიტით სარგებლობისას, მისი ვადის ამოწურვამდე კლიენტს შეუძლია სესხის აღება, რისთვისაც რაიმე დოკუმენტაცია საჭირო არ არის * ბანკი „რესპუბლიკა“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქველმოქმედებას * მისი ინიციატივით 2005 წელს შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი „ცისკარი“.





რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გაჭირვებული ოჯახების დახმარება, თბოლთა სახლების მხარდაჭერა, ეკლესია-მონასტრებისა და ისტორიული ძეგლების აღდგენა-განახლება * **2007 წლის 7** სექტემბერს საფრანგეთში სანტ-დენისის მოედანზე რაგბის მე-6 მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნა. **44** დღის მანძილზე **2 400 000** გულშემატკივარი **2** ქვეყანაში 48 თამაშს დაესწრო * შეჯიბრი **250** სატელევიზიო არხის საშუალებით გადაიცა, რომელსაც **4** მილიარდი ადაპიანი ადეგნებდა თვალს * „სოსიეტე ჟენერალი“, რომელიც უკვე **20** წლის მანძილზე რაგბის ერთგული პარტნიორია, თამაშის ერთ-ერთი მთავარი სპონსორი იყო * დასავლეთ საქართველოში, კრემოდ, ფოთსა და ზუგდიდში ბანკს გააჩნია ორი ფილიალი. მათ მუშაობას უნარიანად წარმართავს ბატონი კობა ჯიქია * ჩვენი რედაქციის ხიბლი ბანკი „რესპუბლიკის“ სერვისით, დიასაც, ამ კოლექტივის ადაპიანური, ფაქიზი სამომსახურებო კულტურაა * აქ კლიენტის უფლებები მაქსიმალურადაა დაცული * ბანკის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობისაა მისი მესვეურის პიროვნულ უნარებიც და დღემდე არსებული კლიენტების სიმრავლეს უცნობლად ეს ფაქტორი განაპირობებს * რეგიონის ხელმძღვანელობის წინაშე სამეგრელოს მომხმარებლები გამოთქვამენ ყურადსაღებ წინადადებას: იქნებ „სოსიეტე ჟენერალმა“ სენაკშიც გახსნას ახალი ფილიალი * მაშინ სრულიად სამეგრელოს მოსახლეობისათვის გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება მათი დახვეწილი და საიმედო მომსახურება * მობრძანდით ბანკ „რესპუბლიკის“ ნებისმიერ ფილიალში, ან დაგვიკავშირდით **24** საათის განმავლობაში ტელეფონზე: **(822) 92 55 55**. ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს www.republic.ge

იოანე-ზოსიმე (X ს.)

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა, ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,

და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე სქვიან!

და ახალმან ნინო მოაქცია და სელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, გითარცა მარიამ და მართაი,

და მეგობრობაი ამისთვის თქუა, გითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დაგით წინას წარმეტყუელმან რამეთუ „წელი ათასი – გითარცა ერთი დღე“,

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჰესსა წილი ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა,

და ესე არს ოთხი დღე, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებითა უფლისაითა,

და ესე ენაი შეპკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა,

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სსუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ესე წილი ანბანისაი.

ფესტივის დისკო ბახსნილია



ფესტივის დისკო ბახსნილია



ფესტოსის დისკო — კოლხური ოქროდამწერლობა

დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის, საყოველთაოდ ცნობილი „ფესტოსის დისკოზე — კოლხური ოქროდამწერლობით“ ამოტვიფრული საგალობლის ბჭკარედი თარგმანი:

A მხარე

აია, ჭაბუკნო, გამწმენდელ(ნ)ო, დაფარული ტაძრი(ს)

/ ლაბირინთი(ს) /

აია ჭაბუკნო, სადარ(ნ)ო,

გამწმენდელ(ნ)ო, დედის კარი(ს),

დაფარე(თ) თალი გაღვთიურებულ(ნ)ო!

ქვეყნის სიმაღლისა(ნ)ო, / სიცოცხლის ძალ(ნ)ო /,

წინმაგალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო,

/ მთარავ(ნ)ო / მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო,

ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო / შემწე(ნ)ო /

ჭქმენი(თ) დაფარული ტაძარი, / ლაბირინთი /

ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო / შემწე(ნ)ო /,

მარადმაგალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო,

/ მთარავ(ნ)ო / მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო,

გარდაჭქმენი(თ) აიას სიცოცხლე ყველნაირად.

შუაღამის მთვარ(ით) განათებულ(ნ)ო,

დედის ქვეყანა მუდამ დაფარე(თ)ო,

დაასხ(ნ)ი(თ) ხელ(ნი) ბრუნვა-ფარვა სხივოსანნო ფარავ(ნ)ო,

თჯახის ფუძ(ის), ჯიშის სვლა-ბრუნვ(ის) განამწმენდელ(ნ)ო.

დასასრული.



B მხარე

ოჯახის წყაროვ, სულთ მშობელო,
 მოდგმის ნენანავ,
 ააყვავე სუთი შტო, მშვენი,
 ჯიშის სიწმინდით, ახლით ნარშემოსილი,
 ერთო ძლიერო შტოვ,
 ოჯახის წმინდავ, ძლიერო,
 თაურო სუთი შტო(ისა),
 მფარველ სხივოსანო ნანადმერთო, / დედამერთო /,
 წინამძღოლო,
 ხანგებელ ჰყავ დედის ტაძარი / სპილენძისა /,
 მაყვავებელი თარხონო,
 ნათელო ჰეფესტო, / ოსტატღვთაებაო /,
 მდნობელო, წინამძღოლო, განმწმედელსხივოსანო,
 დაფარე(თ) მისი მოგიზგიზე სასახლე, –
 ჩვენო მჭკედელო, ახლით მოსილო მთვარისნაირო.

დასასრული.

აგაბეშეფე | მაგჩხე | გრჩხემფენენქენქეფფერგრჩხე |
 აგაბეშეფე | ნეშკარე | მაგჩხეფერგცო |
 ფერგქეაქე | კაგრგანა | ქენგგაგრგერგქენფერგცო |
 ქეაშორგქეფერგცო |
 წეშმაგლო გარგფენქენცო |
 ქეაშქე ქეფერგცო |
 რგჩხო | გრჩხემფენენქენფერგცო |
 ქეაშქექეფერგცო |
 გკეშმაგლო | გარგფენქენცო |
 შქეფაგ | აგაშორგერგფერგცო |
 თეფაცემაგ | ნეკაცეფერგცო |
 ხელქენგ | ფერგთეწაქენგ | ჩხოთამაფერგცო |
 სკაჯგლგჯგლგ | თეშწალგჯგ | ფერგთაფა |
 გაშმაგჩხეფერგცო |

ლგა

თეშწოთ | ნეშერგსკალგ |
 თერგნენანაცო |
 თეგაფაგენქე | ხეშთეცაჯგე |
 ფაგარგთე | თეშწათე | ნეგათე |
 ნერგსკაქენგ |
 ცარშთეცაჯგლგე |
 თეშწაჯგლგ | ჩხეხეჯგლგ | ხეშთეცაჯგე |
 მაქექენენქეცო | ჩხოფაგერგნენანა |
 მაგჩხოლგჯგ | გაგხა | ნეოფაფალგჯგ |
 მაგაგანქენგ | თაცაქეგაცო |
 ნეთაფათე | ნეხომეფგე |
 გამაგჩხეთეა | ჩხოფაგემაგჩხე |
 მეშგარგხა | ფერგოფაჩხო | ქერგნგე
 ჩქეშორგმეფგცო | ნეთეწაქენგ | თეთაგეფერგცო |

ლგა

მათემატიკოსი გია დ. კვაშილავა
 giakvashilava @ yahoo. com



„ფესტოსის დისკოს“ ლექსიკონი
მათემატიკოს ბია კვანთილაკას მიხედვით

ლინჯი (მეგრ.) — სპილენძი

ნანა (მეგრ.) — დედა

ნე — მდებრობითი სქესის ნიშანი

ნეოფაფალებჯი — დედის სპილენძის

(შესაკრებელი) ადგილი

ოლუ (მეგრ.) — საგალი გზა; ULU ინდოევროპულად

არის — ტრიალი, ბრუნვა

ორონე (ძვ. მეგრ.) — ღმერთი

ოფაფალი (მეგრ.) — ბევრი ხალხის შესარებელი

ფურკი (მეგრ.) — ცეცხლი (კვამლი, გ.ო.)

ჩხოფა (ლაზ.) — სიცხე

ჩხომოლაფა (ლაზ.) — ბრწყინვა

ჩხორია (მეგრ.) — სხივი

ჩხონა / ჩხანა (მეგრ.) — მზე (მზიანი დარი, გ.ო.)

ჩხოფა ორონე ნანა — გაბრწყინებულ /

გასხივოსნებელი დედა ღმერთი

ლგა (მეგრ.) — დამორჩილიშ დალია, შემოდგომის

დასასრული, მიწურული (გ. ო.)

„ფესტოსის დისკო“ 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა კუნძულ კრეტაზე საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში. იგი დათარიღებულია ძვ. წ. აღ. 1850-1600 წლებით და წარმოადგენს თიხის ფირფიტას, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 16 სანტიმეტრია. ამჟამად დისკო საბერძნეთში, კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში ინახება. (III გალერეა, 41-ე ყუთი, № EP-1358).

1992 წელს ვლადიკავკაზში 1880 წელს აგებულ შენობაში იპოვეს „ფესტოსის დისკოს“ მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი (დიამეტრი 10 სმ.), რომლის შესახებაც ვლადიმერ კუზნეცოვმა მეცნიერული გამოკვლევა გამოაქვეყნა.

დისკოს მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები: სერ არტურ ევანსი, ელ კობერი, ინგლისელი არქიტექტორი მაიკლ გენტრისი (რომელმაც გაშიფრა მიკენური ბერძნული, ანუ B საზოგადოება და მწერლობა) და სხვები იკვლევდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრიელი მოყვარული ენათმეცნიერის ჰერბერტ ძეხის შიპოთეზა „ფესტოსის დისკოს“ საფარად ენის თაობაზე. მან 1988 წელს ბუდაპეშტიში, ეირენის კომიტეტის მე-18 საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა **ქართულია**.

ასავალ-დასავალი, 2006 წლის 13-19 ნოემბერი, №46, (636)

„ფესტოსის დისკოზე“ ამოტვიფრულია 61 სიტყვა და 244 ნახატ-ნიშანი, რომელიც ფირფიტის ორივე მხარეზე ოქროს ყალიბით არის დაბეჭდილი. ეს ტექსტი გია კვაშილავემ მის მიერ შემუშავებული მათემატიკური მეთოდებით წაიკითხა, რომლის შედეგადაც იგი ადასტურებს რომ:

1. კოლხი კორიბანტების მიერ შექმნილი „კირიბის“ „კირიბის“ ანუ წერილ-ფირფიტის — „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია.

2. კირებზე ამოკვეთილ წარწერას „კირიბის“ ეწოდება. სიტყვის ფუძეა კირიბი, რაც მეგრულად კრავს ნიშნავს. იგივე ფუძისგან ნაწარმოებია სიტყვა „ლოკირიბუა“, რაც მეგრულად ამოტვიფრას, ამობეჭდვას ნიშნავს. გია კვაშილავას მტკიცებით, დისკოზე აღბეჭდილი ნახატ-ნიშნები **„კოლხური (ქართლ-კახეთის)“**.

„კოლხური ოქროდამწერლობის“ შესახებ ცნობები უმთავრესად დაცულია ბერძენი ავტორების: **ევჰემეროსის, ხარაქს პერგამონელის, იოანე ანტიოქელისა** და თესალონიკეს არქიეპისკოპოსის **ევსტათეოსის** თხზულებებში. როგორც გია კვაშილავა ამტკიცებს, „ფესტოსის დისკოს“ ტექსტი არის **„ნენანას“** საგალობელი, რომელიც ეძღვნება **„აიან-ნეშპარის“** მფარველ პელაზგურ-კოლხურ დიდ დედა-ღვთაებას **ნანას** (რეა-კიბელეს) ანუ **სიბელას**.

ცნობილია, რომ „ნენანას“ მოგვიანებით: ქრისტიანულ ეპოქაში, ივერიონის მონასტრის ბერები ათონის წმინდა მთაზე უგალობდნენ, როგორც ღვთისმშობელს.

P. S.

„ფესტოსის დისკოს“ გაშიფრვა ბატონ გია კვაშილავას მიერ, ხელშესახებად ადასტურებს ფილოსოფიაში ფუნდამენტურად დამკვიდრებულ აზრს: **ევროპეიდული რასა ქართველებისგან იწყება** (ჰეგელი). რაც შეეხება იოანე ზოსიმეს „ქებაის“ მიხედვით ქართული ცივილიზაციის ასაკად განმარტებულ 4000 წელს, აშკარა მათემატიკური ცდომილებაა. ამ ცდომილებას თავად ბატონი გია კვაშილავაც ავტომატიურად იმეორებს, ვინაიდან, როდესაც ზოსიმე მოღვაწეობდა, მაშინ X საუკუნე იყო (1000 წელიწადი ქრისტეს აქეთ), და იმ ხანად ნათქვამი ოთხი დღისა მკვდარი, ანუ ოთხიათასი წლის მიძინებული ეთნოსი, დღეს უნდა აღვიჭვათ, როგორც 5 000 წლის ცივილიზაცია (3000 + 2000 = 5 000).

მართლაც, გასაკვირი არაფერია, ვინაიდან, ქართული ცივილიზაცია უნდა ყოფილიყო დანარჩენი მსოფლიოს მკვებავი ქურუმულ-ეზოტერიკული ცენტრი, მომთაბარე წარმართულ ტომთა შემოსევებისაგან მკვიდრად დაცული ადგილი. გაშლილ ველზე მესოპოტამიასა და ეგვიპტეში ამისი მიღწევა შეუძლებელი იყო. კოლხური კირები, სამკუთხა დაფებზე წარწერილი კანონები, წერილსვეტები, შუმერული სამკუთხედებით შეკრული დამწერლობა და ეგვიპტური პირამიდების ტრიპტი ამისი ნათელი დასტურია. დიახ, ცივილიზაციათა სათავე კოლხეთია, აია-ქვეყანა, ქართლოსიანთა ნერჩი (**გური ოტობაია**).



გაგანია ზაფხულის გულისწამლები ხვატი ჩრდილო-ვანებისკენ მიერეკებოდა სულიერს თუ უსულოს. ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, გაიკრიფნენ ბახმაროსაკენ თუ საირმისკენ, მაგრამ უფრო ხელმოკლენი შინ დარჩნენ, გავარვარებული ქალაქის ფსკერზე, და ათასში ერთხელ ანაკლიისკენ წასვლას თუ მოაბამდნენ თავს, ესეც დიდი შეღავათი იყო.

კვირის წინათ სრულიად უსამართლოდ დაჩაგრეს ჯოტო ოდიშელის მეზობელი, ნაფოტივით ხმელი და მუდამ თავაწეული ქესქიას ბაღში ფრიდონ კოდუა რკინიგზის სადგურის ბირჟავიკებმა.

შლაქები ფეხს იკიდებდა ქალაქში, მუხლებთან შევიწროვებული და წვივებისკენ გაფოშფოშებული ტრაპეციები, მაგრამ ქესქია კოდუას რიგით მეოთხე შვილი-შვილის ოჯახაშენებულ თერძს ზომიერების გრძობა მთლად დაკარგვოდა და შარვლის თითოეული ტოტი სიგანეში ლამის ნახევარმეტროიანი გამოსვლოდა, თანაც კოვბოის ყიდაზე შაურიანისხელა ღილებით დაემშვენებინა ბარძაყიდან მოყოლებული კანჭებამდე. საკბილოს დადარაჯებულ ჯელებს ოსტატურად გამოეჭირათ დარჩეული ჭაბუკი. ერთი მარჯვნივ მისდგომოდა, მეორე — მარცხნივ და დაეწყო დათვლა კვირის ღლებების თანამიმდევრობით: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი... ითვლიდნენ და რიგ-რიგობით აწყვეტდნენ ღილს. დამთავრდა ერთი კვირაძალი. გადავიდნენ მეორეზე: ორშაბათი, სამშაბათი... მივიდნენ პარასკევამდე, ააგლიჯეს ისიც და გაძვალტყავებული შარვლის პატრონმა კვლავაც რომ არ გაიღო ხმა:

— შაბათი რატომ არ დააკერე შენი გოიმი დედაო, — და დასიფათეს საკმარისზე მეტად. თანასოფლელების წინაშე დამცირებული სახელგანთქმული ქესქიას ნაშიერი ბაგეჩაკნეტილი, უსიტყვო თავისქნევით გაჰყვა ავტობუსს.

მომდევნო ღღეს ის ავტობუსი მებაზრე ქალების ნაცვლად, ბებუთებით, ფინური დანებითა და კასტეტებით შეიარაღებული ახალგაზრდებით დატვირთული მოადგა სახალტუროს. რკინიგზის სადგურზე შემოსვლას, მით უფრო შურის ძიების მიზნით, რომელი ჰკუთამყოფელი გაბედავდა?! ამიტომაც საქმის გასარჩევად რამდენიმე ყოჩი გააგზავნეს სადგურის ბირჟისკენ დარჩეულებმა და როდესაც ამ უკანასკნელთ დესპანები ცხვირპირჩამო-

ლეწილები დაუბრუნდნენ, თანაც მთელი ქალაქის ახალგაზრდობა ავისმომასწავებლად წამოხორხოცდა ოთხივე კუთხით ჩხოუშის მარჯვენა სანაპიროსკენ, მძლოლმა ყური დაუხშო უფრო თამამების ბაქბუქს. მას ცინცხალი ავტობუსის ბედ-იღბალი მეტადრე აღარდებდა, ვინემ ქესქიას მოთასთვის ართმეული ღილები თუ შუბლდახეთქილი შუაკაცები. მოსალოდნელი ორომტრიალისგან ქანჩი და ქანჭიკი არ შერჩებოდა ბიგავების ერთადერთ მარჩენალს და მძლოლმაც მანქანა ადგილს მოწყვიტა, სოფლისკენ გააქანა დაბოლმილი ქორ-შევარდნები.

იმ დღიდან მოყოლებული უკიდურესად დაიძაბა ვითარება, ვინაიდან დარჩეულებმა განურჩევლად დაუწყეს დევნა ზუგდიდელ მგზავრებს, მექორწილენი იყვნენ ისინი, მეპანაშვიდენი თუ ზღვაოსანები. აბუჩად ავდებულებს და დამცირებულებს არაფრით გაატარებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ბირჟავიკების ღირსება დაიღო სასწორზე. აქ უკვე მილიცია და იარაღი უძღური გახლდათ. და სწორედ ამისთანა დროს, ამისთანა ვითარებაში ცენტრისტების სათავერილობო ადგილისკენ მისდაუნებურად დაიძრა ყველა რანგისა და ღირსების ძმობა, თავიანთ ლიდერიან-წვრილფეხობიანად.

ახალგაზრდების ხივილს ცნობისმოყვარედ აყურადებდნენ მგზავრები. ბაზრის მთელი მაწანწალობა აქეთკენ დაძრულიყო და ხოთოს, ჯოჯოს და სპირლოს ცოტა მეცადინეობა როდი დასჭირდათ მათ გასაფანტავად. საწყლები პეტეკო თოდუას ეცდუნებინა: ქალაქის ცენტრში ფლავს არიგებენ უფასოდო, მოლა ნასრედინის დასესხებით, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ზუგდიდელ ჩაუქებს თავი ეჭვობოდათ საზოგადოების წინაშე. აქამდე სადადიანოს რისხვად მიჩნეულებს ხელიდან ეცლებოდათ წლობით მოპოვებული სახელდიდება.

— ფერდინანდის მეტი ვერავინ მოავარებს ამ საქმეს, — თქვა გვანჯი ჩიქვანმა და საჩოთირო შუამავლობას მოხერხებულად დაუძვრა.

— ფერდინანდი და გოგი ყოლბაია! — დააკონკრეტა საშა ეგუტიაძე.

— გოჩა ჩიქოვანს რას უწუნებთ? — წამოიძახეს აქა-იქ.

— კარგი იქნება ამ სამეფულს როკი ოდიშელიასაც თუ გავაყოლებთო, — ჩაერია საუბარში კაკა ჟვანია, — ჩემი ბებერი ძელები არასდროს გაქცევია საერთო საქმეს, მაგრამ ამჯერად ისეთი ხალხის შერჩევა აჯობებს, დარჩე-
 ლელებთან ნათესაური კავშირი ან მეგობრული გრძობა რომ აერთებთ. მერე და გვანჯის და ჩემი დრო ამოწუ-
 რულა, ენახოთ ვისი იმედით ვტოვებთ ქალაქს, — კაკა ჟვანიამ ქამარ-ხანჯალს დააყრდნო ხელები, — ამ საქმის გაძლოლას პეტეკო თოდუას თუ ჩავაბარებთ ერთი-
 თად მოვიგებთ ყველა. მისი ენამოსწრებულობისა მოგეხ-
 სენებათ, თანაც დარჩელებების სიძია. არც ანზორ ქა-
 ჯაიას უგულუბელყოფა იქნება. რაც შეეხება ოდიშელიე-
 ბის ბიჭს, უფრო იმ მოსაზრებით დავასახელებ, ბიძა ჰყავს
 იქაური, ჯოტო. მერედა, ძმაკაცობს კიდევ ქესქია კო-
 დუას შვილიშვილებთან, დაბოლოს, საქმე საქმეზე რომ
 მიდგეს, არავის უჭრის ახლებსგან მასზე უკეთესად ენა
 და მუშტი. გახედეთ ერთი, აყენია თუ არა გივის სა-
 ლობიესთან გელოდი ჩიქოვანის „ზიმი?!“ აგაშენათ
 ღმერთმა! გვშველებია და ეგ არის!

ბულვარს თანდათან ემატებოდა ხალხი. მისდღემში
 ზღვა რომ არ ენახა, ისიც იქითკენ წაუსვლელობას ჩი-
 ოდა.

— ამოვიგულებით ერთიანად ამ პაპანაქებაში, —
 წუხნდნენ.

— იმისთანა საქმეს ნუ აავორებთ, მერე თითზე კბენა
 გვიანი იყოს! — ჰკუთას არიგებდნენ თავიანთ აღზრდი-
 ლებს შოთა ხუბულავა, ამბაკო ოდიშელია და მირიანე
 ნარმანია. ქალთა სკოლის დირექტორი გოგოლა ჩხოლა-
 რიაც ამ აზრის გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ
 დამორცხვებულნი მისი პროფილისანი არ იყვნენ.

საზოგადოებრივი შრომის ფერხულში ჩაუბმელო-
 ბის გამო არცხვენდნენ ჯელებს. უმიზნობას მიიჩნე-
 ვდნენ მათი უუნარობის სათავედ. სხვები ვაჟკაცობას ურ-
 ცხვენდნენ.

— საკუთარ კედლებში ხაროთ მაგრები, თორემ ჭიშ-
 კრიდან გასულნი კუდს ამოიძუებთ და სამასხროდ აქ-
 ცევთ მთელს ქალაქსო, — შეჰკადრებდნენ და ყოჩე-
 ბიც, ადრე მსგავსი სიტყვებისთვის მზად რომ იყვნენ
 სკვერის ტრიფოლიატაში ხვლიკივით გაეძვრინათ სა-

კუთარი ბაბუის აჩრდილიც კი, თავჩაქინდრულები
 ითმენდნენ უფროსების გაკილვას.

ამასობაში ზოგი ჩომახიების სასადილოდან გამო-
 იყვანეს, სხვები გოგის სალობიესკენ გაკრიალელებული
 „ზიმი“.

ლაფანის დედატოტზე ჩამოკიდებული ხარით დახ-
 ვდათ იმ ნაშუადღევს მედიატორებს ნაფოტივით
 ხმელ-ხმელი ქესქია. შვილები, შვილიშვილები, ბაღიშები
 კუმტად უმზერენ თემშარაზე შემოხეტებული „ზიმის“
 მრევლს. კაფანდარა ბუთხუზი დარბის. ფრიდონს დანა
 პირს არ უხსნის. ჩამოლაგდებიან სტუმრები და ბაბუაც
 შავტარიან დანას ხელში მიაჩიჩებს დაზარალებულ
 შთამომავალს.

— ანახე ვინცა ხარ, ვისი გორისა, — ეტყვის რჩეულ
 ბაღიშს ქესქია და ყალიონს შეუნაცვლებს იმ დანაწარ-
 თმეულ მარჯვენას. ამდენი ხნის მანძილზე ჩამოკიდებულ
 ხარს ენა ნახევარ მეტროზე ჩამოზღვეტვია. ელვასავით
 გამოუსვამს ყელში სამართებელივით აფხიანებულ ლით-
 ონს ფრიდონი ხარს. სტუმრები თვალის დახამხამებს ვერ
 ასწრებენ. თავის სტიქიაშია. მხოლოდ ცალი ფეხის
 ნახევარს შერჩება ბალანი, დანარჩენი ფითქინებს, ელვა-
 რებს, ხან ქონის მხრიდან, ხანაც ოქროსფერი ბეწვისკენ.
 მორჩება სამუშაოს ფრიდონი ათიოდე წუთში და ბადე-
 სავით მოისვრის ნედლ ტყავს შუაგული ეზოსკენ. ესეც
 ერთგვარი შურისძიებაა. ბრძენი პაპა მიუხვდება ფესვის
 გამგრძელებელს და გასახტებული სტუმრების წინაშე
 შეთქმულივით წალაღავს თავის მოდგმას იმ ტყავისკენ.
 მხოლოდ კაფანდარა ბუთხუზი დაქრის აღმა-დაღმა,
 თხილნარსა თუ ბოკონებზე შეყენებული ოდის ქვეშ.
 ჯერ კიდევ ნედლ ტყავზე შემდგარან კოდუები ქესქიას
 გარშემო სალტესავით შეკრულები. თითქოს მფრინავი
 ნოხია. თითქოს სადაც არის ცად აიჭრებიან. ვერაფერს
 მიმხვდარან ჰარმაგი თუ ახალუხი გამმაროებლები.
 მხოლოდ ქესქიას ყალიონი ფუტავს იმ ოცკაცულიდან.
 თითქოს ორთქმავალია, ან სულაც ახალდანთებული
 კერია, რომ ფუტავს, ჯერაც ცეცხლის აგიზგიზებამდე და
 სქვექავს აქ გვარიან ხანს ფეხზე შეყოვნებული მრევლის
 წინაშე ბრძენთაბრძენი ქესქია:

— ასეთია კოდუების სინდისი და ობადიში! თაყვანი
 სტუმრებს! — შვებით ამოისუნთქავს ყველა.



განმუხურის ხილამდე ასეთი ხალისით აქამდე არასდროს მივლია. გალარულია ხელისგულივით გზატკეცილი და ათწლეულების წინანდელი ჯაყყაყი დავიწყებას მისცემია. ჩვენ კოდუებისკენ მივემგზავრებით. აქ ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მომცრო წისქვილი წამოასკუბა და მოაწყდა გაღმეთელ-გამოღმეთელი ენგურისპირეთი. ეს პიროვნება ფრიდონ კოდუა გახლდათ, ზუგდიდში რომ აითვალწუნებენ ბირჟავიკები რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილებს“ მიხედვით, თუმცა ახალ ამპლუაში თუ ვიხილავდი, ნამდვილად არ მოველოდი. ინფორმაცია მისი ბიზნესის თაობაზე პრესიდან შევიტყვე. საქართველოს საუკეთესო ფერმერად დაასახელეს თურმე ერთ-ერთ ნომინაციაში. თურქეთის, კონიას მხარის საერთა შორისო გამოფენის მონაწილე, მორიღებით გამომეცნაურება ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და დავიძრებით კიდევ დარჩელისკენ.

დარჩელი ჩემი მეორე დედუღეთია. აქ მყვანან ნათესავები — არნანიები, თოდუები, ყორშიები, ხუფენიები; სამეგობროდ — აბსანძეები, ბიგვავეები, კოდუები და ვინ მოსთვლის. დარჩელი მუხლძიერი სოფელია. მისი ძირითადი შემოსავალი თხილი და სიმინდია. აქ მეცხოველეობა ვერაფრით გაიმართა წელში, ვინაიდან მიწის ნაკლებობას უჩივიან. თანაც ყველაფერს ემატება აღვირახსნილი მიწის ბიზნესი — სოფლის განუკითხავად უცხოელი ინვესტორებისათვის მათი გადაცემა ათასნაირი დარღვევის გათვალისწინებით. სავარგულებს არაფერი შემატებია თუ არ მოაკლდა — მოსახლეობამ იბარტყა და ყველას მიწის სიმცირე აკერია პირზე. მაჟორიტარობის კანდიდატის არჩევნებისას ჩვენს წინაშე ბევჯერ ამოტივტივდა ეს თემა.

დარჩელელებს დიდი კოლექტიური თანადგომა სჩვევიათ. ადრეულ წლებში ერთი წერილის გამო ვიწვნივე კიდევ: როცა ოტობაიელებისა და დარჩელელების ხასიათებს შევადარებ ფრაზა გამეჭტევა — დარჩელეებებთან ერთობა ჭარბობს-მეთქი განვაცხადებ, დააშავებს ერთი? მთელი სოფელი ურტყამს-მეთქი, ხოლო ოტობაიაში ერთი-ერთზე გადიან-მეთქი, წამომცდება. სიტყვას მოფრთხილება სჭირდება თურმე, განსაკუთრებით, როცა სოფლის მთლიანობაზე მსჯელობ. მოვიბოდიშებ კიდევ ამის გამო ნეტარხსენებულ, პოეტ ანტიფო არნანიას ოჯახში სიტყვიერად და წერილობითაც „დილის გაზეთში“, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რამხელა სიყვარული ჩავაყოლე ამ იშვიათი ხალხის ალალმართალ ცხოვრებას „სიცოცხლემიჯილების“ პირველ-მეორე წიგნებში, ჰოდა, ეს მანუგეშებდა. წარმოსახული გმირი ოდიშელია თუ გულა კოდუას ბიჭი, ქესქიას ბაღიში, აგერ არ გამომეცხადება მთელი სისასვით?!

დროს თავისი წაუღია. შეთხელებულა ქოჩორი, მაგრამ სიღარბაისლე მინიჭებია ხმას და რაც მთავარია, ნაგვიანევი ყვავილები მოჰყოლია მის დაოჯახებას — ორი ასული და გვარის გამგრძელებელი ძე. ღმერთმა აბედნიეროთ, ღმერთმა უმრავლოთ ეს მუყაითი და მშობლების გულის გამხარებელი შვილები. ისინი უფროსებს ტოლს არ უდებენ საქმიანობისას. საფუტკრეებია ეს, თხილის ნარგავები, ბოსტანი სათბურში თუ გასხლული ფიჩხის დაკაპანება საშეშედ. არც





სწავლაში უდებენ ტოლს ვინმეს. ჩვენი ნარკვევის გმირის მეუღლე სამურზაყანოელი მანდილოსანია — დალი მარხულია — ოქტომელი ქალი. მათი სოფელი გამორჩეული იყო მთელს აფხაზეთში ოტობაიის მხარე-დამხარ. ბევრი მიწერია იქაურ ძუძუმტეობასა და სისხლის აღებაზე, ფარფალიები და ემუხვარები რომ ამოხოცავენ ერთმანეთს. შემდგომ ოტობაიელი მედია ტორების თავგამოდება როგორ გამოიღებს შედეგს.

ქალბატონი დალი წამითაც არ სცილდება თავის თანამეცხედრეს, მის ბიზნესში ერევა ქალური ალღო-ანობით, ვინაიდან საჭირო გახდა ბოლო დროს ბიზნესში ქალური წინდახედულობის შემოშველიება. მოვიდა ერთხელ ვინმე ბრეტისბრეტი ქალბატონი და ათასების საგულდაგულოდ დარჩეული თხილი ნიავ-ქარს გაჰყვა. მწარე სინანულით იგონებს ამას ახლა ჩვენი ფრიდონი, მაგრამ უსაშველო არაფერია, მოიძებნა თითლიბაზების კუდები და ნაწილ-ნაწილ იბრუნებენ ვალს.

სანთელ-საკმეველი თავის გზასავალს არ დაჰკარგავსო, იტყვის ხშირად. კოდუებისას რამდენიმე საათს დაეყოვნდება. დავათვალიერებთ ათამდე ჰექტარ თხილ ნარს, სანერგეებს. კოდუა თავისი ეტიმოლოგიით კოდთანაა დაკავშირებული, სარწყავთან, კოდვასთანაც, ცხადია. ერთიცა და მეორეც მუხლჩაუხრელი გარჯის მიმანიშნებელია.

მათ სამოსახლოს სტუმარი ნამდვილად არ აკლია. ამას წინათ საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდენტს, ყოფილ პრემიერს, ბატონ ოთარ ფაცაცას უმასპინძლეს. სტუმრების ამაღლაში იყვნენ ქალაქის წარმატებული ბიზნესმენები. ყველა აღფრთოვანებული დარჩა კოდუების თხილის ფაბრიკით. აქ ოცამდე ადამიანია დასაქმებული. კოდუებს უამრავი პროექტი აქვთ მომზადებული. აპირებენ თევზის მოშენებას. თავის დროზე პეპერა ქესქიას მიერ ოქროს ფულად შექმნილი მათი მამული, ზედ ჟუმისა და ენგურის შესართავთანაა განლაგებული. აქ თავისუფლად შეიძლება სარკისებრი კობრის მოშენება. სასტუმრო კომპლექსის მოწყობა უცხოელი ტურისტებისათვის — აგერ, ბუნების საოცრება გარემო, თვალს წყალს დააღვივინებ, მსუბუქი კატარლით გაასეირნე ხალხი ანაკლია-ჭურისაკენ.

პრეზიდენტსაც უხილავს თურმე მათი ოჯახი, სულ რაღაც ორიოდ წუთით. მაშინ ფრიდონი შინ არ ბრძანებულა. ახლა გულით უნდა თავად ბატონ მიხეილთან გაბაასება. სჯერა საამისო ჟამიც მოაწევს. კოდუების სავარგულებს ბევრი მოშურნე უკვარკვალეს თვალს. ედავებიან ოდესღაც კომპანიონობის სურვილით შემოხილებული ადამიანები. არაფერი შეინანა მათთვის ფრიდონმა, ახლა ქესქიას თხილნარის წართმე ვითაც ემუქრებიან, მაგრამ გვითქვამს, ქალბატონი დალი მარხულია ნამდვილი ავაზაა, არავის დაუთმობს თავის ოჯახის ნაამაგარს, მისი მცირეწლოვანი შვილების მიერ ნალოლიავებ თხილნარებს. სცადეს ამას წინათ აფხაზმა ბოვეიკებმა მათ სამოსახლოში შეჭრა, მაგრამ ნამდვილ მეციხოვნესავით დაუხვდა ოჯახის ღირსეული დიასახლისი. კარი არავის გაუღო. არც მათი ჯავშანტრანსპორტიორის შემოჭრის შემინებია. ოღონდ ეგ იყო მომდევნო დღეს გახიზნა ოჯახი დარჩელიდან ფრიდონ კოდუამ და იმ ღამეს ენგურსგაღმა დაბანაკებულმა მტერმა ისევ მიაკითხა მათ სამოსახლოს. ამჯერად გამოკეტულ ოჯახში დაურიდებლად შეაბიჯა მტერმა. თავდაყირა გადმოატრიალეს ავეჯი. ალბათ, ვიღაც მოშურნემ დააკვლიანა ისინი, ოქროს ინახავენო. ქესქიას ნაშეირი იმისთანა შერეკილი ნამდვილა არ



გახლავს ოქროს სხვენზე ინახავდეს, თანაც გახიზნულ სახლში და ისიც გაბოროტებული მტრის წასახვეტად.

მათი გასაჭირით აფორიაქებულმა, შევეხმიანე პრეზიდენტის რწმუნებულის პირველ მოადგილეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, მართლაც რომ დაუდგრომელ ალექსანდრე ახვლედიანს, ალიკას.

— ვიცი ყველაფერიო, — მითხრა საკმაოდ გაცხარებული ტონით, — განმუხურებიდან ვბრუნდები ახლა. უკვე ამ სოფელს ჩვენები აკონტროლებენო. — გავიხარე, მოულოდნელი ინფორმაციით, ის კი აგრძელებდა საუბარს კოდუების სამოსახლოს ვითარებაზე, — ჭორები დადის ახლა, ეს წაიიღეს, ეს გაიტაცესო, ნამდვილად არ შეესაბამება სინამდვილეს. თუკი რაიმეა წაღებული კოდუებიდან ბავშვის ველოსიპედი. ამ ველოსიპედის თაობაზე თავად ფრიდონმა გამიმხილა მოგვიანებით — ჩვენი წაღებულიაო. არავინ უწყის, რას ეძებდნენ აფხაზები კოდუების სავსე ოჯახში. საგარაულებელია ფულსა და ოქრო-ვერცხლს, მაგრამ ვიმეორებთ, ფრიდონ კოდუა ნამდვილი მეურნე კაცია და მას ყოველი თეთრი სოფლის მეურნეობაში, პლანტაციებსა და ნარგავებში დაუბანდებია. ფულს ბანკში ინახავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას თუკი მორჩა რამე. რაც შეეხება თხილის გადამამუშავებელ მის ქარხანას, ნამდვილად ევროპული სტანდარტების შესაფერისია. ნამყოფია ფრიდონი ისრაელში, გერმანიაში, იტალიაში. ახლათ-ახალ ტექნიკაში გაწაფულს შეეშლება განა რომელი ფირმისაა უფრო სანდო და მოხერხებული?!

ვასხენით, პრეზიდენტის სტუმრიანობას ნატრულობს დღედაღამ- თქო, რადგანაც დაუგროვდა სათქმელი მეურნე კაცს მხარის სახელით. მასზე უკეთესად არავინ უწყის ახლა უბრალო ხალხის სატკივრებისა.

ვერც ზავდიდის მაჟორიტართან, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერთან, ერთმოსახლე ფრიდონ თოდუასთან მოუხერხდა ჭერხანობით შეხვედრა.

— სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დაჰკარგავს, — იტყვის, გამოვსა ქუჩაში, იქ ენგურისპირას ჩამორიგებულ ჭადრებთან გამართულ მაგიდას მიუჯდება. თუ შვილებმა ჩაი მოუტანეს ხომ კარგი, ხილი ყოველთვის აწყვია დიდრონ ვაზაზე. აიღებს ბასრ დანას, და ზუსტად ისე, როგორც პაპამისს ქესქიას უყვარდა, იწყებს მსხლის გათლას ფიქრებში ჩაძირული.

კონიას დღიური. სამი ჭიმა ჩაი 26 დოლარად!

ეკონია მეგრული სიტყვაა. პარტახს, დაქცეულ-გავერანებულს ნიშნავს ქართულად. მაგრამ თურქეთს დაეტყო უცხოური ინვესტიციების მაღლი და ტიპიური უდაბნოში მიყოლებით ჩნდება ოაზისები. კონიაში ძირითადად იტალიელები მოდვაწეობენ. მათი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანები საინტერესოა მრავალი კუთხით, მაგრამ ფასები ერთობ მიუწვდომელია ჩვენი გლეხობისათვის.

ერთ კურიოზულ ფაქტს გაიხსენებს ბატონი ფრიდონი.

თბილისიდან წარგზავნილები ფეშენებელურ სასტუმროში განათავსეს. მგზავრობა ორგანიზატორების დაფინანსებულია. სადილი უფასოა, მაგრამ საუზმე-ვახშმისთვის საკუთარი ჯიბით უნდა იზრუნო. დილაუთენია გაელვიძათ მას და მასთან მობინადრე კოლეგას, სენაკელ გოდერძი წურწუმიას. გზადაგზა კიდევ ორი შემოუერთდათ. იციან აქაურ სამზარეულოს ნაკლებად გაწვდება მათი ფინანსური შესაძლებლობა. ამიტომაც ინებებენ ლიმონიან ჩაის. ანგარიშის ამოტანას ნომერში უბრძანებენ მომტანს. ჰოდა საკვირველებავ, 26 აშშ დოლარის ჩეკი არ დახვდებათ მაგიდაზე?! ღვინოზე ოცნება ხომ წარმოუდგენელია. ბოთლი 50-60 დოლარი ღირს!

— წარმოუდგენლად ხმაურიანი ქალაქია კონია. ვიწრო ფერმერები ჯერაც ჩალმებით და ნაცლიონალური მახუჭიანი შარვლებით დაიარებიან. ტიპიური თურქები გახლავან. ლაზს უცებ იცნობ, ჩვენი ჯიშ-ჯილაგისას. ჩვენ ორივე, მე და გოდერძი შავტუხები ვართ და უფრო თურქები ვგონივართ ადგილობრივებს. ის ლაზი ჯერაც დაუოჯახებელია. მითხრა, ჩვენებურ გოგოს ვეძებო. მართალია, თურქეთის ლაზობამ მუსულმანური სარწმუნოება მიიღო. თურქული მშობლიურ ენასავით აითვისეს, და ყველაფერთან ერთად, თავიანთი შესაშური ერთგულობა-უღალატობის წყალობით შეუფერხებლად მიიწვიებინ. ბიზნესში წარმატებული ხალხია. ამას ნაკლებად

იტყვი ადგილობრივ სომხობასა თუ ქურთობაზე. იმათ აქვთ თავიანთი პრობლემები თურქებთან. სომხებს ვერაფრით დაუვიწყნიათ ცხრაას თხუთმეტის გენოციდი. სულ იმის ცდაში არიან ეს ფაქტი აღიაროს დანარჩენმა მსოფლიომ. ბუნებრივია, თურქებს ამისი ყურად გაგონებაც არ სურთ. ომი იყო, იტყვიან. ორმხრივი ომი იყო ნაციონალურ ნიადაგზე და მორჩა. მხოლოდ საფრანგეთმა წაივარა ამ გენოციდის თემით, მაგრამ ამბობენ ამ აღიარებით, მიტერანმა 600 000 სომეხი ამომჩევლის ხმა მოაქუჩა ჩახვიაშიაო. პოლიტიკოსებს რას გაუგებ. ორმხრივი ომი აქა-იქ იმართება პოლიციასა და ქურთებს შორისაც. უფრო ტერორისტებსა და სამხედრო შენაერთებს შორის. ქურთები ჯიუტად მოითხოვენ ავტონომიას. ბედის ირონიაა სწორედ. ოდეს დაც ამ მიწა-წყლის პატრონებს მჭადის ნატეხიც ვერ მოუპოვებიათ წართმეულ სამშობლოში! მსგავსი ამბიციები ნაკლებად აწუხებთ ლაზებს. ისინი შიდა ქორწინებებს მისდევენ განუხრელად. თვალის ჩინივით უფრთხილდებიან თავიანთ წეს-ჩვეულებებს, ენას, იერ-სახეს. და რაც მთავარია, დღითი დღე უმტკივნეულოდ იფართოებენ კულტურულ ავტონომიას. იშვიათია ლაზის ოჯახი სადაც დღეს ქაზიმ ქუიუნჯუს ფირფიტები არ ჰქონდეთ. ჰოუნანას სიმღერის მოსმენისას ფეხზე დგებიან ცრემლი დაბა-ღუპით ჩამოსდით სახეზე. ექვს მილიონამდე ვართო, მითხრა იმ ლაზმა. ყირმიზი იყო, ტანწვრილი და ამოლტილი. ამეებით თურქები ვერ დაიკვივნია. ბევრს ღიბი მოსდებია. ჩაცმულობაზე ხომ ზემოთ მომიხსენებია.

ჩვენ, დიხაც, გვჭირდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები, მაგრამ მამასისხლად შეძენილით ხეირიან ბიზნესს ვერ ვაწარმოებთ. ამიტომაც საჭიროა ქვეყანამ მეტი ყურადღება გაამახვილოს ჯართის გატანაზე. შაურად შეძენილ რკინეულს აქვთ უზალთუნად გვაჩეჩებენ. დროა ჩვენმა სახელმწიფომ საკუთარი ინდუსტრიისთვის იზრუნოს. უამრავი პროექტი და გამოგონება ჰაერშია გამოკიდებული დღემდე. სამშობლოს წინსვლა თუ გვინდა, დროა, ვიზრუნოთ შიდა ბაზრის დაცვაზე. დროა, მივცეთ გლეხებს იაფი კრედიტები, არადა, კომერციული ბანკების იმედით შორს ვერ წავალთ. სახელმწიფო თითქოს იძლევა იაფ სესხებს, მაგრამ საბრუნავთანხას ზედ ცხვირწინ აგაცინცლავენ. ჩემი პაპისპაპა იყო მაგარი მეურნე კაცი, ქესქია კოდუას ვგულისხმობ. ხშირად იტყოდა, თხუთმეუ ჯამანგარი ვარე ურჩქინჯუო, კიტიტანს ვითომ, მარა წყარს ქენაკირი ართ-ყირ წანასდა, ჭყონიშ უმანგარო გინირთუ. ჩვენ, ჩვენს შიგნით უნდა ვიპოვოთ სახსარი, ღონე, საშუალება — გულში ჩამწვდომია ფრიდონ კოდუას სიტყვები.





კოდუების ოჯახი მართლაც გამონაკლისია სამეგრელოს სინამდვილეში, ბავშვები გაწაფულნი არიან ტექნიკაში, ყველაფერს ვიდეო-კამერით აფიქსირებენ: სტუმრებს, ნარგავებს, შრომის პროცესს. უფროსი გოგონას ჟურნალისტობა განუზრახავს. კომპიუტერსაც ჩინებულად ფლობენ. ზედმიმწევნით ერკვევიან „გორდის“, „ფოტო-შოპის“, „პეიჯმეიკერის“, „პედეფის“ პროგრამებში. ინტერნეტში დაძრომილობენ, მამის საკონდიტროდ გამზადებული თხილისათვის ეძებენ კლიენტებს, წითელი ლოტოსის თესლს, ესაუბრებიან ოკეანის გადაღმელ ადამიანებს რუსულად, ინგლისურად. თვალს ჩრდილოეთელი აგრესორის საიტებსაც, სადაც შავის თეთრად წარმოჩენის აშკარა მცდელობაა. მივუთითე მისამართები და ნამდვილად გაიხარეს, როცა „ვიკიპედიასა“ და „kolkhoba org“-ში გური ოტობაიას ლექსი „გვიმარა“ რომ აღმოაჩინეს მეგრულ ენაზე. ვუნდერკინდები მათ არ ეთქმით, რადგანაც მშობლების გვერდით ტრიალებენ დღემოსწრება. აკი უთქვამს ქართველს, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. ჯანი გავარდეს, ბატონებო! ამაზე უკეთესს რა ინატრებენ ქესქიას შთამომავალი ფრიდონ კოდუა და მისი რკინის ქალამნებიანი თანამეცხედრე ქალბატონი დალი მარხულია!

ანონსი

ძნები საბურავების სახურავით

**რესპუბლიკის 2008 წლის
საუკეთესო ფერმერი
გოდერძი წურჭუშია**



წარჩინების სიგელი ნამდვილად ჩააბარეს რესპუბლიკის 2008 წლის საუკეთესო ფერმერს, გოდერძი წურჭუშიას კონიაში გამგზავრების წინ, მაგრამ ეკონიაც იმ დღიდან დაიწყო და თანხების ეკონომიაც. გაქარწყლდა ყბადაღებული იმედი იაფი სახელმწიფო კრედიტის თაობაზე. სამასამდე ჰექტარი მიგდებული მიწა ნასესხები ბენზინით მოსნა და დათესა. ორასამდე პირუტყვი ნასესხები ფულით გარეკა საზაფხულო იალაღებზე ბანკაროს.

ბანკებიდან სესხის გამოტანას ციებიანივით კრიდება. — მათი პროცენტებით სული გაგძვრებათ, უყვარს თქმა. — თურქეთში გვითხრეს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ხალხისათვის კომერციული ბანკები ვასცემენ იაფ კრედიტებსო, რომლის წლიური საურავი 12 პროცენტს არაფრით აღემატება, აქ კი სახალხო ბანკიდან მოყოლებული, „თიბისი“, თუ „პროკრედიტი“

3%, 6 პროცენტიან სესხს გაგიფორმებენ, თითქოს თერმომეტრით სიცხეს გიზომავდნენ სად-საღამათსო, — წაიხუმრებს, — ამგვარი ფულით შეუძლებელია ბიზნესის გაძღოლა.

ეს ბანკები ქართული კაცის დაკაბალების ერთგვარი სახსარ-საშუალებათაო, — დაასკვნის მთელი სერიოზულობით. უფროსი გაჟიშვილი დაუქორწილდა. სინარულით ცაში დაფრინავს, ორმოცი წლისა ბაბუა გასდება, სახუმარო საქმეა?! მაინც გაურკვევლობაა. არ იცის რა ბედი ეწევა მომავალში. რომელი ვალი მოუკაკუნებს კარზე. აცხადებენ ფერმერებს გენმარებითო, მაგრამ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია ყოველივე. ამეებზე უფრო დაწვრილებით მომდევნო ნომერში.





დოვლათის მემარაგნი (მოგელი სოსელიას პორტრეტისათვის)

მოგელი სოსელიას ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობ. ჩვენი სიახლოვე პოეზიისადმი მისმა გასაოცარმა სიყვარულმა განსაზღვრა. აღმოჩნდა, რომ იგი ქართული ფოლკლორის დიდი გულშემატკივარია, განსაკუთრებით მეგრული ლექსები ხიბლავს, დანიელ ფიფიას „ბორჯი“, ჩვენი გასაოცარი სიმღერები. გაოგნებულმა მოისმინა ჩემი რამდენიმე სტრიქონი და ამას აქეთ უღალატოდ მივათრევთ წუთისოფლის პერანგს. მრავალგზის გამიმართა ხელი. არასდროს დამჭირებია მასთან წიგნის გამოსაცემი ფულის თხოვნა. ყოველთვის უშურველად გაიღებდა იმდენს, რამდენიც ჩემს აბურდულ ცხოვრებას მოაწესრიგებდა რამდენიმე თვეს. ნამდვილი მეურნე კაცი გახლდათ. ხობის სიახლოვეს რესტორანების კომპლექსი გამართა — „წარსულის ღიმილი“ — რომელსაც შემდეგ სახელი შეეცვალა — „კოლხეთის ღიმილი“ — ღიმილი, ღიმილად დარჩა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ „სიცოცხლემისჯილებს“ მეორე წიგნის პერსონაჟი კიბა ჯორჯიკია და მოგელი სოსელია ერთი და იგივე პიროვნებაა. ამის თაობაზე არაფერი უთქვამს ინფორმატორს. კიბა ჯორჯიკია საბჭოეთის პერიოდში ციხეში უსამართლოდ მოხვედრილი ჭაბუკია, რომლისათვის გასაოცარი

იუმორის გრძობა დაუბერტყავს გამჩენელს. არის იქ ერთი ოტროველა მილიციონერი — ეშმაკზე ერთი დღით ადრე გაჩენილი ცაქვა შედანია და ამ ცაქვა შედანიას სიცოცხლეს გაუმწარებს ჩემთვის უცნობი პატიმარი. სულ გაქცევის ინსცენირებას აწყობენ. ასანთის ღეროებს აკატავენ ფეხით, ხერხვის უღერადობასთან მიახლოებულს, შემდგომ წავიწროებულ საკნის კედლებს აქეთ-იქით ხელ-ფეხს მიაყრდნობს და ნამდვილი კატის მიმსგავსებით ჭერს აეწებება. შემოიხედავს საჭვრეტელში ცაქვა შედანია, გადაითვლის პატიმრებს და სად არის ერთი. ატეხავს განგაშს. ასე განმეორდება რამდენიმეგზის და მისი პენსია თუ დაწინაურების მოლოდინი ჩაცვივდება წყალში. მოგვიანებით შევიტყობ კიბა ჯორჯიკიასა და ცაქვა შედანიას იდენტურობას, ამიტომაც წარბის შეუხრელად შევიტან ცვლილებებს რომანში. სიცოცხლით სავსე კაცია ჩვენი მოგელი, აი, დაუდგრომელიო, რომ იტყვიან. ექვსი შვილის მამაა. უმცროსი ბიჭი მხარში უღვას სამეურნეო საქმიანობაში. მშობელივით დაუზარელია. ასობით ჰექტარ სავარგულებს უვლიან თავიანთ ფაზენდაში. არეულობის პერიოდში მოგელი იძულებული შეიქნა გაცლოდა ხობს.



მაშინ ჩაყრილი კვიის ნერგების ერთ ფართობს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს შურთანმა მავნებლებმა. მოგელი ამ კულტურის შემომტანადაა მიჩნეული კოლხეთში.

კივზე დიდ იმედებს ამყარებს იგი, რადგანაც ნესტის მოყვარე მცენარეა და ყინვაგამძლე ამავდროულად. მიკრო-ფაბრიკის გამართვას ლამობს საამისოდ ინვესტორი თუ მოიძია, ან გრანტს გამოჰკრა ხელი. რასაც ახერხებს ჯერჯერობით კომერციული ბანკების სესხით. ათას ლარზე მეტი აქვს შესატანი პროცენტი ყოველთვიურად. სასუქის ფასი 45 ლარამდე ავარდა და ამანაც გვარიანად გაანიავა მათი ბიუჯეტი. რუსული ინტერვენციის დღეებში ერთად მოგვიწვეს ყურყუტი გამოცარიელებულ სახლში. ყოველ ხუთ წუთში რეკავდა მისიანებთან თბილისში მასშტაბური შემოტევის მოშიში. „ბიჭო, გია, ჩვენი სარდაფი უსაფრთხოა, გამოაცარიელე და იქ შელაგდით ყველანიო, არიგებდა აქედან ნაბოლარა ვაფიშვილს. ჩემსავით ფეთქებადია, მეშინია თავი არ შეაკლას მოძალადესო, მაგრამ ღვთის შეწევნით გადავრჩით ფართომასშტაბიან გენოციდს. აქეთ მღვრიე წყლის ვითარებით ისარგებლებენ ქურდბაცაცები და მის რესტორანს პირწმინდად გამოაცარიელებენ მანქანა-დანადგარებსაც წაატანენ ხელს. დაუკავებიან ერთი, და ახლა იმაზე წუხს ციხეში რომ მოუწვეს ახალგაზრდა კაცს ჩაყუდება. ისე რეციდივისტი ყოფილა, მერამდენედ ნასამართლევი. მოგელი სოსელია ნამუსიანი კაცის სახელითაა ცნობილი მთელს სამეგრელოში. უამრავი მეგობარი ჰყავს, ყველა მის ფაზენდას ეტანება ნისიის იმედით, მერე გადის თვე, ნახევარი წელიწადი და ვალს მობოდიშებით გადაუხდიან. შემოგვხვდა ერთი ხანდაზმული ვალის პატრონი. არ იცის რომელ ნახვრეტში შეძვრეს. „გაქვს ბიჭო შენ ნამუსი?!“ ეკითხება ისედაც წამხდარ კაცს, „მეორე წელიწადია რაც ჩახეთქეთ შენმა და შენმა ძმაკაცებმა. მიგდებ თუ რა?! დაგავიწყდა შენ მოგელის ცხელი თვალები?!“

„მოგე, ბიძია...“ ამოღერღავს მევალე, „თბილისი ფული იქნება და ორ-სამ კვირაში გაგისტუმრებ...“ „ბიძია არ ვიცი მე, — გაცეცხლებულია მოგელ სოსელია, — ჩავავლებ ხელს, ყანაში შეგაგდებ და მოროდში გამოგიქვითავ. სახალხოდ მოგჭრი თავს. აი, ეს მოგახდება შენ. კაცი არ ვიყო თუ არ გაგიკეთო, ერთ კვირაში არ მოგიტანია და... წავა ნირწამხდარი მევალე. მოგელი კი ხითხითებს, ხითხითებს. არ იყო ღირსი თუ...“



AVE, CAESAR!

შაში ქაშარი ავანსად

AVE, CAESAR!

შაში ქაშარი ავანსად

AVE, CAESAR!

შაში ქაშარი ავანსად

ასე მიმართავდნენ საომრად მიმავალი ლეგიონერები რომის იმპერატორს იულიუს კეისარს, რომელმაც თვალის დაუხამხამებლად დაარღვია საშინელი ფიცი და აკრძალული საზღვარი – რუბიკონი გადალახა – სენატს, ხელისუფლებას მასწავლით დაეუფლა. უშიში ვითარცა უხორცო, იტყოდნენ სოლმე ჩვენს მეფეებზე. დაახლოებით იგივე ითქმის ამ ცხრა წლის ბიჭუნაზე – დათო წყაროზიაზეც. ამიერიდან ცეზარი მისი მეტსახელია, ნათლიამამად წავადეკი.

დათო წყაროზია 9 წლისაა. შაგი ქაშარი ავანსად მივანიჭეთ, ჯერხანობით ლურჯის მფლობელია და პრაგალი ბარიერი უნდა გადალახოს, სანამ უმაღლეს კვარცხლბეკზე შედგებოდეს „კარატე დო“-ში. ამ კოკროჭინა ბაღანამ მოხიბლა ჩემი სული.

სიყმაწვილის წლებში მეც ვიყავი გატაცებული აქტიური სპორტით – კრივი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, შედეგებიც თვალშისაცემი მქონდა, მაგრამ ხელოვნების ტრფიალმა ყველაფერი გადაფარა და პატარა დათოს მხილველს უნებურად წამცდა: დაიხსომეთ ეს ბავშვი-მეთქი.

აკი გამიმართლა ვარაუდმა – რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენმა ჯილა დათომ არნახული შედეგები აჩვენა.

თავად დარწმუნდით: მან თბილისში საქართველოს ჩემპიონატში 2008 წელს კონტაქტურ „სეიზუ კაი“-ში ტოლი არაფის დაუდო, ფეხზე არაფინ დააყენა.

ამავე წელს მარტში პირწმინდად მოიგო ევროპის ჩემპიონატი კინგ-ბოქსში თბილისში დაეკადეს სპორტულ დარბაზში 9-10-11 წლიანებში. უფრო მაღალი ასაკის ბავშვებისკენაც მიუწევდა გული, მაგრამ

ამისი ნება არ დართეს მსაჯებმა. კვლავაც წლეულს, მაისის თვეში, თბილისში გამართულ კინგ-ბოქსის ჩემპიონატზე შეუდარებელი იყო, როგორც ტექნიკით ისე ბროლისუნარიანობით. მისი მთავარი კოზირი დახვეწილი ტექნიკაა და ლამის დაუჯერებელი შრომისმოყვარეობა. ჩვენთვის ნათელია, რომ ნებისმიერ სარბიელზე უმთავრესი ფაქტორი პასუხისმგებლობის გრძობაა. სანსეი ლაშა შელიას თქმით ჩვენი





დათო ამისი მაგალითია. მისი ყოველი რიგითი ვარჯიში არაფრით ჩამოუვარდება ტატამზე ორთაბრძოლას. მისთვის არ არსებობს მეორენარისხიანი პაექრობა. მთელი ნერვებით, მთელი კუნთებითაა ჩართული ნებისმიერ მოძრაობაში. საკუთარი შესაძლებლობის მისხალი, გრამი არ ეკარგება. ამიტომაც არის რომ უშიშრად დგას 2-3-4 წლით უფროსების წინაშე და სეტყვასავით დააყრის მუშტებს. ლაშა შელიასგან დამოუკიდებლად დათოს მე დაგავალე 3-5 წუთი ესუნთქა ფილტვებით, მთელი სხეულით კედელს აკრულს. ეს პროცედურა ფილტვების მოცულობის გაზრდას ეძღვნება, რათა ტვინის უჯრედებს მეტი ჟანგბადი მიეწოდოს. ამასთან ვთხოვე ყოველ დღე სუთი ინგლისური სიტყვა ესწავლა ლექსიკის მარაგის შესაქმნელად. ერთი წლის შემდეგ, როცა მოზარდს 1800 სიტყვა ეცოდინება მათი გრამატიზაციის სწავლა ძნელი საქმე არ არის. ინგლისური ენის ცოდნა მას დიდად ბოპულარულს გახდის მთელს მსოფლიოში. უკვე თარჯიმანის მოუშველიებლად შეეძლება დათოს მას-მედიას აუწყოს თავისი კოლეგების გასაჭირი – თუ შეიშველ იატაკზე რანაირი დაუნდობლობით აგდებენ ერთმანეთს. შეპირებული ტატამი არა და არ ჩანს.

ამგვარმა დამოკიდებულებამ შეუძლებელია დიდი გასაქანი არ მისცეს „არატე-დოს“ განვითარებას ზუგდიდ-ქალაქში. დათოს გულში აქვს ჩაჩნეული ჩემგან ჩამორთმეული ლათინური სენტენცია – CAVA GUTTA LAPIDEM – წვეთი სვრეტს ქვას, თანამიმდევრული სიჯიუტე ამარცხებს გრანდიოზულ სტიქიას. მითქვამს და ვიმეორებ, მე წინასწარ, ინტუიციით გუწოდე მას „ცეზარ“ – გვარში წყაროზია ხომ ერთგვარად ინახება ამ მეტსახელის გამოძახილი?! ვნახოთ, რანაირად გაამართლებს იგი მშობლების, გური ოტობაიას თუ სანსეი ლაშა შელიას იმედებს. აღდგომა და სვალეო.



სამშენებლო კომპანია „სანი“, როგორც იურიდიული წარმონაქმნი სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადია არს- ბობს, მაგრამ უკვე სრულიად სამართლიანად მთავრად მხარეში უმეტესი მშენებლის სახელი. ორგანიზაცია ძირითადად დაკომპლექტებულია „ენგურჰისისა“ და ქ. ზუგდიდის გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, რომელთაც ისინი შინაურულად „კამანდასაც“ ეძახიან. სწორედ ამ „კამანდის“ ძალად ინჟინერული გამოცდილება და ინტელექტი ესაფუძვლება მათ მიღწე- ვებს.

ორგანიზაციის ძირითადი დატვირთვა 2000 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება დღემდე: სანიმუშოდ დამთავრდა ზუგდიდი-ანაკლიის 35 კილომეტრის გზის მშენებლობა. წლის ბოლომდე გაასრულებენ ჩხოროწყუ-მარტვილის გზის ბოლო 5 და 4 კილომეტრის მონაკვე- თებს. მიმდინარე წელს დაიწყეს და სადაც არის დაამთავრებენ 17 ქუჩის რეკონსტრუქციას ქ. ზუგდიდში; 4 ქუჩის რეკონსტრუქცია განსორციელდა ჩხოროწყუში, რომელმაც გააკეთილშობილა ქალაქის იერ- სახე. მშენებლობა ყველა უბანზე განიჩევა ძალადი ხარისხითა და დაგეგმილი ნორმატიული ვადების დაცვით.

მიმდინარე წლის მარტის თვეში რესპუბლიკის მთავრობის დაავალებით „სანელები“ სოფელ განმუხურში შეუდგენ

ანებული 55 მეტრის სიგრძის მონაკვეთს. პროექტის შესა- ბამისად მოეწყო სადრენაჟო სისტემა და მთლიანი მოცუ- ლობა შეივსო დაახლოებით 10 000 კუბმეტრი ასალი გრუნტით. სამუშაოები სრულდებოდ სამი თვის განმავ- ლობაში. ასფალტის საფარის მოწყობა გათვალისწინებუ- ლია მომავალი წლის გაზაფხულზე, ვინაიდან უნდა დაუ- ცადონ ნაყარის „დაჯდომას.“ სულ მალე დედაქალაქის ზუგდიდთან შემაერთებული ტრასა მწყობრში ჩადგება და შემოგლითი სათადარიგო თემ-შარა დაგიწყებას მიეცემა.

სამშენებლო კომპანია „სანი“ წლეულს ქალაქში დაი- წყო სურათზე გამოსახული კომერციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. პირველი ობიექტი, რომელიც მშენებ- ლობის სტადიაშია, 77-ბინიანია, 10-სართულიანი. კორპუსის სადარბაზოები აღჭურვილია იმპორტული ლიფტებით. გააჩნია საკუთარი გათბობის ქსელი და გამოყენებულია თანამედროვე მასალები თუ კონსტრუქციები. სახლს ექნება კეთილმოწყობილი ეზო ბავშვების სათამაშო ინვენტარით. სარდაფში დაპროექტებულია ავტოფარეხი ორმოც ავტო- მანქანაზე.

ორგანიზაციის პერსპექტივის გათვალისწინებით „სანე- ლებს“ შექმნილი აქვთ 20 პექტარზე მეტი ფართის ქვიშისა და სრემის კარიერები სოფლებში: განმუხურში, კოკსა და

სამშენებლო კომპანია „სანი“



**ზუგდიდი,
ბამსახურდიას
ბაზარი, 25.
ტელ.: (8215)
57770,
893 27 31 01**

მდინარის კალაპოტის შეცვლას, რათა გადაერჩინათ ყველაზე მჭიდროდ დასახლებული, „სახალაიაოდ“ ცნობილი უბანი.

2006 წელს მდინარე ენგურის კალაპოტის ბუნებრივად შეცვლამ წყალდიდობის დროს წალეკა 3 კომლის კარ-მიდამო თხილნარის დიდი ფართობებით. რომ არა „სანელების“ ენერგიული ჩარევა მდინარე წლეულს გაცილებით მეტს, სულ ცოტა 30 მოსახლეს გააუბედურებდა. მშენებლობის დასრუ- ლება წყალდიდობის დამთავრებამდე ეჭვებს იწვევდა ზოგ ურწმუნოში, მაგრამ მათდა სასიქადულოდ კოლექტივმა 50 დღის განმავლობაში შეასრულა 100 000 ლარზე მეტის სამუშაოები ენგურის კალაპოტში. აშენდა 1300 კუბური მეტრის მოცულობის გაბიონი, რომელმაც სოფელს სამუდამოდ გადაუწყვიტა სტიქიის საშიშროება.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანდა „თბილისი- სენაკი-ლეჩხუმის“ გზა 329 კილომეტრზე. სანელებმა აღდგუ- ნითი სამუშაოები დაიწყეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან ხელშეკრულების საფუძველზე. ტენდერში გამარჯვებული შ. ბ. ს. „სანი“ ბინათლად ასრულებს პროექ- ტით გათვალისწინებულ აღდგენით სამუშაოებს გზის დაზი-

შამგონაში. შეიძინეს რამდენიმე ერთეული ტექნიკა გერმა- ნიიდან, მათ შორის 40 ტონის თვითმცლელეები, 10 კუბმეტრის ბეტონმზიდი მიქსერი. შესყიდვის ფაზაშია სხვა მრავალი საგზაო სპეცტექნიკა. ორგანიზაციას გააჩნია ძლიერი საწარმოო კომპინატი, სადაც ფუნქციონირებს ბეტონისა და ასფალტის ქარხნები, ქვის სამსხვრევი საამქრო. მშენებლობის პროცესშია ბლოკის, შინის ქარხნისა და სხვა დანიშნულების ობიექტები: სამოქალაქო, საწარმოო თუ საგზაო, რაც ზუგდიდ- ქალაქის აღმშენებ ლობის უტყუარი გარანტიაა. სამშენებლო კომპანია „სანის“ კამანდა შეკრული კოლექტივია. აქ არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, მძალადი და დაბალი თანამდებობა. თითოეული ადამიანი ფუნქციონირებს თავთავის უბანზე, დირექტორი — ბატონი სერგო გვარამიაა ეს, მოადგილე — სოსო კეიდიბა, არქიტექტორი — დავით ჯოლოგუა, კონსტრუქტორი — დემნა ჭილაძე (თბილისი), ინჟინერები: ფელიქს იზორია, გენო აბულაძე, ბიძინა ციქნელი, ვალერი, ზურაბ და ლევთერ გვარამიები, მამუკა ყურაშვილი, ვალტერ სინარულია თუ დავით ბელქანია. „სანი“ მართლაც უაღვრებელი სამშენებლო კომპანიაა

გზა მარია მღვთისმშობლის კვართისკენ

(ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სამოსლის ისტორიიდან)

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება ერთ-ერთი უძვირფასესი ქრისტიანული რელიქვია – პატიოსანი სამოსელი (კვართი) ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა.

გადმოცემის მიხედვით, ბიზანტიაში ლეონ დიდის, მაკედონელის (457-474) ზეობისას მეფესთან დაახლოებული პირები, ძმები გალბიუსი და კანდიდი კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში გაემგზავრნენ წმინდა ადგილების მოსალოცად. ნაზარეთის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში ისინი ერთ მოხუც ებრაელ ქალთან დარჩნენ ღამის გასათევად. სახლში სტუმრების ყურადღება ანთებულმა სანთლებმა და საკმევლის სურნელებამ მიიპყრო. კეთილმსახურმა ქალმა ძმებს გაუმხილა, რომ იგი იცავდა ძვირფას სიწმინდეს – ღვთისმშობლის სამოსელს, რომლისგანაც მრავალი სასწაული და კურნება აღესრულებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულმა მიძინების წინ ერთი თავისი შესამოსელი ამ ტომის კეთილმსახურ ებრაელ ქალწულს აჩუქა და სთხოვა, რომ სიკვდილის მოახლოებისას ის სხვისთვის, ქალწულისთვის გადაეხარებინა. ასე, თაობიდან თაობას გადაეცემოდა სიწმიდე ამ ოჯახში. ძმებმა ძვირფასი კიდობანი წმინდა სამოსლით კონსტანტინეპოლში გადაასვენეს და საგვარეულო ტაძარში დააბრძანეს, რომელიც წმიდა მოციქულთა პეტრეს და მარკოზის სახელს ატარებდა.

469 წლის 2 ივლისს წმინდა გენადი კონსტანტინეპოლელმა ახალ კიდობანში ჩაბრძანებული სიწმინდე შესაფერისი პატივით გადაასვენა ვლადიკავრში, ზღვის სანაპიროზე, ღვთისმშობლის პატივსაცემად აგებულ ეკლესიაში. შემდგომში ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის კიდობანში ჩააბრძანეს მისი წმიდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი.

ღედა ღვთისას პატიოსანი სარტყელი, კვართი და ვლადიკავრის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი სხვა სიწმინდეებთან ერთად ღვთის ნებით საქართველოში მოხვდა.

ისტორიული წყაროები და ზეპირი წყაროები სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ ამ სიწმინდეების საქართველოში დავალების ისტორიას.

პლ. იოსელიანის გადმოცემით, ქრისტიანული ეკლესიის ეს განსაკუთრებული სიწმინდეები საბერძნეთის კეისარმა ჰერაკლემ აჩუქა ქართველთა მეფეს VII საუკუნეში.

ისტორიკოსის ეს გადმოცემა ეჭვქვეშ დგება თუ გავითვალისწინებთ ერთ ისტორიულ გარემოებას – ცნობილია, რომ ჰერაკლემ საქართველოდან ბევრი სიწმინდე გაიტაცა. ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისი ნებით ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე საქართველოში შემობრძანებულიყო.

სხვა ცნობით, სასწაულთმოქმედი ხატი, ღვთისმშობლის კვართი და სარტყლის ნაწილი ბიზანტიაში ხატმებრძოლთა ერესის მძვინვარების დროს გამოარიდეს მწვალებელთაგან ხელყოფას და კეთილად იქნა დაცული ქვეყანაში, რომელმაც წმინდა გიორგი მთაწმინდელის სიტყვისაებრ, მიიღო და არ უარუყვია მოციქულთა სწავლება, წმინდა მართლმადიდებლური აღმსარებლობა. ამ ცნობას გვაწვდიან XVII საუკუნის რუსი ელჩები ალექსი იველევი და ნიკიფორე ტოლჩანოვი, რომლებმაც 1650-1652 წლებში იმოგზაურეს დასავლეთ საქართველოში. არსებობს სხვა, არანაკლებ საინტერესო გადმოცემა რუსი



პილიგრიმებისა, რომლებმაც XIV საუკუნეში მოილოცეს ბიზანტიის სიწმინდეები. ერთ-ერთი მომლოცველის, იგნატიუსის, ჩანაწერებში ვკითხულობთ: “იქიდან (წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი პეტრაში) ჩვენ წავედით ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია მისი სამოსელი, სარტყელი და თავსაბურავი. ისინი ჩაბრძანებულია მაღალმხატვრულად გაფორმებულ ქვის სარკოფაგში, რომელიც შეჭედვით ვერცხლის საღებავით და ინახება ტაძრის საკურთხეველში. მეორე დღეს (1389 წლის 2 ივლისს) ჩვენ წავედით ვლაქერნის ტაძარში და ვემთხვიეთ ლუსკუმას, რაშიც ასვენია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსელი და სარტყელი.“

ყველა გადმოცემაში მითითებულია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელთან და სარტყელის ნაწილთან ერთად ვლაქერნის ტაძარში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის ხატი, რომელზეც გამოსახული იყო საფარველი ისე, როგორც ეს დაინახა წმ. ანდრიაჲ. ხატზე ყოვლადწმინდა დედას უფლისას თავისი საფარველი გაეშალა მლოცველი ხალხის თავზე, როგორც სიმბოლო თავისი მფარველობისა კონსტანტინეპოლზე.

ამ სიწმინდეს უკავშირებდნენ კონსტანტინეპოლის მრავალჯერ გადარჩენას ბარბაროსთა შემოსევებისაგან, განსაკუთრებით 626 წ. აგარიანთა გემების ჩაძირვას და 860 წ. რუსების მოგერიების შემთხვევებს. გადმოცემით, კონსტანტინეპოლში გაჩაღებული ხატმებრძოლობის ერესის მიმდინარების დროს ეს სიწმინდეები ზღვით მობრძანდნენ ვლაქერნაში. განსაცდელის ჟამს პატრიარქმა სერგიუსმა სამოსელი ზღვაში ჩაძირა. ზღვა აღუდდა და ამ სასწაულის მხილველი მტერი გაიქცა.

ეს წყაროები ეჭვქვეშ აყენებენ ზემოთ მოხმობილი ვარაუდების ჭეშმარიტებას.

სხვა წყაროების მიხედვით ღვთისმშობლის სამოსელი, სარტყელის ნაწილი და ვლაქერნის სასწაულთმოქმედი ხატი ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ,

მე-15 საუკუნეშია ჩამოტანილი კონსტანტინეპოლიდან. ამ ვერსიაზე მიუთითებს XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი კასტელი: “უფლის დიდი დედა ხოფის მონასტერშია, სადაც ბერძნებმა მიიტაცეს (სარკინოზების მიერ) კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ.“

არსებობს ერთი, სხვებისაგან განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ საინტერესო ვარაუდი, რომელსაც გამოთქვამდა აწ განსვენებული ცნობილი ფოლკლორისტი და მოღვაწე კ. სამუშია. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა მკვლევარი. ამ ვარაუდის მიხედვით, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ვლაქერნის ტაძრის სიწმინდეები იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში მოხვდა. როცა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ჯვრის მონასტერი განაახლა, მან იქ მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს შესთავაზა საქართველოში, სამეგრელოში ჩამოსვლა და კორცხელის მონასტრის წინამძღვრობა. კორცხელის მონასტერი ჯვრის მონასტრის მეტოქე გახდა. ნიკოლოზი სამეგრელოში ჩამოვიდა. 1632-1657 წლებში ნიკიფორე ხობის მონასტერში მოღვაწეობდა. შინა და გარეშე ომებისაგან დაქსაქსული და ძალ-ღონეგამოცლილი საქართველო ვეღარ პატრონობდა ჯვრის მონასტერს, ამიტომ სრულიად დამაჯერებელია, რომ ნიკოლოზს ჯვრის მონასტერში დაცული სიწმინდეები საქართველოში ჩამოებრძანებინა.

ლევან დადიანმა სიწმინდეები საგანგებოდ მისთვის დამზადებულ ღვთისმშობლის გამოსახულებით დამშვენებულ, ვერცხლით მოჭედილ და ძვირფასი თვლებით შემკობილ





კუბოში ჩაასვენებინა, რომელზეც მხედრული წარწერაა გაკეთებული. წარწერა ასე იკითხება: “შევამკე და ფერვითა თვალითა მარგალიტითა მე ხელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან მისთვის საოხად შევიმკვეთ ყოვლადწმიდაო ქერუბიმთა უმაღლესო სერაბიმთა უაღმატებულესო ქალწულო ყდ საგალობლო ღვინებაო ყოველთა ქრისტეანეთაო შეისმინე ვედრება ჩვენი და იხსენ და აცხოვნე განუსვენე და აკურთხე სული დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა და დაამკვიდრე სასუფეველსა ამინ. მოიჭედა ყოვლადწმიდისა პერანგისა კუბო ესე ქკსა სამას ოცდარვასა“ (1640წ.)

სამეგრელოში დავანებულ სიწმინდეებზე ცნობებს გვაწვდიან რუსი დესპანები – ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი (1640 წ), არქანჯელო ლამბერტი, ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, პავლე ალექსოვი, ჯუზეპე მარია ძამპი, ალექსი იველევი, ნიკიფორე ტოლჩანოვი და დონ კრისტოფორე დე კასტელი. ამდენად, პატიოსანი სამოსელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, სარტყლის ნაწილი და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სამეგრელოს უპირველეს სიწმინდეებად მიიჩნეოდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ყოვლადწმინდა დედის სარტყლის ერთი ნაწილი ათონის მთაზე, ვათოპედის მონასტერშია დაცული, მეორე ტრირში, მესამე კი საქართველოში, ზუგდიდში ინახებოდა. ამაზე მიუთითებს მე-20 საუკუნის დასაწყისში ათონის წმ. პანტელეიმონის სახელობის მონასტერში გამოცემული “ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ცხოვრება“.

გრიგოლ დადიანმა ხატის შენახვა მიანდო სიმამრს, საქართველოს უკანასკნელ მეფეს – გიორგი XII-ს. მისი გარდაცვალების შემდეგ ხატი მისაკუთრა მისმა ძემ, დავით ბატონიშვილმა და რუსეთში წააბრძანა. ხატის დასაბრუნებლად მთავრის ქერივმა, ნინო ბაგრატიონმა, ხატი იმპერატორ ალექსანდრე I-ს მიართვა, რათა შემდგომ ეთხოვა კვლავ სამეგრელოში დაბრუნება.

ამ მიზნით 1805 წელს პეტერბურგში გაემგზავრა დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: დიდი ნიკო გიორგის ძე დადიანი, ბეჟან მანუჩარის ძე დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი.

დეპუტაციის ხელმძღვანელი დიდი ნიკო წერს: “ჩვენ ვიყავით სანკტ-პეტერბურგსა და შინა გამოუთქმელთა ცხორებითა ერთსა წელსა და შემდგომად გამოგვისტუმრეს დიდის პატივით ყოვლითურთ კმაყოფილნი“ (ი. მეუნარგია, “სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანის დრო“, თბ., 1939 წ.). იმპერატორმა ხატი ძვირფასი თვლებით შეამკობინა, ახალი პერანგით შემოსა, კვართისა და სარტყლისათვის საგანგებო კიდობანი გააკეთებინა და სიწმინდეები სამეგრელოში დააბრუნა საგანგებო მოწერილობით, რომლის თანახმადაც სამთავროში უნდა აეშენებინათ ეკლესია ვლაქერნის ხატის სახელობისა და იქვე დაეარსებინათ ქალაქი გრიგოლიოპოლისის სახელით, განსვენებული მთავრის, გრიგოლის, მოსაგონებლად. იმპერატორი ნინო დედოფლისადმი უმაღლეს რესკრიპტში წერს: “ვიცი რა, რომ მეგრელებს ძველთაგანვე აქვთ სასოება და რწმენა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატისადმი, მე ვუბრუნებ მას საჩუქრად თქვენს ოჯახს და მთელ მეგრელობას“. ტაძრის აშენება თავს იდო გრიგოლ დადიანის მემკვიდრემ, მთავარმა ლევან V დადიანმა. ბარონი როზენი გრაფ ნესელროდესადმი მიმართვაში წერს: “ჩემს სამეგრელოში ყოფნის დროს მე ვნახე ზუგდიდში აშენებული ეკლესია, მომეწონა... სამეგრელოს მთავრის მიერ ამ ტაძრის აშენება ყოვლადვე ქების ღირსია“ (1837 წლის 29 იანვარი). ტაძრის მშენებლობა



1830 წელს დამთავრდა. მარტვილის მონასტერში დაბრძანებული ვლადკერნის ღვთისმშობლის ხატი ზუგდიდში გადმოაბრძანეს. მთავარმა ზუგდიდი თავის მუდმივ საცხოვრებლად აქცია, ვლადკერნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი კი სამთავროს კარის ეკლესია გახდა. დავითის გარდაცვალების შემდეგ დედოფალმა ეკატერინემ კვლავ შეამკო ხატი. სახატე 1857 წელს დამზადდა მოსკოვში საიმპერატორო სასახლის ფაბრიკაში. მისი წარწერა კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ვლადკერნის ღვთისმშობლის ხატი და ყოვლადწმიდას სარტყელის ნაწილი ერთად ინახებოდა. წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება: „...ყოვლადწმიდა პატიოსანი ხატი შენი წმიდით სარტყელითურთ შენით იყავნ განმაძლიერებელად მართლმა დიდებლობისა, აღსამაღლებლად დიდის ჩვენის ხელმწიფისა სახლისა“... (ი. მეუნარგია, „სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი“, თბ., 1939 წ.).

იმპერატორ ალექსანდრე I-ის მოწერილობა, თანამედროვეთა გადმოცემები ადასტურებენ, რომ ზუგდიდის ტაძარი ვლადკერნის ხატის სახელობაზე აშენდა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ა. მურავიოვი, რომელმაც მე-XIX საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში იმოგზაურა სამეგრელოში, წერს რომ ლიტურგიას დაესწრო ზუგდიდის ტაძარში, რომელიც აშენდა იმპერატორ ალექსანდრეს ბრძანებით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სარტყელის დასვენების დღესასწაულის სახელზე. როგორც ჩანს, აშენების შემდეგ ტაძარი ღვთისმშობლის სარტყელის დადების დღესასწაულის სახელზე ეკურთხა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ტაძრის კანკელის ხატი, რომელზეც გამოსახულია დედოფალ პულხერიას მიერ სარტყელის დადების სცენა. ხატი შესრულებულია 1845 წელს დავით და ეკატერინე დადიანების შეკვეთით. ეს ხატი სხვა სიწმინდეებთან ერთად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება. XX საუკუნის დასაწყისის საშინელ მოვლენებს ვერც დადიანების კარის ეკლესია გაექცა. ღვთისმშობელი მთავრობის ბრძანებით წირვა-ლოცვა აკრძალულ და მორწმუნეებისათვის დაკეტილ ეკლესიაში ხან მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიცია იყო გამართული, ხან სამხატვრო სახელოსნო იყო მოწყობილი, ხანაც... თოჯინების თეატრი.

1990 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარში მსახურება განახლდა და მაცხოვრის შობის დღესასწაულზე პირველი ლიტურგია ჩატარდა.

ამჟამად ვლადკერნის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია, რომელსაც ზუგდიდლები, ტრადიციულად, დადიანების ეკლესიას ეძახიან, ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის საკათედრო ტაძარია. ვლადკერნის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც 1921 წელს გაარიდეს ბორცების იმპერიაში – საბჭოეთში – მიმდინარე ცნობილ ანტიქრისტიანულ მოვლენებს, უდიდესი ქართველი მამულიშვილის, წმიდა ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით 1945 წელს საქართველოში დაბრუნდა. ამჟამად იგი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი – მსოფლიო ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, ღვთის საოცარი განგებულებით, ნიშნად ღვთისმშობლის განსაკუთრებული სიყვარულისა თავისი რჩეული „საზეპურო ერის“ მიმართ, ჩვენთან, ზუგდიდში, ისტორიულ მუზეუმშია დავანებული.

მანანა ბუკია,

შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის ინსტიტუტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის,
მისი უწმინდესობის, ილია II ლოცვა-კურთხევითა და
საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მხეილ სააკაშვილის
ხელდასხმით, ჩვენს მიერ „ვარდების რევოლუციის“ სადაღიანოს
არქიტექტურულ მწვერვალად აღიარებული
„აკვა-პარკის“ აშენება ზუბდიდში **გადაწყვეტილია!**
ვულრცავთ პროექტის მისვლეულებს მრავალწინანი მცადინეობის
დაფასებას და ვუსურვებთ მის უეფერხებელ აღმშენებლობას!



ქალბატონი მანანა მიქაია ენერჯული ბუნების
ადაშიანია. კოლხი მანდილოსანის კვებლობაზე,
მისთვის უცხო არ არის ტრადიციული
თავაზიანობა, მაგრამ საქმემ თუ მოითხოვთ,
თვალეებს ისე დააკვესებს, გზაზე გადაღობებულს
ყოველგვარი კამათის სურვილი დაეკარგება.
ოთარანთ ქერივის სასიათი დააბურტყა განგებამ.
ჯვარი სწურია, ღვთის წყალობით და
მოშიშობით თავაწეული ზრდის შეილებს,
შეილიშეილებს, მაგრამ ცხოვრებამ უამრავი
სამსალა განუშადა და აქ თავდასრილი ბოზა
არაფერში გამთადგა. ჩვენი სასინარულო თემის
გმირი ძირით წალენჯინელია, იქაური
კდემამოსილება გამოპყლია შინთვად ოდიში



რძილად ჩამობრძანებულს, მაგრამ ხელად აუღო ალღო სადადიანოს ჭირ-ვარამს და მამამთილს თბილი წყლით საგსე გარცხლი რომ მიართვა ფენის დასაბანად, დამთავრდა იქ საქმე, სამუდამოდ მოინადირა შანაგების უსუცესი კაცის გული. მანანა მიქაგასთვის დამახასიათებელია ცხოვრებისეული რეალობის უზუსტესი აღქმა. იგი ხელად აცნობიერებს სიტუაციას და გადაწყვეტილებასაც ადეკვატურს მიაგებებს სოღმე. დიდი ხანია „აკვაპარის“ პროექტს დასტრიალებს თავზე ქალბატონი მანანა. უწინარესად სივრცე მოხაზა მის განსახორციელებლად. წარმოგიდგენიათ პაპანაქება სვატში დანთქმული ზუგდიდი, რომელსაც მასლობლად არაფერი მოეპოვება განსაგრილებლად: ბოტანიკური ბაღი უკაცირიელი კუნძულივით განდგომილა ზუგდიდელების ყოველდღიურობისგან. ქალაქის ცენტრში არის სკვერი — ჭადრების სეივანი — ერთადერთი სინოტივის მომნიჭებელი თაკარა სულისათვის და მორჩა. ჩსოუშია დაწრეტილია, მხოლოდ დიდწვიმების დროს აიფაფრება. სსვა დღეებში მიღოღავს წელმოწყვეტილი ძაღლივით. აი, ამ ვითარება-სურათის გადარჩენის შინაგანი კარნახით რკინის ქალაქნები ჩაიცვა ჩვენმა მანანამ. ჩვენ დანტერესება აღნიშნული პროექტით, დიასაც, მსგავსი განწყობილებიდან წარმოშობილა. თავის დროზე ჩვენც გვიფიქრია ჩსოუშიის დეუბეტის გაძლიერებაზე, მაგრამ არანაირი გამომხაურება მოჰყოლია იმ პუბლიკაციებს. ასლახან, ზუგდიდის მაფორიტარობის კანიდატის არჩევნების, ბატონ ფრიდონ თოდუას ტრიუმიფის დღეებში, ჩსოუშიას ყისმბათს უჭირისუფლა ნარაზუნის თემის მკევიდრმა, ბატონმა ბორის ლომაიამ, მაგრამ ზუგდიდში ჯერ სასმელი წყლის პრობლემაა გადასატრელი. ოდიშელების მაფორიტარს, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას, ჯერ ეს უმთავრესი პრობლემის მოგვარება უღრდნის გონებას. დაბასლოებით ათი





„აკვაპარკი“. ზუგდიდი, 2008 წ.
პროექტის გენერალური დირექტორი
მანანა შივაგა

მილიონი ლარია საჭირო მის მოსაგვარებლად და ასეთ ვითარებაში ჩსოუშიას ნაკადის უნიათობა მოითქმენს. ქალბატონი მანანას მეცადინეობა არ ყოფილა დღეებში, კვირებში, თვეებში მწვანე შუქზე გასრიალებული იდეა. მან არაფერი დაიშურა „აკვაპარკის“ ჯერ აბსტრაქციაში მოსახსნად. მერე არქიტექტორ ჯოლოტუგასთან ერთად შეამართლიანა, მართლაც საოცრება რამ, ადგილდობრივ პრობლემებს შესაბამისი და მომავლის მერიდიანებს მიჩერებული კომპლექსი. თავისი არსით ოდიშური აკვაპარკი მნიშვნელოვანწილად განსხვავდება დედაქალაქური თუ ბათუმური აკვაპარკებისაგან. მისი საპროექტო ღირებულება დღესდღეობით 4 მილიონი

ამერიკული დოლარია. ეს ნაგებობა თავისთავში აერთიანებს ათას ცხოვრებისეულ სფეროს. და მინც უწინარესად იგი ორიენტირებულია მოზარდებზე. მას ერთგვარი გინოკოლოგიური ფუნქციებიც ეკისრება კოლხი დედების წინაშე. სოლო ოდეს მოველინება ქვეყნიერებას პირაშო ჩვენს, აკვაპარკი წარუძღვება წინ ასაკობრივ ცვალებადობასთან ერთად. ამიტომაც მონიბლა მისმა იდეამ მხარის გუბერნატორი, ბატონი ზაზა გოროზია, მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი ალექსანდრე ქობაღია, თუმცა ნიბლი ერთია და ქარაგანის მსვლელობა — მეორე. არც ჩვენ დაგვიკლია პროექტისათვის სათანადო ფერ-უპირილი, გზის დალოცვა. და აი, ამ მომენტიდან,

გაცდილებით მიზანსწრაფული გახდა ქალბატონი მანანას ძალისხმევა. მან თამამად გაიკაფა გზა საქართველოს პატრიარქისკენ, როგორც ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა. მისი უწმინდესობის რუდუნი ქართული სულიერების ასაღორძინებლად ზედმეტ წარმოჩინებას არ საჭიროებს და როგორც მოსალოდნელი იყო, „აკვაპარკის“ მომავალს მალე უფლის მადლიც წარეცხო. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სწორედ იმ დღეს მონათლა მისმა უწმინდესობამ ქალბატონი მანანას სამივე უვილიშვილი, ასე რომ, ისედაც მეცნრე ცაზე მყოფ მანდილოსანს ახლა მთლად სამომავლო საქმეთათვის სადაგი ფრთებიც გამოესხა. არც ქვეყნის პრეზიდენტის გულისყურმა დააყოვნა აღმშენებლობის გზაზე დამდგარ ზუგდიდში კიდევ ერთი საშური ობიექტის განხორციელების ასპექტით. და ამიერიდან, ქალბატონი მანანა ერთობ სოლიდური მშენებლობის გენერალური დირექტორია. როგორც საუბარში გვიმხელს იგი, მშენებლის შესარჩევად ტენდერს გამოაცხადებს. „დაე, არქიტექტორულად მიმზიდველი პროექტის განხორციელება შესაფერისმა კომპანიამ წარმართოს.“ საჭირო ფინანსები მოზიდულია. კიდევ ცოტაც და ჩსოუშიას მიგდებული მარჯვენა სანაპირო აღმშენებლობის სულისკვეთებით გაჯერდება.





თქვენთან ბოლოში, მაგრამ...

(ანუ ისიდა ჯანჯღახე რანაირად შემოუძახებს ძირით უგვიდღელ, აწ მოსკოვის მკვიდრ ბიზნესმენს, ბატონ ვახტანგ მიშველიას)

ლელთ ღუნიაზე უწერია დიდ ილიას. ვალიკო მესხიაზე გვისაუბრია ჩვენც, მაგრამ მაია წყნეთელები და მარო მაყაშვილები კვლავაც ციაგებენ თვალსაწიერზე და ამ მარადმშვენიერ არსებათა კოჰორტას, რას ვიფიქრებ, სრულიად ყურისძირას, რუსული ბომბდამშენებით დამეხილი ჭეგეთას სიახლოვეს აღმოჩენილი ქალბატონი ისიდაც მიემატება?! სახელიც საკვირველი დაუნათლებია მისთვის ღვთისნიერს. ეტყობა უხეტიალია საპარის უდაბნოეთში პირამიდათა კედელ და კედელ, სადაც სამარადისო სასუფეველში წავიწროვებული ნავით გადაჰყავს წუთისოფლის ბინადრები მარადისში. მარგალიტი როგორია, ფირუზის ფერი ხომ, და, დიახაც, ამ მარგალიტის ტოლისდამდები აღმოჩნდება ჩვენი მასპინძელი ისიდა ჯანჯღახე. მასპინძლები თავაზიანად მოგვეგებებიან ბინდისპირულზე. მარჯვენასაჭიან „მერსედესს“ ჭიშკართან მივჩეხავთ და გაშლილ ეზოში შევლაგდებით. ვახტანგი ეგრევე ხეხილნარისკენ გაეშურება. მსხალი აიკვიატა. ნალველას წმენდსო. გამიგონია: დილით ვაშლი გულის ვარდი, დილით მსხალი გულის შხამიო. ეტყობა დიალექტიკურია ეს დილემა — რაც გშხამავს მოჩვენებით, ის უფრო მარგებელია. მიასკდება და მიასკდება ხეჭეჭურს. ჩვენებურად ხის მსხალი ჰქვია, რაგვიასაც ვეძახით. ძირს ჩამოუბერტყავს ქარიშხალს. იქნებ სამგზის აფეთქების ვიბრაციამ ჩამოხვეტა უმწიფარ-მწიფეიანად. აკი, თქმულა: მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო. დიასახლისის ძმა დათო, ვოლტერის სკულპტურის ალიკვალი რომ გახლავთ, წინ

მიგვიძღვის. აქ ნამდვილი უსიერია, აკუტაგავა რომ გვიხატავს ცნობილ ნოველაში, იმდაგვარი. აკაცები გადახლართვია თხმელებს. შეშისათვის ორი ნაბიჯიც არ არის გადასადგმელი. ოჯახის უფროსი გულუა სოფლის თავკაცი ყოფილა წლების მანძილზე და ლამის სამოხიოს სამყოფი მიწა მოუზომავს სათავისოდ. შვილმა ვერ დაუდო გული ორლობის იდილიას და დედაქალაქს მიაშურა. დის ბინაში ცხოვრობს. ხოლო თავად მობინადრეები ამერიკაში გაკრეფილან. აკი, ელეთ-მელეთი იმ ამერიკიდან გამოგზავნილმა პატარამ შეყარა თურმე ჩვენს ისიდას. მოაბარეს ვერცხლისწყალი მოზარდი და არ გადმოაფრქვია ხამისკურის თავზე რუსულმა ბომბდამშენმა პერშინგები?! მივდივართ ფერდობ და ფერდობ. დასამალი ვერსად ჰპოვა. ისევ სარდაფი მოაგონდა, ოდესღაც ქმრისგან ამოღრუნტული და აწ მიგდებულა. იქ ჩაიმაღნენ სანამ აფეთქების ექო ზანზარებდა ყურთასმენაში. მაგრამ პანიკას სად მიუღიხარ?! ჭაქვინჯისკენ უტიეს, თითქოს იქ უკეთესობა ელოდათ. ეს საუბრები მოგვიანებით გაიმართება. ჯერ ეზო-კარის დათვალიერებით ვტკბებით. გულუების ოჯახი ფერდობს შეფენილი ბაღნარია. მართალია, მას აკლია მამაკაცის მზრუნველი ხელი, მაგრამ ოდინდელი პეწი მაინც ატყვია. შარშანდელ ფორთოხალს მოვწყვეტ, გაფეცქვნი და ჩაშაქრებული მხვდება წილად. ლელვი ჯერ არ მწიფს. ზღმარტლი ყვავს დაჩხავლებს. ვაშლები ყრია კოჭებამდე. ინებე სულს და გულს. თხილი კერკეტია. მანდარინსაც გავსინჯავთ. სიყვითლე შეპარვია ოდნავად, მაგრამ შაქარივით ტკბილია. ხამისკურის მიწა კირქვიანია. ცოტა მოშორებით, ცაისის სიახლოვეს, გეიზერების წყებაა, სადაც ოდესღაც ბანელოგიური კურორტი იყო. ახლა ყველაფერი გაოხრებულია და ლამის მუქთად ვუფეშქაშეთ ამომავალი ქვეყნიდან ჩამოთესლილ ჩინელებს. აქ გოჭი და ინდაური უპრობლემოდ იფუფქება. ჩაწვა იმ აბაზანაში ათიოდე დღე ჩვენი ბაბუ, ტიტეკო ხაზალია და წელი ვერ აითრია, დაიხუთა, ზედმეტი მოუვიდა. სანათლიმამო მსხლებს ვერ ვპოულობთ, სანაცვლოდ მკვახე ხუთკუნჭულა — ზღმარტლებია ყვავს რომ დაჩხავლებს,



ფოტო-რეპორტაჟი:

**კავკასიური
ცეცხლის
წრე**



შემოდგომის მიწურულს დედაბრის ხელივით რომ მიმტკნარდება. ერთი გულყითელა ხეჭეჭური აღმომიჩენია ჯანგამოცლილ ფოთლებში და კბილს როგორ დავაკარებ?! იქნებ მისავათდეს ამ გამოუსწორებელი ნუმიზმატიკის ტიების ყლყლაობა! დედა გარდაცვლია ჩვენს ისიდას და მისასამძიმრებლად ამიტომაც წვევია ნათლიმამა ვახტანგ. სუფრა ნაუცბადევია. არ ვაცლით მასპინძელს ქათმების აკრიახებას, არც გოჭის აჭყიტინებას. ყველის პრეროგატივაა. ცხელ-ცხელი ხოზო კვერები შემოაქვთ. ისიდა მოგვიანებით შემოუერთდება სუფრას. არაყი დაჯაჭვულია, მსხლისა. აკი, მოგახსენეთ ვახტანგის მიდრეკილება ამ ხილის მისამართით და მიუხედავად წუხანდელი ნაბახუსაობისა სირჩისკენ ხელი კანკალით გაუბრძის.

— შენთან ბოდიში, მაგრამ რა ყოფილან ეს რუსები, ღორები! — ჩანს, ისიდას ღღემდე არ გამობერტყვია სხეულიდან ჭეგეთას მისადგომებთან ჩამოყრილი ბომბების დაგადუგი. — შენ გგონია ახლა ათასრუბლიანებს ამოიღებ აღრინდელივით და გულს ამიჩუყებ?! მაგათ ორი ჩემებური ყვინჩილას საფასური სამოწყალო ლარიანები მიჩივენია, ტირიმე. თქვენ გაიბღინძეთ. ორ-ორი პასპორტით დაიარებით. იქ ჩვენი გინებისას თავს აკატუნებთ, აქ იმათი თათხვისას მუცელზე ხოხავთ. დალიე, დალიე, ყელზე არ დაგადგება. მე ორი წლით ვარ შენზე უფროსი. ყველგან კუდში დამსდევდი. შორიდან მეკურკურებოდი, მაგრამ ეს ორი წელი ვერაფრით მოინელე, ბიჭო! ეგ იქით იყოს, სამშობლოზე გელაპარაკები. სად გაგაჩნიათ თქვენ სამშობლო. თქვენ თურქისტანის ლაზები გჯობიან, რომელთაც, მართალია, გვარ-სახელები და სარწმუნოება დაკარგეს, მაგრამ ეროვნულ თავმოყვარეობას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. აღნაგობა შეინარჩუნეს — ფერი, ხორცი, სულიც სხვათა შორის. თქვენ თამამად შედიხართ რუსის ქალებში და ნაშიერი ცხვირპაჭუთა გამოვლით ყოველთვის. არაფერი შერჩენიათ მათ ქართული. ანდრონიკაშვილები იყვნენ და ანდრონიკოვები გახდნენ, თეთრთმიანები. რამდენი აზნიანი წარემგზავრა რუსეთს შენი მოსახელე ვახტანგ მეფის დროს?! სად არიან ახლა?! შეიწოვა რუსეთმა, გაქრა როგორც შარშანწინდელი თოვლი. რომელიღაც ლექსი მომაგონდა ახლა გეგეტკორის თარგმანიდან. თქვენი 700 000 დიასპორელი რუსეთში ასიმილაციისათვის განწირული საზარბაზნე ხორცია. ჩამოდით აქ ძვირფასებო! ზურგი შეაქციეთ რუსულ ბორშჩს და ზეთმოსმულ სალათას. ჩვენ გაგიმზადებთ ცხარე-



ცხარე შეჭამალებს, იქნებ დაგვიანებული არ იყოს კიდევ თქვენი სხეულისა და სულის ხსნა?! განსხვავებულ ეთნოსში ტრიალებდნენ ლაზები, მაგრამ გადარჩნენ სულიერ-ხორციელად. მსგავს ეთნოსში ტრიალებთ თქვენ, მაგრამ სამუდამო დაქცევისათვის ხართ გამზადებული. გადაიღე ხოზო, ჩემი ამოყვანილი ყველისგანაა. თავზე ბობმებს გვაყრიან რუსები ხამისკურში და თქვენ თვალეები დაგიყვლებიათ იქ დიდ რუსეთში. რას იზამ, დედამ წიხლი რომ შემოგიქნიოს, ფეხს ხომ არ მოაჭრიო. რუსეთი ჩვენი სამარეა. რუსეთი ჩვენი გოგლიმოგლი აკლამაა. შეელიეთ იქაურ პატივში ყოფნას. თუმცა რა პატივი, რის პატივი, შენი კიკაბიძეები, შენი სოტკილავეები და ხუბუტეები, რუსეთის კოლორიტს რომ ქმნიან თითქოს, ერთი შეცაცხანება და გამოყარეს ქართულ ღვინოსავით. თქვენ ეს ვერ შეგიგნიათ, ხოლო, როცა გადაშენდებით, როცა რუსის ქალებისაგან შვილებს იყოლიბეთ, ცხვირპაჭუა რუსაკებით აავსებთ მათ კალთებს, მათ ბაგა-ბალებს, არაფერში გენდომებათ სამშობლო. აი, თქენი თავი და ბოლო. თქვენ ლაზების ბედ-იღბალს უნდა შენატროდეთ, რომლებმაც საკუთარი ხორცისა და სულის გადარჩენა მოახერხეს გვარ-სახელებისა და სარწმუნოების დათმობის ფასად. ნუ ეტენებით მსგავსს, თორემ გადაგვარდებით, სამუდამოდ გადაშენდებით. დავლიოთ ერთი რომკა, თორემ გაშრა ყელი. აი, როგორ არის საქმე ჩემო ვახო, აი, რატომაც დავიწყე საუბარი თქვენთან ბოლიშით, მაგრამ საბოლიშო არაფერია შენთან, შენც ერთი, გადაგვარების გზაზე დამდგარი ქართველი ხარ, რომელსაც ხამისკურის ჰაეა თვალის მოსაბალახებლად გჭირდება, დოპინგის მისაღებად, მიიღებ და დაინთქმები ჩრდილოეთის ყინულეთში, როგორც შენამდე დამართნია მრავალ ათას შენნაირს. იღლეგრძელე კაცო!





**მიმოჯა ღა იური ვოწარიეპის
ვილოცვა მეგობარი პოეტიწაღვი**

სამოცამაღა ვიზნის ავტორს,
გურამიუვილის ღირსეულ ბადიუს ზუგდიდიან,
მრავალი პრემიის ღაურმატს, □
უკრანინის დესკანს დონატანს ბანოინისის ლატვიაში,
ტკივილიან მაგას თუ თავთუხისთიანი ასულის
უეუღარებელ თანამეცხეღრეს,
უემოქვეღვითი წარმატებავით გავლოს ნიაღაგ
სამუოგლოს საკეთილღღემღ, უტა!

60